ლომი

ვალერიან გელოვანი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 ივლისი ხუთშაბათი 2011

№ 169 (13466) ფასი 80 თეთრი

12

ეროვნული ნაკრები 88:77 ეფექტურად ამარცხებს

Fotbal club FC DACIA

Dacia რაც ლოგო, ის ზნე

ადამიანი ადამიანისთვის მგელია

ლევან ჯანეზაშვილი
კიშინიოვიდან

2

დაჩიამ ზესტაფონი დაკბინა, მსაჯი კი აშკარად უსტვენდა

დღევანდელი სანერვიულო პროგრამა

გარსიამ ლანელი მარტომ დაიბრალა

3

პისკოვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. **დაჩია - ზესტაფონი.** საპასუხო მატჩი

ლევან ჯანეზაშვილი
კიშინიოვიდან
სპეციალურად ლელოსთვის

საიდან ასეთი აგრესია?

მსაჯი მგლეზისკენ უსტვენდა

იგორს ლაშქრობა არ გამოუვიდა

20.07. კიშინიოვი. ზიმბრუ. 4 000 მაყურებელი

დაჩია	**2**
ზესტაფონი	**0**

პირველი მატჩი 0:3

1:0 პოპოვიჩი (22), 2:0 ორბუ (90. პენ.)

დაჩია	ზესტაფონი
4-2-3-1	4-4-2
გაილუჩევიჩი	რ. კვასხვაძე
ლიმოვსკი	თ. ლონღაძე
პოპოვიჩი	გ. ონიანი
ილიესკუ	ხიდეშელი
მამა	ელიავა
მიხაილოვი	აფციაური
ორგუ	დაუშვილი
სოიოსარი	ქარია
ტუმბაშევიჩი	გრიგალაშვილი
დედოვი	დვალი
სტეპანოვიჩი	გელაშვილი
მცვრთელი	მცვრთელი
ი. ლოგროვოლსკი	გ. გეგუჩაძე

დაჩია

70. დედოვი – **კრკოტიჩი**
77. ტუმბაშევიჩი – ნეჩაევი
85. პოპოვიჩი - **პავლოვი**

სათადარიგოები: მოშნეაგა, ონიცა, ალომეროვიჩი, ბურშიჩი

ზესტაფონი

69. დვალი – **ალადაშვილი**
82. აფციაური – **გოგგიაშვილი**
86. ხიდეშელი - **კობახიძე**

სათადარიგოები: მამალაძე, ჭანკოტაძე, წინამძღვრიშვილი, ლომია

გაფრთხილება: ილიესკუ (50), ონიანი (90)
გაძევება: ლონღაძე (65)
არბიტრი: მ. იუგა (სლოვენია)

გასაკვირი არ არის, რომ კიშინიოვური მატჩი ზესტაფონურისგან კარდინალურად განსხვავებული გამოვიდა. ვერაფერს იტყვი, "დაჩიამ", რომელსაც ურთულესი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი, ბევრი იბრძოლა და ეს კონკრეტული შეხვედრა დამსახურებულადაც მოიგო, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მასპინძლები მთელი დღე საზიზღრად იქცეოდნენ, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კი ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს და ქართველებს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. საბედნიეროდ, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში მაინც "ზესტაფონი" გავიდა, რომელმაც საკუთარ სტადიონზე დაამტკიცა, რომ "დაჩიაზე" უკეთესი გუნდია.

ჩხუბის პერიპეტიებზე უფრო დაწვრილებით "ლელოს" ხვალინდელ ნომერში გიამბობთ, ვიდეოჩანაწერის ნახვამდე კი **გია გეგუჩაძის** სიტყვებს უნდა დავეყრდნოთ – "დაჩიას" თავკაცმა **იგორ დობროვოლსკიმ ირაკლი ძარიას** დაარტყა, რაც გუნდურ ჩხუბში გადაიზარდა.

უსიამოვნო სიურპრიზი ზესტაფონელებს სტადიონზე მისვლისთანავე დახვდათ – მასპინძლებმა პირი უტეხეს და მოედნის მორწყვის დაპირება არ შეუსრულეს. მოლდოველთა ჩანაფიქრი გასაგები იყო – მშრალი მინდორი ფლანგური ჩაწოდებების მიმდევარი "დაჩიასთვის" უფრო ხელსაყრელი გახლდათ, ვიდრე "პირველ სართულზე" უკეთ მოთამაშე "ზესტაფონისთვის".

როგორც ჩანს, პირველ მატჩში წაგება მხოლოდ **დავით გამეზარდაშვილისა** და **ლუჩიან დობრესთვის** არ დაუბრალებიათ. დობროვოლსკიმ არა მხოლოდ ცენტრალურ მცველთა წყვილი შეცვალა — ზესტაფონურ შეხვედრასთან შედარებით "დაჩიას" ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი ახალი ფეხბურთელი გაამწესა.

პირველი ტაიმი მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. აშკარა იყო, რომ დობროვოლსკიმ თავის ფეხბურთელებს მიზნად სწრაფი გოლის გატანა დაუსახა და მართალია, მოლდოვის ჩემპიონებს დაწინაურება ცოტა დაუგვიანდათ, მაგრამ გასახდელში 1:0-ით დამსახურებულად გავიდნენ. სხვა საქმეა, რომ გოლი, ცოტა არ იყოს, საეჭვო ვითარებაში გაიტანეს. **დმიტრი პოპოვიჩის** მიერ დარტყმული ჯარიმა "ზესტაფონის" კარის ძელს მოხვდა, რის შემდეგაც **როინ კვასხვაძემ** თითქოს მდგომარეობა განმუხტა, მაგრამ...

ცალკე ოპერატიულობიდან და ცალკე იქიდან გამომდინარე, რომ ამ მომენტის ვიდეოგამეორების ნახვა ვერ მოვასწარით, როცა ეპიზოდს ჟურნალისტებიცა და ქომაგებიც დეტალურად გავარჩევთ, დასკვნებიც მერე გამოვიტანოთ.

"ზესტაფონი" საწყის 45 წუთში გოლს კიდევ რამდენჯერმე გადაურჩა. ყურადღების ცენტრში ყველაზე ხშირად "დაჩიას" ცენტრფორვარდი **სლავენ სტეპანოვიჩი** იყო, რომელმაც მიზანს ორჯერ მცირედით აცილა, ერთხელ კი კვასხვაძეს ვერ აჯობა.

საქართველოს ჩემპიონები ტაიმის ბოლოს გამოცოცხლდნენ, თუმცა მასპინძელთა საჯარიმოში ვერ შეაღწიეს. ყველაზე ინიციატივიანი **შოთა გრიგალაშვილი** იყო, რომელმაც ორჯერ შორეული დარტყმით სცადა გატანა, მაგრამ ორივეჯერ არაზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმი "ზესტაფონმა" მძლავრად დაიწყო, კომბინაციურად ათამაშდა და შეტევაშიც სცადა ბედი. მართალია, **თორნიკე აფციაურის** არაზუსტი დარტყმის გარდა, სხვას ვერაფერს გამოვრჩით, მაგრამ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გეგუჩაძის გუნდი მომდევნო ეტაპის საგზურს აუღელვებლად მოიპოვებდა.

თუმცა ასე არ მოხდა – 65-ე წუთზე სლოვენიელმა არბიტრმა **მატეი იუგმა თემურ ღონღაძეს** პირდაპირ წითელი ბარათი უჩვენა, არადა, "ზესტაფონის" მცველი ყვითელზე მეტს არ იმსახურებდა.

თურმე, ჯერ სად ვიყავით – იუგმა ნამუსზე სულ მთლად აიღო ხელი და "დაჩიას" სასარგებლოდ არაერთი საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო. მასპინძელთა გაუთავებელ ჩაწოდებებს რამდენჯერმე მოჰყვა შემტევთა აშკარა სიმულაცია და ერთ-ერთი ასეთი თაღლითობის დროს მსაჯმა "ზესტაფონის" კარში პენალტი დანიშნა.

მეორე გოლი დამატებულ დროში მივიღეთ, მაგრამ მღელვარების მიზეზი მაინც გვქონდა – კაცმა არ იცოდა, კიდევ რა მოუვიდოდა იუგს თავში. საბედნიეროდ, საამისო მომენტის პოვნა მან ვეღარ მოასწრო და არცთუ საუკეთესო მატჩის ჩამტარებელმა, მაგრამ გვარიანად ნაბრძოლ-ნაგვემმა "ზესტაფონმა" მოლდოვური ბარიერი გადალახა.

ბოლო წუთებში ყურადღების ცენტრში ორჯერ მოექცა **ნიკა გელაშვილი**. საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა 88-ე წუთზე მეურვე ჩამოიცილა და ეფექტურადაც დაარტყა, მაგრამ კარი **გაიდუჩევიჩმა** იხსნა, 2:0-ზე კი კონტრშეტევისას გრიგალაშვილი მოძებნა, რომელმაც მიზანს ააცილა.

მუხლი დაიშავა და თამაშის ჩამთავრება ვერ შეძლო **გიორგი ხიდეშელმა**. შესაძლოა, დაზიანება საკმაოდ მძიმე აღმოჩნდეს.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ "ზესტაფონმა" კიშინიოვში ნამდვილ ჯოჯოხეთს გაუძლო. "დაჩია" უკვე ისტორიაა, წინ "შტურმია", ჩვენთვის ჩემპიონთა ლიგა გრძელდება!

...

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გეგუჩაძე და დობროვოლსკი ერთმანეთს არ გადაჰყრიან და, ალბათ, ასეც სჯობდა. მედიის წინაშე თავდაპირველად "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი წარდგა. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ დობროვოლსკისა და ჟურნალისტებს შორის ტრადიციული ცინიკური დიალოგი შედგა, რომელსაც ასევე ხვალ შემოგთავაზებთ. "დაჩიას" დამრიგებელმა "ზესტაფონის" საბოლოო გამარჯვებას უსამართლობა უწოდა.

გია გეგუჩაძე: - მატჩის წინა დღეს პრესკონფერენციაზე მოლდოველებს გულთბილი დახვედრისთვის მადლობა გადავუხადე, მაგრამ, როგორც ჩანს, მოვლენებს წინ გავუსწარი. მიკვირს, რატომ იყო მოედანზე და მის მიღმა ასეთი აგრესია. თუ გნებავთ, შეგიყვანთ ჩვენი გუნდის გასახდელში და განახებთ, რა დღეში არიან ფეხბურთელები.

- რა მოხდა "ზესტაფონის" ფეხბურთელსა და დობროვოლსკის შორის?

- ჯერ არ ვიცი, დააშავა თუ არა რამე ფეხბურთელმა, მაგრამ ფაქტია, რომ დობროვოლსკიმ ჩვენს 10 ნომერს დაარტყა. ეს არ არის ღირსეული ადამიანის საქციელი. დანარჩენს მეც და თქვენც ვიდეოჩანაწერში ვნახავთ.

- მოითხოვთ "დაჩიას" დასჯას?

- ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის. რა, ვინმე რომ დასაჯონ, ამით ჩემი ფეხბურთელები უცებ გამოჯანმრთელდებიან?

- "დაჩიამ" დღეს "ზესტაფონზე" უკეთ ითამაშა?

- დღეს ფეხბურთი არ ყოფილა, "დაჩიამ" კი ჩვენზე უკეთ იჩხუბა. მესმის, რომ ძნელია მარცხთან შეგუება, მაგრამ უკადრებელი არ უნდა იკადრო.

- იმსახურებდა "დაჩია" მოლდოვის ჩემპიონობას?

- მოლდოვის ჩემპიონატს არ ვიცნობ და ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ისე კი, "დაჩია" კარგი გუნდია და კარგი ფეხბურთელებიც ჰყავს, რომელთაც თამაშის საშუალება უნდა მისცენ.

ავტორის ფოტოები

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ალექს გარსია:

ყველაფერში დამნაშავე მე ვარ!

ალექს გარსია

დღეს თბილისის "დინამო" უელსურ "ლანელისთან" რევანშის აღებას და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლას შეეცდება. გუშინ "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ალექს გარსიამ ეროვნულ სტადიონზე ღია ვარჯიში ჩაატარა, რომელშიც დისკვალიფიცირებულნი, გიორგი კახელიშვილი და ირაკლი ლექვთაძე არ მონაწილეობდნენ. მანამდე გარსია მედიას გუნდის ესპანელ ახალწვეულ ჩისკოსთან ერთად შეხვდა.

ალექს გარსია: იმედი მაქვს, ხვალ გულშემატკივარი მოვა, მათ მხარდაჭერაზე კი ბევრია დამოკიდებული. მოგებისთვის მოტივირებულები ვართ.

- უელსში გამართულ მატჩს როგორ შეაფასებდით?

- ანგარიშით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო, გოლი რომ გავიტანეთ.

- დაგვრჩა შოაბეჭდილება, რომ დაცვაში სერიოზული პრობლემები იყო. მთელი მატჩის განმავლობაში ასეთი ქაოსი რამ განაპირობა?

- ამ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ დაცვის დადანაშაულება. ნაგებაში დამნაშავე, უპირველესად, მე ვარ.

- მატჩის შემდეგ "დინამოს" პრეზიდენტმა რომან ფიფიამ თქვა, რომ ზოგიერთი ფეხბურთელის მომზადების დონით უკმაყოფილო იყო და გუნდის მთავარ მწვრთნელთან შეხვედრას

დინამო ქომაგებს:

ფრთხილად!

და დალაპარაკებას აპირებდა.

- ფიფია შეხვდა გუნდს და წაგებასთან დაკავშირებით მან თავისი აზრი დააფიქსირა, მე კი - ჩემი.

- კითხვა ჩისკოს. ადაპტაციის პერიოდი უკვე დაძლიეთ? და კიდევ, "ლანელისთან" საგოლე მომენტების გამოუყენებლობას რას მიაწერთ, ფორმაში ვერ შეხვედით?

- ადაპტაცია პრობლემა არ ყოფილა, ისე კარგად მიმიღეს კლუბში, დროზე ადრეც კი გავიარე. გუნდის შეკვრას კი დრო სჭირდება. უელსში ორი მომენტი ვერ გამოვიყენე, მაგრამ იმედია, ხვალ გავიტან.

შემდეგ კითხვებს ისევ გარსიამ უპასუხა.

- ხვალ შემადგენლობაში ცვლილებები იქნება?

- შემადგენლობას ხვალ, თეორიული მეცადინეობის შემდეგ გამოვაცხადებ.

- განვლილ მატჩებში დინამოელთა ბევრი ყვითელი ბარათი რით აიხსნება და რა კეთდება, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს?

- ყვითელ ბარათებს შემტევი მოთამაშეები იღებენ და ეს საყურადღებოც არის და საკმაოდ უცნაურიც. ალბათ, რაღაც ლოგიკა არის ამაში, რადგან შემტევები პირველი დამცველებიც უნდა იყვნენ.

- შემდეგ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში "რეიკიავიკი" უფრო უხერხულ მეტოქედ მიგაჩნიათ თუ "ჟილინა"?

- ახლა მხოლოდ ხვალინდელ მატჩზე ვფიქრობ, მაგრამ იმედია, პარასკევიდან მომდევნო მეტოქეზე ვიფიქრებ.

- შემდეგი რაუნდებისთვის გუნდს გაძლიერება არ დასჭირდება?

- ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ჩვენ ხომ არ ვიცით, ხვალ რა იქნება?

მერაბ მამულაშვილი

"დინამო" მიმართავს ქომაგებს, გამოიჩინონ მაქსიმალური სიფრთხილე და თავშეკავება, რათა "ზესტაფონის" შემდეგ კიდევ ერთი ქართული გუნდი არ დაისაჯოს. სამაგალითო ქომაგობა და სამაგალითო წესრიგი ერთმანეთს არ გამორიცხავს.

ანატოლი პისკოვეცი

კვიპროსში დიდი ანგარიშით დამარცხებული „გაგრა" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაცო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში თავდაუზოგავ თამაშსა და რევანშის აღებას აპირებს. ქართული კლუბის მიზნებზე ზესტაფონის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში „გაგრას" მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა ილაპარაკა. პრესკონფერენციას კვიპროსელი ჟურნალისტები არ დასწრებიან.

ანატოლი პისკოვეცი: „ვეცდებით, რომ ხვალინდელ მატჩში რევანში ავიღოთ. ფეხბურთელები გულმოდგინედ ვარჯიშობენ და „გაგრასა" და ქართული ფეხბურთის პრესტიჟის დასაცავად ყველაფერს გავაკეთებთ. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და რა გამოგვივა, ამას ხვალ ვნახავთ.

- პირველ მატჩში დიდი ანგარიშით დამარცხების შემდეგ გუნდს რა შანსები აქვს?

- შანსებზე რა მოგახსენოთ, ხვალინდელ მატჩში კი, გითხარით, ცდას არ დავაკლებთ, გარისკვასაც არ მოვერიდებით, ვეცდებით, შემტევი და აგრესიული ფეხბურთი ვითამაშოთ. გვეყოფა თუ არა საამისოდ ოსტატობა და გამოცდილება, ხვალ გამოჩნდება.

ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი საერთაშორისო მატჩებში გამოუცდელობაა, ჩვენს მეტოქეს კი მსგავსი პრობლემა არ აქვს. პირველ მატჩში 20 000 მაყურებლის წინაშე, დოლების ბრაგუნსა და საოცარ ატმოსფეროში მოგვინია თამაშმა, რამაც ჩვენი გამოუცდელი მოთამაშეები გარკვეულ წნეხში მოაქცია. ეს არ იყო წაგების ერთადერთი მიზეზი. რა თქმა უნდა, ჩვენს ფეხბურთელებს ჯერ ოსტატობაც აკლიათ, მაგრამ გუნდი სწორედ ასეთი დონის შეხვედრებში იწრთობა. ჯერჯერობით კი ძნელია შევეჯიბროთ ისეთ კლუბს, რომელიც ყოველ სეზონზე ტრანსფერებში მილიონებს ხარჯავს და მასში ჩეხეთის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების ეროვნული ნაკრებების ფეხბურთელები თამაშობენ. პირველ მატჩში „ანორთოსისსა" და „გაგრას" შორის ისეთივე სხვაობა იყო, როგორიც, ვთქვათ, დიდ ძმასა და პატარა ძმას შორის.

დიდ ძმასთან პაჭარა ძმასა...

პისკოვეცმა ოვონიკოკო ინატრა და შეტევას დაგვპირდა

- ხვალინდელი მატჩისთვის ყველა ფეხბურთელი მწყობრშია?

- სიჭინავა გაცივდა და სიცხე აქვს. დანარჩენები მწყობრში არიან და ხვალინდელი შეხვედრისთვის ემზადებიან. არის მიკროტრავმებიც, მაგრამ ისეთი არა, რომ ამის გამო ფეხბურთელი მოვისაკლისოთ, სამწუხაროდ, ადრევე გამოგვაკლდა ოვონიკოკო, რომელიც გუნდის თავდასხმის ლიდერია. მისი აგრესიული შეტევის სტილი „ანორთოსისთან" ძალიან გამოგვადგებოდა.

- როგორ ფეხბურთს უნდა ველოდოთ „გაგრასგან" ხვალინდელ მატჩში?

- შემტევს და აგრესიულს. დასაკარგი არაფერი გვაქვს და უნდა გავრისკოთ დიდი ძალებით შეტევა. ნინა ხაზში მეტი აგრესიულობა გვმართებს და არა ისე უკბილოდ მოქმედება, როგორც კვიპროსში. უსიამოვნოა, მაგრამ ფაქტია, რომ იქ არც ერთი კუთხური არ მოგვიწოდებია და კარისკენაც სულ სამჯერ დავარტით. თუმცა ფეხბურთელების მიმართ პრეტენზიას ვერ გამოვთქვამ — ვერ ვიტყვი, რომ არ ცდილობდნენ და არ იხარჯებოდნენ. ვნახეთ ამ თამაშის ჩანაწერი, განვიხილეთ და შეცდომები გავაანალიზეთ... ყველაფერს თავისი დრო აქვს. ხვალინდელი მატჩიც პრაქტიკა და გამოცდილებაა ჩვენთვის. ასეთ თამაშებში გავიზრდებით და გავძლიერდებით.

დავით კოხრეიძე
ზესტაფონიდან

ესპანელები აბზობენ იმას, რაც უნდა თქვან: მოვიგებთ!

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე უელსურ "ლანელისთან" საპასუხო, შინაურ მატჩამდე თბილისის "დინამოს" ახალწვეულმა ესპანელებმა ფანკლუბის ვებგვერდზე კომენტარები გააკეთეს.

ჩისკო: "უელსელებთან შეხვედრაში მაქსიმალურად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ, რათა აღარ გავიმეოროთ დაშვებული შეცდომები. გულშემატკივარს კი გამარჯვებას ვპირდებით".

იაგუე: "ვფიქრობ და იმედი მაქვს, რომ სტადიონზე მრავალი გულშემატკივარი მოვა და უელსელებს დავამარცხებთ".

კოტო: "ლანელისთან" მატჩში გულშემატკივრებს ლამაზ თამაშს და, უპირველესად, გამარჯვებას ვპირდებით".

შეგახსენებთ, რომ „დინამო"–„ლანელის" შეხვედრა ეროვნულზე 21 საათზე დაიწყება, პირდაპირ ტელეარეპორტაჟს კი მეორე არხი შემოგთავაზებთ.

მერაბ მამულაშვილი

● გაგრა-ანორთოსისი

ცოცხლად, ცოცხლად...

შეხსენებით დავიწყებთ: „გაგრა"-„ანორთოსისის" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრა დღეს, 21 საათზე დაიწყება ზესტაფონის მთავარ არენაზე და „საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

გუშინ გუნდებმა მატჩისწინა, ბოლო წვრთნა სწორედ ზესტაფონში, „დავით აბაშიძეზე" ჩაატარეს. პირველებმა, 17:30-ზე, კვიპროსელებმა ივარჯიშეს. ამინდითა და მოედნის საფრით სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ, ხალისიანად და ენერგიულადაც ირჯებოდნენ. მსუბუქი მოთელვის, კვადრატებისა და კარში დარტყმების შემდეგ ფამაგუსტელებმა ფლანგურ შეტევებსა და სტანდარტულებში წაივარჯიშეს, ბოლოს კი მათმა ბულგარელმა მწვრთნელმა **სტანიმირ სტოილოვმა** ორად გაყოფილი გუნდი ათამაშა. „ყვითლების" შემადგენლობა ასეთი იყო: **კოზაჩიკი, ტომაშიკი, ჟანისიუ, სიელისი, თეოდორუ, ლაბანი, ჰაჯიგეორგიუ, ვუჩიჩევიჩი.** "ლურჯების" გუნდში იყვნენ **ივანკოვი, სპროკელი, ანდიჩი, ლეიტვაკაბესი, კოლინი, ლაბორდე, ოკასი** და **რეჟეკი.** მოგვიანებით თამაშში სტოილოვი და მისი ასისტენტიც ჩაერთვნენ. ფამაგუსტელთა წვრთნამ დაახლოებით საათსა და 15 წუთს გასტანა, მერე კი მოედანზე **პისკოვეცის** შეგირდები გამოჩნდნენ. მსუბუქი დატვირთვის შემდეგ უკრაინელმა სპეციალისტმა გაგრელები მეტოქის ნახევარზე ბურთის სწრაფად გადატანაში, შეტევების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებასა და საჯარიმოს გარედან დარტყმებში ავარჯიშა. პისკოვეცს ხშირად უხდებოდა ფეხბურთელთა შეფუცხუნება, მთგან მეტ აგრესიასა და „ცოცხლად მოქმედებას" ითხოვდა. იმედია, მისი შეგონებები ხვალინდელ მატჩში გაგრელებზე სასიკეთოდ იმოქმედებს და „ანორთოსისს" მეორე მატჩში მაინც შეუქმნიან პრობლემებს.

დავით კოხრეიძე
ზესტაფონიდან

სტანიმირ ალალი: გამოცდილება!

დღეს, ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით შეხვედრაში საქართველოს თასის მფლობელი „გაგრა" ზესტაფონში ფამაგუსტის „ანორთოსისს" მასპინძლობს. კვიპროსში სამი უპასუხო გოლით გამარჯვების შემდეგ კუნძულელებმა წყვილში გამარჯვებულის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს. „ანორთოსისი" საქართველოში 19 ივლისს ჩამოვიდა, ქუთაისში დაბინავდა და იმ საღამოსვე ივარჯიშა კიდეც, გუშინ კი სტუმართა ბულგარელმა თავკაცმა სტანიმირ სტოილოვმა პრესკონფერენცია გამართა. დარბაზში უმრავლესობას კვიპროსელები შეადგენდნენ, 7 ჟურნალისტთან ერთად მწვრთნელთან გასაუბრებას გუნდის პრესტაშე და 4 ოფიციალური პირი ესწრებოდა. ფამაგუსტელთა დამრიგებელი საკმაოდ სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა.

სტუმრებმა გუშინ ზესტაფონში ივარჯიშეს

- პირველი შეხვედრა დიდი ანგარიშით მოვიგეთ და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად დიდი ნაბიჯი გადავდგით. კვიპროსული მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ფავორიტებად ჩვენ ვითვლებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქმე მოთავებული გვაქვს და მეტოქეს პატივი არ უნდა ვცეთ. ვიდრე მომდევნო ეტაპზე ვიფიქრებდეთ, მანამდე „გაგრასთან" კიდევ ერთი მატჩი გვაქვს ჩასატარებელი. ფეხბურთელები საქმეს პროფესიონალურად უდგებიან. მოწინააღმდეგეს დასაკარგი არაფერი აქვს და ხვალ საკმაოდ რთული მატჩი გველის.

- პირველ მატჩში მეტოქის ასეთ სუსტ თამაშს თუ ელოდით?

-"გაგრა" სულაც არ არის სუსტი გუნდი. 3:0 კი მოვიგეთ, მაგრამ მეტოქე მომეწონა. თანამედროვე, სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთის თამაშს ცდილობდა. პირველ წუთებში ძალიან აქტიურად ითამაშეს და ჩვენს კარსაც დაემუქრნენ, თუმცა შემდეგ ჩვენ ვიძალეთ და გავიმარჯვეთ. სწრაფ გოლთან ერთად დიდი ანგარიშით მოგებაში შინაური კედლები და გულშემატკივართა მხარდაჭერა დაგვეხმარა. ვფიქრობ, სტადიონზე შექმნილმა ატმოსფერომ ევროტურნირებზე გამოუცდელი სტუმრები დააბნია და ეს ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენეთ. ვიცი, რომ „გაგრა" წლეულს გადავიდა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და მას წარმატებებს ვუსურვებ.

- მეტოქე გუნდის ფეხბურთელებიდან ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?

- „გაგრა" დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ფეხბურთელებით, რომლებსაც კარგი მომავალი აქვთ. გამოცდილებას შეიძენენ და უკეთეს დონეზე ითამაშებენ. კონკრეტულად კი ვინმეს გამორჩევა გამიჭირდება.

- საქართველოში უძლიერესი შემადგენლობა ჩამოიყვანეთ?

- უძლიერესი შემადგენლობა პირველ შეხვედრაშიც არ გვყოლია. კვიპროსში ხუთი საუკეთესო მოთამაშე გვაკლდა და ისინი არც ხვალინდელ მატჩში იქნებიან. გამოგვაკლდა ძირითადის კიდევ ერთი წევრი, ბრაზილიელი ევანდრო რონკატო, რომელიც კვიპროსულ მატჩში დაშავდა და შევცვალეთ. მცირე ტრავმები აქვთ მარანგოსსა და მინტიკისს. როგორც ხედავთ, გარკვეული პრობლემები გვაქვს, თუმცა საბრძოლველად მზად ვართ.

- თქვენი მიზანი ხვალინდელ მატჩში...

- საქართველოში საბრძოლო განწყობით ჩამოვედით. ძალების დაზოგვას არ ვაპირებთ და მოედანზე მოსაგებად გავალთ.

- როგორ თამაშს უნდა ველოდოთ თქვენი გუნდისგან?

- ჩვენ სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთს მივდევთ, ფიზიკურადაც კარგად ვართ მომზადებული, ასე რომ, შევეცდებით მაყურებლებს ლამაზი ფეხბურთი შევთავაზოთ.

- ხვალინდელ მატჩში მეტოქეთა შანსებს როგორ გაანალიზებდით?

- წინასწარ შანსებზე ლაპარაკი ძნელია. ყველაფერი ხვალ, მოედანზე გამოჩნდება.

დავით კოხრეიძე

ქართული ფეხბურთი

დინამო

სანდრო იაშვილი

იაშვილი?

გარსიამ კითხვა გიორგი ნემსაძისკენ გადაამისამართა

ახალი სეზონის წინ თბილისის "დინამომ" რამდენიმე ახალწვეული დაიმატა, მათ შორის იყო **სანდრო იაშვილი,** რომელიც გუნდთან ერთად ავსტრიაში მოემზადა, მაგრამ ევროპის ლიგის ვერც ერთ მატჩში ვერ მოხვდა 18-კაციან განაცხადში.

ასევე არ ჩანს გუნდში უნგრული "დიორი ეტოს" შემტევი ნახევარმცველი **თემურ შარაშენიძე,** რომლის "დინამოში" ჩარიცხვა გადანყვეტილი ამბავი გვეგონა.

გუშინ ეროვნულ სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელ **ალექს გარსიას** ამის თაობაზეც დაეკითხნენ.

"მათ შესახებ მე ჩემი აზრი გამაჩნია, რაც ჩვენს სპორტულ დირექტორ გიორგი ნემსაძეს ვუთხარი კიდეც. უკეთესი იქნება, ეს ნემსაძეს ჰკითხოთ" – თქვა გარსიამ, მისი ტონი კი დაახლოებით იმას ნიშნავდა, რომ იაშვილი და შარაშენიძე არ მჭირდებიანო.

კომენტარისთვის **გიორგი ნემსაძეს** მივმართეთ: *"იაშვილს კლუბთან ხანმოკლე კონტრაქტი აქვს და ვერ გეტყვით, ასეთ მდგომარეობაში დარჩება თუ სხვა კლუბში გადასვლას ამჯობინებს. ფაქტია, რომ გარსია მას არ ათამაშებს. რაც შეეხება შარაშენიძეს, "დინამოში" მისი გადმოსვლა გამორიცხულია, რადგან "დიორი ეტოსთან" მოქმედი კონტრაქტი აქვს".*

მერაბ მამულაშვილი

სამზადისი

სპარტაკის +6

ურეკში, მოსამზადებელ შეკრებაზე, ცხინვალის "სპარტაკმა" ამხანაგური მატჩი გამართა წალენჯიხის "სქურთან".

"სპარტაკს" არ ჰყავდა 19-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული **ვალერი კილასონია,** ტრავმის გამო არ უთამაშიათ **ბესიკ დეკანოიძესა** და თავდამსხმელ **ზვიად მეტრეველს.** მწვრთნელმა **ბადრი კვარაცხელიამ** დაასვენა კაპიტანი **გია კვარაცხელია, გიორგი ციმაკურიძე, ბადრი ტეტუნაშვილი, კობა შალამბერიძე, რევაზ ჯიქია** და მეკარეები, **თორნიკე ზარქუა** და **ნიკა დაუშვილი.** ეს იმიტომ, რომ 21 ივლისს ცხინვალელებს ურეკული შეკრების ბოლო მატჩი აქვთ საჩხერის "ჩიხურასთან".

თამაში ცხინვალელთა სრული უპირატესობით წარიმართა და საბოლოო ანგარიში პირველივე ტაიმში დაფიქსირდა – გოლები გაიტანეს **ილია ბუზალაძემ** (2) და **ნიკოლოზ მაისურაძემ.** მეორე ნახევარში ანგარიშის შეცვლა არაერთხელ შეიძლებოდა, ცხინვალელებს მეტი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ...

სპარტაკი–სქური 3:0

1:0 ბუზალაძე (17), 2:0 ნ. მაისურაძე (28), 3:0 ბუზალაძე (41)

სპარტაკი: **ლ. ძაგანია, სეფიაშვილი, გ. ალავიძე, ბურძენაძე, ბოიომო, ზერეკიძე, კაკაშვილი, ხაჭვანი, ნ. მაისურაძე, ნარიმანიძე, ბუზალაძე.**

მეორე ტაიმში შევიდნენ: **ლობჯანიძე, თუხარელი, მამუჩიშვილი**

შეკრებაზე გამართული 8 მატჩიდან "სპარტაკმა" ექვსი მოიგო.

მერაბ მამულაშვილი

პირველი ლიგა

თქვენი ნომერია...

გუშინ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდების წილისყრა გაიმართა, რომლის მიხედვითაც შედგება კალენდარი. პირველობის სრულ განრიგს ფედერაცია მალე გამოაქვეყნებს.

წილისყრას თითქმის ყველა კლუბის წარმომადგენელი დაესწრო. მანამდე მათ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** ესაუბრა და ფედერაციის მხრიდან ყოველგვარ დახმარებას დაჰპირდა. თუმცა დარჩენილი დავალიანებების გასტუმრების აუცილებლობაც შეახსენა.

I ზონა

1. **ჩხერიმელა (ხარაგაული)** (საშინაო მატჩებს ჩაატარებს ხარაგაულის სტადიონზე)
2. **სტუ – („შატილი")**
3. **„სამტრედია"** – („ეროსი მანჯგალაძე")
4. **„ლოკომოტივი"** – (საგურამოს ბაზა)
5. **„კოლხეთი" (ხობი)** – (ხობის სტადიონი)
6. **„ქიათურა"** – (ქიათურის სტადიონი)
7. **„მეშახტე"** – (ტყიბულის სტადიონი)
8. **„მესხეთი"** – (ახალციხის სტადიონი)
9. **„მერცხალი"** – (ოზურგეთის სტადიონი)
10. **გათუმი** – („ადელი")

II ზონა

1. **„სქური"** – (წალენჯიხის სტადიონი)
2. **„აეტი"** (სოხუმი) – („შატილი")
3. **„ჩიხურა"** – (საჩხერის სტადიონი)
4. **„სამგურალი"** – (წყალტუბოს სტადიონი)
5. **„ადელი" (გათუმი)** – („ადელი")
6. **„გურია"** – (ლანჩხუთის სტადიონი)
7. **„ნორჩი დინამოელი"** – („შატილი")
8. **„სულორი"** – (ვანის სტადიონი)
9. **„ზოოვეტი"** – (მცხეთა, „არმაზი")
10. **„იმერეთი"** – (ხონის სტადიონი)

მერაბ მამულაშვილი

ტორპედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლოვენიისკენ...

19 ივლისს ქუთაისის „ტორპედომ" ურეკში ბოლო საკონტროლო შეხვედრა პირველლიგელ საჩხერის „ჩიხურასთან" გამართა და 0:0 დაასრულა.

პირველი ნახევრის შემდეგ ქუთაისელთა მწვრთნელებმა, **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** მეკარის გარდა ყველა მოთამაშე შეცვალეს. საჩხერელთა მთავარ მწვრთნელ **სოსო ფრუიძეს** კი, რომელიც წლების წინ "ტორპედოს" ავარჯიშებდა, შემადგენლობის შეთამაშება სურს და ბირთვს ძლიერ მეტოქესთან თავის გამოჩენის შანსი მისცა. მათაც თავი არ შეურცხვენიათ, მეორე ტაიმში **ლაშა სილაგავას** გოლის გატანის მშვენიერი შანსიც ჰქონდა, მაგრამ მეკარე **ომარ მიგინეიშვილთან** პირისპირ დარჩენილმა ბურთი ვერ გაისნორა და მომენტიც გაუცუდდა.

საბოლოოდ, ტორპედოელებმა პირველი ლიგის ერთ-ერთ ამბიციურ კლუბს ვერაფერი დააკლეს და უგოლო ფრით გაეყარნენ.

ტორპედო–ჩიხურა 0:0

ტორპედო: **მიგინეიშვილი, ფოფხაძე (54. ტაბატაძე), ქემოკლიძე (65. ფარულავა), თოდუა (65. ჩხარტიშვილი), გურული (59. მანჩხავა), ჩიკვილაძე (60. დათუნაიშვილი), დოლიძე (57. იოსელიანი), სეთურიძე (46. კირკიტაძე), თარხნიშვილი (55. გიგაური), ბოლქვაძე (60. კუხიანიძე), გოცირიძე (46. საბანაძე, 70. მეგრელაძე).**

ჩიხურა: **მწყერაშვილი, ჩიკვაიძე, ბერიანიძე, ლაშა ჭელიძე, ბაკურაძე, ლაშა ნოზაძე, ძამსაშვილი (70. ზივზივაძე), ნიკა კვასხვაძე, სალარიძე, სილაგავა, ზვიად ქანთარია (70. ზამბახიძე).**

ტორპედოელები 22 ივლისს სლოვენიაში, მეორე მოსამზადებელ ეტაპზე გაემგზავრებიან.

ამგვარად, კიკნაძე-ზამთარაძის განვრთნილებმა ურეკულ შეკრებაზე ხუთი საკონტროლო შეხვედრა გამართეს და სამში იმარჯვეს: ოზურგეთის „მერცხალთან" (7:0), ლანჩხუთის „გურიასთან" (7:1) და მარტვილის "მერანთან" (1:0), ბათუმის „დინამოსთან" და "ჩიხურასთან" უგოლო ფრე ითამაშეს, ფოთის „კოლხეთთან" სპარინგი კი ავდრის გამო ჩაეშალათ.

მერაბ მამულაშვილი

მერანი

მარტვილი: შეკრება უმაღლესლიგური თურქეთი საკონტროლოებით

უმაღლეს ლიგაში გადასული მარტვილის "მერანი" ტრაბზონში გაემგზავრა ერთკვირიან შეკრებაზე. სავიზო პრობლემების გამო გუნდს თურქეთში ვერ გაჰყვნენ კოტდივუარელი ლეგიონერები **ტაპე** და **ჯოელი,** სამაგიეროდ, მარტვილელებთანაა ახლახან გადაბირებული გორელი ფეხბურთელი **გურამ სამადაშვილი,** რომელიც გასულ სეზონში ფოთის "კოლხეთში" ირიცხებოდა.

მარტვილელთა თავკაცმა **მალხაზ ჟვანიამ** თურქეთში წაიყვანა შემდეგი ფეხბურთელები: შეროზია, შენგელია, ჟვანია, იობაშვილი, ჩალაძე, კაკუშაძე, ილურიძე, მემანიშვილი, ამბროლაძე, კუჭუხიძე, წოწორია, ტორაძე, მელიავა, მანწკავა, გრიგალაშვილი, ქამუშაძე, შალიკაშვილი.

ტრაბზონში მარტვილელებს ორი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი. პირველ შეხვედრაში "რიზესფორს" დაუპირისპირდებიან, შემდეგ კი "ტრაბზონსფორის" მეორე გუნდთან მოსინჯავენ ძალებს. 28 ივლისს მარტვილელები შინ გამობრუნდებიან და ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადებას განაგრძობენ.

გუნდის ხელმძღვანელთა თქმით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა უკვე დაათვალიერეს მარტვილის ცენტრალური სტადიონი და ნება დართეს, საშინაო მატჩებს საკუთარ კედლებში უმასპინძლონ. ცხადია, სტადიონის ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო მოწესრიგდება.

შეგახსენებთ, რომ "მერანს" ჩემპიონატის პირველი მატჩი "გაგრასთან" 7 აგვისტოს შინ ელის.

ბესიკ გვაზავა
მარტვილიდან

ინფრასტრუქტურა

ნეტავ, ეს ზემპი თამაშში გვანახა

ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებშიც ისეთივე ტემპი რომ იყოს, როგორიც მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებშია, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გრაფიკის დაცვით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები პრეს და ვიპლოჟებში.

"გასუფთავებულია და სამუშაოებისთვის მზადაა სტადიონის გასახდელების ბლოკი, რომელიც მთლიანად შეიცვლება. ამიერიდან გუნდები გასახდელებში ცალ-ცალკე შესასვლელებით შევლენ. რემონტდება მსაჯთა ოთახებიც.

რაც შეეხება მოედანს, მთავრდება მიწის ზედაპირის დამუშავება–გასწორების სამუშაოები და ამ დღეებში მინდვრის საფრის დაგება დაიწყება. ბერძნული კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, სამუშაოები გეგმის მიხედვით მიდის და ახალი მოედანი სფფ-ს დათქმულ ვადაში ჩაბარდება" – იუწყება ფედერაციის პრესსამსახური.

დაბოლოს: უეფამ სტადიონებზე დამცავი მესერის დაყენება აკრძალა. ამიტომ, ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, განახლებულ "მიხეილ მესხზე" მესერი აღარ იქნება, ასე კი სტადიონზე უკეთესი საფეხბურთო გარემო შეიქმნება.

ფოტოები: www.gff.ge

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

კვირკველიამ რუბინი დაიმსახურა

საბა კვირკველია რუსეთის ორგზის ჩემპიონ "რუბინის" სრულუფლებიანი წევრი გახდა - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენრალურმა მცველმა ყაზანურ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

19 წლის კვირკველია "რუბინში" თებერვალში ჩაირიცხა და კონტრაქტი 0,6+5 სისტემით გააფორმა. საბას ნახევარი სეზონის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ყაზანელთა მთავარმა მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა** იგი პრემიერლიგის მატჩების განაცხადში სამჯერ შეიყვანა - "როსტოვთან", "ვოლგასთან" და "ყუბანთან", მაგრამ მოედანზე არ გაუყვანია, 17 ივლისს კი ყაზანელთა მაისურით სადებიუტო, სათასო შეხვედრა ეკატერინბურგის "ურალთან" შეუცვლელად ჩაატარა.

როგორც ჩანს, კვირკველია დუბლებშიც და დასაკვირვებელ პერიოდშიც დამაჯერებლად გამოიყურებოდა. საშუალედო კონტრაქტის გასრულების შემდეგ ქართველი მცველის მენეჯერი და ყაზანელთა თავკაცები მოსალაპარაკებლად ხელახლა დასხდნენ და შეთანხმდნენ –კვირკველია "რუბინში" ითამაშებს.

შესაძლოა, საბამ პრემიერლიგაში პირველად 22 ივლისს გროზნოში, "ტერეკის" წინააღმდეგ იასპარეზებს.

მერაბ მამულაშვილი

● მანჩესტერ სიტი

აგერ, აგუერო, მაგრამ ტევესი?

„მანჩესტერ სიტი“ „ატლეტიკოს“ 38 მილიონი ფუნტის ანუ 43,2 მილიონი ევროს გადახდას დაჰპირდა — ამ თანხის სანაცვლოდ მადრიდიდან მანჩესტერში 23 წლის არგენტინელი თავდამსხმელი, **სერხიო აგუერო** უნდა გადავიდეს. ცნობილია, რომ აგუერო მანჩესტერელებს **კარლოს ტევესის** შემცვლელად უნდათ და, ალბათ, საბოლოოდ ასეც მოხდება, მაგრამ ისტლენდელები 27 წლის ფორვარდს ვერა და ვერ ყიდიან. ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ტევესის ბრაზილიურ „კორინთიანსში“ გადასვლა ზუსტად მაშინ ჩაიშალა, როდესაც „სიტი“ და „ატლეტიკო“ აგუეროს გამო ხელს ხელზე ურტყამდნენ.

მართლაც საოცარი რამ მოხდა ტევესთან დაკავშირებით — „კორინთიანსს“ და „სიტის“ ბრაზილიური სატრანსფერო კარი ზედ ცხვირწინ მიუჯახუნეს. მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოება სახტად დარჩა. თუ მხარეებს უნდოდათ საქმე გამოსულიყო — და თავიდან მართლაც ასე ჩანდა — როგორ მოახერხეს, რომ ბოლო დღემდე მივიდნენ და სატრანსფერო ვადებიც ამოიწურა? „კორინთიანსის“ პრესსამსახურმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა:

„კლუბის დირექტორატი ოფიციალურად აცხადებს, რომ არგენტინელი თავდამსხმელის, კარლოს ტევესის ყიდვა შეუძლებელია. „მანჩესტერ სიტისა“ და მოლაპარაკებებში ჩართული სხვა მხარეების პოზიციების შეჯერებამ იმდენი დრო წაიღო, რომ ბრაზილიაში სატრანსფერო სეზონი დასრულდა. „კორინთიანსის“ დირექტორატი სწუხს, რომ ვერ ასრულდა გულშემატკივრის სურვილი, კიდევ ერთხელ ენახათ ტევესი საყვარელი გუნდის შემადგენლობაში. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ტრანსფერი უახლოეს მომავალში მაინც განხორციელდება“.

გუშინ ვწერდით, რომ „სიტიმ“ და „კორინთიანსმა“ თანხაზე თავიდან თითქოს მოილაპარაკეს, მერე კი ბრაზილიურმა კლუბმა განაცხადა, რომ ასეთ ფულს ვერ გადაიხდიდა. დღეს ინგლისური პრესა აზუსტებს: „კორინთიანსი“ და „სიტი“ 40 მილიონ ფუნტზე ანუ 45,5 მილიონ ევროზე მოლაპარაკებულან, მაგრამ პრობლემა ამ ფულის გადახდის ვადები გამხდარა. ბრაზილიელები თურმე ამბობდნენ, რომ თანხის პირველ ნაწილს წინასწარ ვერ გადაიხდიდნენ. ფულის ოთხი წლის განმავლობაში, ოთხ ნაწილად გადახდაზე ყოფილა ლაპარაკი. ბრაზილიელებს უნდოდათ პირველი ნაწილი 2012 წლის თებერვალში გადაეხადათ, როდესაც მათი გაფორმებული ძვირფასი სატელევიზიო კონტრაქტები ძალაში შევიდოდა და ფულიც გაუჩნდებოდათ, მაგრამ „სიტი“ ამ თანხას თავიდანვე ითხოვდა. სესხება „კორინთიანსმა“ არ ისურვა, რადგან ბრაზილიური ბანკები მსოფლიოში გაუგონარ პროცენტს ითხოვენ.

სერხიო აგუერო

მოგეხსენებათ, ტევესს შვილებისგან შორს ცხოვრება არ შეუძლია და ამიტომ გადაწყვიტა „მანჩესტერ სიტის“ დატოვება. თავდამსხმელის ოჯახი არგენტინაში ცხოვრობს, ცოლი ფეხბურთელს ქმარს მანჩესტერში არ მიჰყვება. ბრაზილია კი არგენტინასთან ახლოს არის და „კორინთიანსის“ ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ ფორვარდი ნებისმიერ ევროპულ კლუბს მათზე უკან დააყენებდა. ახლა, სან პაულუელები იანვარს დაელოდებიან და მანჩესტერელებს ახალი წინადადებით მიმართავენ, მაგრამ დაიცდის მანამდე „სიტი“? ნუთუ, ისტლენდელები ტევესს ამდენი ხანი დაიტოვებენ და ვეებერთელა ხელფასს გადაუხდიან?

ამბობენ, რომ ახლა იტალიაში ან ესპანეთში გადასვლაზე დაიწყება ლაპარაკი — ეს ქვეყნები არგენტინასთან კულტურულად და კლიმატით უფრო ახლოს არიან და ტევესის მეუღლემ შესაძლოა იქ ცხოვრება ინებოს. დაიწერა, თითქოს საქმეში უკვე ჩაერია „ინტერი“, თუმცა ვინც გინდა იყოს, „კორინთიანსივით“ 40 მილიონად ვერ მოაგვარებს ამ საქმეს. ევროპული კლუბისგან „სიტი“ 50 მილიონ ფუნტს ანუ 56,9 მილიონ ევროს მოითხოვს. რატომ? იმიტომ, რომ ისტლენდელები თავიანთ ფორვარდს 10 მილიონ ფუნტს პატივისცემის ნიშნად უკლებდნენ — მშობლიურ კონტინენტზე გინდა გადასვლა და ჩვენც ხელს შეგიწყობთო. აი, ევროპელ კონკურენტებს კი ფასდაკლების იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „კორინთიანსთან“ საქმის ჩაშლამ „სიტი“ აგუეროს ფრონტზე არ დააბრკოლა. ამბობენ, რომ აგუერო „რეალისგან“ ელოდებოდა წინადადებას, მაგრამ **ჟოზე მოურინიოს** თვალი „სანტოსის“ **ნეიმარისკენ** ეჭირა და არ იაქტიურა. დღეს, როდესაც ინგლისური მასმედიის მტკიცებით „სიტისა“ და „ატლეტიკოს“ შორის ყველაფერი მოგვარებულია, ჯერი თავად ფეხბურთელზეა. **დიეგო მარადონას** სიძეს ისტლენდზე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ხელფასს, ხელზე კვირაში 152 მილიონ ფუნტს სთავაზობენ. აგუერომ, გასულ სეზონში, 32 შეხვედრაში 20 გოლი გაიტანა.

● მანჩესტერ იუნაიტედი

დიმიტარ ბერბატოვი

ფერგი ბერბას გაუგებდა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ბულგარელი თავდამსხმელი, 30 წლის **დიმიტარ ბერბატოვი** „ოლდ ტრეფორდზე“ რჩება და სერ **ალექს ფერგიუსონთან** მუშაობას განაგრძობს, მწვრთნელი კი ამბობს, არ გაუკვირდებოდა, ბერბა სხვა კლუბში რომ გაქცეულიყო — შეგახსენებთ 28 მაისის ამბავს: ფერგიუსონმა ფორვარდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „ბარსელონას“ წინააღმდეგ, განაცხადშიც კი არ შეიყვანა. მოგვიანებით, თავად ბერბატოვმა მოყვა, რომ როდესაც ფერგიუსონის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო, ცრემლი ვერ შეიკავა, შემდეგ კი ტრიბუნაზე მაყურებლად ასვლა შერცხვა და გასახდელში მიიმალა, სადაც თამაშს ტელევიზორში უყურა. შეგახსენებთ კიდევ ერთ ამბავს: ბულგარელი გასული სეზონის პირველ ნახევარში საუცხოო ფორმაში იყო და მანჩესტერელი ქომაგის გასახარად გოლი გოლზე გაჰქონდა, მაგრამ, გაზაფხულზე ფერგიმ მას ზურგი აქცია, სათადარიგოთა სკამზე დასვა, რის გამოც პრემიერლიგის ბომბარდირობისთვის ბრძოლაში მისი დიდი უპირატესობა გაბათილდა და საბოლოოდ „მანჩესტერ სიტის“ არგენტინელი ფორვარდი, **კარლოს ტევესი** წამოეწია.

ასეთი სეზონის მიუხედავად, ბერბატოვი მანჩესტერში დაბრუნდა და, როგორც წერენ, ფერგიუსონს ვარჯიშებზე თავი მოაწონა. რას იტყოდა მწვრთნელი, ბერბატოვს ტრანსფერი რომ მოეთხოვა? ეს კითხვა ფერგიუსონს ამერიკაში, „იუნაიტედის“ სეზონისწინა შეკრებაზე დაუსვეს. ფერგიმ უპასუხა:

„რასაკვირველია გავუგებდი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამის თქმა ყველაზე შეიძლება. ფინალში შვიდი თუ რვა ფეხბურთელი არ ვათამაშე. ვფიქრობ, ბერბატოვის საქმე კარგად წავა. ის ძალიან დიდი მონდომებით ვარჯიშობს და იმავდროულად, შესანიშნავი პიროვნებაც არის.

მინდა შეგახსენოთ, რომ ყოველ ტურში ერთსა და იმავე შემადგენლობას არ ვათამაშებ. ასეთი რამ ბოლო სამ წელიწადში ერთადერთხელ გავაკეთე. მე მყავს გუნდი, რომელიც სხვადასხვა შეჯიბრებას იგებს და იმისათვის, რომ ეს ასე იყოს, გარკვეულ პრინციპს მივსდევ, რომელსაც არც მომავალში გადავუხვევ“.

შემდეგ, ფერგიუსონმა დაადასტურა ის, რაც ყველამ ისედაც იცოდა — ბერბატოვი 23 წლის მექსიკელი თავდამსხმელის, **ხავიერ ერნანდესის** ეფექტურმა გამოჩენამ დაჩაგრა.

„ჩიჩარიტო ისეთ ფორმაში შევიდა, რომ ყოველად შეუძლებელი იყო რეგულარულად არ მეთამაშებინა. ამან ყველაზე მეტად ბერბატოვს შეუშალა ხელი. მას, უბრალოდ, არ გაუმართლა, რადგან გუნდში ეს ბიჭი გამოჩნდა“

● ტოტენჰემ ჰოთსპური

ლუკა მოდრიჩი

ლუკა ისევ დეზი იყო

25 წლის ხორვატმა გამთამაშებელმა **ლუკა მოდრიჩმა** კვლავ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მაისურა მოირგო, მაგრამ სხვა კლუბში გადასვლა მაინც არ გადაუფიქრებია. მოგეხსენებათ, „დეზები“ სეზონისწინა შეკრებას სამხრეთ აფრიკაში გადიან და ვარსკვლავმაც სწორედ იქ უკაპიტნა ჯერჯერობით ისევ თავის გუნდს, ადგილობრივ „ორლანდო პაირატსთან“ შეხვედრაში, რომელიც 1:1 დასრულდა. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ამ თამაშის მიუხედავად, მოდრიჩი მწვრთნელ **ჰარი რედნაპთან** სერიოზულად დალაპარაკებას აპირებს. მან ხომ კლუბის თავმჯდომარე **დენიელ ლივის** წერილობითი განცხადება შეუტანა, სადაც ტრანსფერს სთხოვს.

მოდრიჩმა ლივისთან თავიდან სიტყვით სცადა ურთიერთობის გარკვევა, მაგრამ, რომ არაფერი გამოუვიდა, უფრო მძაფრ ხერხს მიმართა — განთავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა. ახლა ამბობენ, რომ ფეხბურთელმა თავისი ნაბიჯის შესახებ რედნაპს უნდა უამბოს დაწვრილებით.

რად უნდა ლაპარაკი, რომ „ტოტენჰემის“ ფანები მოდრიჩის „სფურზის“ ფორმაში გამოჩენას სიხარულით შეხვდნენ, თუმცა ხორვატიაში ხალხი ამბობს, რომ ფეხბურთელს მეუღლე, **ვანია** (არ შეშფოთდეთ, ქალის სახელია) ქმარს მკაცრად აკონტროლებს, შემთხვევით რომ არ გატყდეს და განცხადება უკან არ წამოიღოს — შეგახსენებთ, „ჩელსი“ მოდრიჩს „სფურზთან“ შედარებით ხელფასის გაოთხმაგებას ჰპირდება.

„დეილი მეილი“ წერს, რომ მოდრიჩმა „ორლანდო პაირატსთან“ რედნაპისა და მწვრთნელთა შტაბის სხვა წევრების პატივისცემით ითამაშა.

ამ შეხვედრაში, „ტოტენჰემის“ შემადგენლობაში პირველად ითამაშა 40 წლის ამერიკელმა მეკარემ, **ბრედ ფრიდელმა**.

● ტექნოლოგია

პიონერი პრემიერლიგა იქნება

პრემიერლიგის შეფმა, **რიჩარდ სკუდემორმა** თქვა, რომ ინგლისის პირველობაზე კარის ხაზზე ტექნოლოგიები შესაძლოა 2012-13 წლებში დაამონტაჟონ. ამის შესახებ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჩემპიონატის შეფმა გაზეთ „გარდიანს“ უთხრა:

„ფეხბურთის აზრი გოლის გატანაა. მოთამაშეები ამისათვის საკუთარ ორგანიზმს არ ინდობენ. ვინ გატანისთვის იკლავს თავს, ვინ იმისთვის, რომ არ გაუტანონ. ფანები ტრიბუნიდან უკანასკნელ ხმაზე ღრიალებენ, მწვრთნელებს და ფეხბურთელებს კარიერა ეწყობათ და ენგრევათ. ამიტომ, ზუსტად დადგენა, გავიდა თუ არა გოლი, ძალიან მნიშვნელოვანია და თანამედროვე ტექნიკა ამის საშუალებას იძლევა. ჩვენზე, პრემიერლიგაზე რომ იყოს დამოკიდებული, დღესვე ყველა კარზე დავაყენებდით შესაბამის მონყობილობებს, მაგრამ შეზღუდულები ვართ. საბედნიეროდ, ფიფამ ბოლო დროს კონსტრუქციულად დაიწყო ფიქრი და იმედი გვაქვს, რომ 2012-13 წლებში საკითხი ერთხელ და საბოლოოდ გადაწყდება“.

კარის ხაზის ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ახალი ტალღა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის დროს აგორდა, როდესაც ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა **ფრენკ ლემპარდმა** გერმანიის ნაკრებს აშკარად გაუტანა გოლი, მსაჯებმა კი ეს ვერ დაინახეს და არ ჩათვალეს. არადა, ანგარიში 2:2 ხდებოდა და მოვლენათა ასეთი გაგრძელების შემთხვევაში რა მოხდებოდა შეხვედრის დარჩენილ დროში, უკვე მკითხაობის სფეროდან არის — შესაძლოა, მაინც გერმანიას დაეჯაბნა ინგლისი, თუმცა...

ბედმა ლემპარდს მოგვიანებით დაუბრუნა ვალი: პრემიერლიგაში, „ჩელსისა“ და „ტოტენჰემის“ შეხვედრაში, მის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი „სფურზის“ მეკარე **ეურელიო გომეშს** ხელებში გაუძვრა და კარისკენ წავიდა. გომეში ნახტომით დაეწია და ბურთი ზედ ხაზზე გააჩერა, მსაჯებმა კი გოლი ჩათვალეს, რადგან მოეჩვენათ, რომ ბურთმა ხაზი მთლიანად გადაკვეთა. ის შეხვედრა „ლურჯებმა“ 2:1 მოიგეს.

შემდეგ კი სკუდემორმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მისამართით თქვა ორიოდ სიტყვა:

„ამბობენ, რომ ინგლისურ ფეხბურთში პრობლემებია. თითქოს, ინგლისურ ფეხბურთს ყავლი გაუვიდა და გადარჩენა სჭირდება. ასეთი დასკვნის გამოტანას ანალიზი სჭირდება. მე ამისათვის მზად არ ვარ. ვფიქრობ, აქ ფეხბურთის ასოციაციამ უნდა გამოიღოს ხელი. საიდუმლო არ არის, რომ ამ ორგანიზაციამ უნდა გააძლიეროს მუშაობა იმ მიმართულებებით, რომლებზეც პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ლაპარაკია ეროვნულ ნაკრებებზე, მწვრთნელთა აღზრდასა და ბავშვთა ფეხბურთზე. ჩვენ, პრემიერლიგის ხელმძღვანელებს, ჩვენი მხრივ ძირეულად გვაინტერესებს ინგლისური ფეხბურთის განვითარება და მზად ვართ ასოციაციასთან ვითანამშრომლოთ“.



გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ინტერვიუ. ოტმარ ჰიტცფელდი

დემოკრატი არასოდეს ვყოფილვარ

რუსულმა "სპორტ ექსპრესმა" შვეიცარიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლეგენდარულ ოტმარ ჰიტცფელდს ინტერვიუ ჩამოართვა. შეხვედრა ხანგრძლივი გამოდგა, განსახილველი თემები - მრავალფეროვანი და რესპონდენტი - მეტად ენაწყლიანი. ჩვენ მასალას შემოკლებით გთავაზობთ.

- როგორია უმთავრესი საფეხბურთო ტენდენციები?

- საუკეთესო გუნდები ახლა ბევრად უფრო უკეთ კომბინირებენ, ვიდრე 10 წლის წინ. ამის ნათელი მაგალითია "ბარსელონა". თანაც გუნდში გენიალური ფეხბურთელები არიან. ითამაშო ისე, როგორც "ბარსამ", ეს ოცნებაა. არ ვიცი რამდენი მილიონი დახარჯეს კატალონიელებმა ტრანსფერებში, მაგრამ თამაშის ხარისხი შემსრულებელთა დონეზეა დამოკიდებული.

- არიან კლუბები, რომლებიც არანაკლებს ხარჯავენ, მაგრამ ასე ვერ თამაშობენ.

- დიახ, ვიცი, მაგრამ ჩვენ ტენდენციებზე ვმსჯელობთ. ის, რომ უკეთ კომბინირებენ, ბავშვთა გუნდების მაგალითზეც ჩანს. 21-წლამდელთა ჩემპიონატზე ამ მხრივ გამოაცეს შვეიცარიელებმა, ბელარუსებმა, დანიელებმა, ინგლისელებმა. პატარები სულ სხვა გარემოში იზრდებიან, სხვა სკოლას გადიან. ისინი თავიდანვე სწავლობენ ზონურ დაცვას და მაშინაც კი არ იბნევიან, როცა რამდენიმე მეტოქის გარემოცვაში ხვდებიან. შეიცვალა ვარჯიშების სისტემაც: გრძელ დისტანციებს ნელ სიობილით დღეს დიდი ადგილი აღარ იჭერს. დღეს ყველაზე მეტს მოკლე სპრინტსა და მოკლე მონაკვეთში პასების გაკეთებას უთმობენ.

- ამ სტილის ავტორი გვარდიოლაა?

- არა. ვფიქრობ, ეს იდეა იქამდეც იარსებებდა. საერთოდ, "ბარსას" ფილოსოფია ყოველთვის კომბინაციური ფეხბურთისკენ იყო გადახრილი. ასე იყო ჯერ კიდევ მიხელსისა და კრუიფის, მოგვიანებით კი ვან გაალის დროსაც. მათ ამ კლუბს მრავალი ჰოლანდიური ელემენტი შესძინეს. მათ ქვეყანაში ხომ ტექნიკასა და ტემპს ყოველთვის დიდად აფასებდნენ. მოკლედ, "ბარსელონაში" ასეთ ფეხბურთს ყოველთვის ასწავლიდნენ, გვარდიოლა კი, მოგეხსენებათ, სწორედ ამ სკოლის აღზრდილია. მას ამჟამად განსაკუთრებული თაობა ჰყავს. მესი კი უბრალოდ საუკეთესოა მსოფლიოში. საერთაშორისო ასპარეზზე ხშირად ის არის ხოლმე გუნდის შედეგების გარანტია.

- მაგრამ ესპანეთმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესის გარეშე მოიგო.

- ამ ნაკრებს ჰყავდა გენიალური ჩავი, თამაშის წამყვანი და გადამწყვეტი გოლების ავტორი ინიესტა, დიდებული ფორვარდები ვილია და ტორესი, სტაბილურად მოთამაშე დაცვა. ერთი სიტყვით, ესპანურმა საფეხბურთო განათლებამ სუპერგენერაცია გამოზარდა. ძალიან მაინტერესებს რა იქნება 10 წლის შემდეგ. ოდესღაც ასეთი თაობა გერმანიაშიც იყო - ბეკენბაუერი, მიულერი, მაიერი, ოვერატი, ნეტცერი. ეს ხალხი თავის დროზე მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე ფეხბურთს თამაშობდა და დიდად განსაზღვრავდა მსოფლიო ფეხბურთის სახეს.

- გარისკავთ და იტყვით, ვინ გაიმარჯვებს ევრო 2012-ზე?

- ფეხბურთში მე რეალისტი ვარ. ვიცი, რამდენად უნდა გაგიღიმოს ბედმა, რომ ფინალში გახვიდე და კიდევ რამდენი რამ გჭირდება, რომ გადამწყვეტი თამაში მოიგო. ყველაფერ ამის დაპროგრამება შეუძლებელია. ესპანეთი ისევ ძლიერი იქნება, ძალიან დიდი პოტენციალი აქვს გერმანიის გაახალგაზრდავებულ ნაკრებსაც.

- მაგათს, მოურინიოსა და ვან გაალს მწვრთნელ-დიქტატორებს უწოდებენ. თქვენ კი იშვიათად, მაგრამ დემოკრატ მწვრთნელად მოგიხსენიებენ. ეთანხმებით ასეთ დაყოფას?

- დემოკრატი? არა, ფეხბურთელებთან ასეთი არ ვყოფილვარ. მწვრთნელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ავტორიტარული მიდგომა. გადაწყვეტილების მიღება სწორედ მისი საქმეა და დისკუსიის დრო და ადგილი არასოდეს რჩება. დემოკრატია კი ზუსტად ბევრ მსჯელობას ნიშნავს. ამით კი დიდად არასოდეს ვყოფილვარ დაკავებული. მეორე საქმეა, რომ ბევრ დროს ვუთმობ, ავუხსნა ფეხბურთელს, თუ რატომ ვიღებ კონკრეტულ გადაწყვეტილებას. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელებს კორექტულად და ადამიანურად მოვექცე. მწვრთნელი თუ ავტორიტარი არ არის, მას შანსი არ აქვს, რადგან გუნდს ყოველთვის სჭირდება მკაცრი კონტროლი. თუმცა ეს არ არის ხელის შემშლელი პირობა ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობისთვის.

- მათეუსი, ელბერი, რიბერი... თითქმის ყველა ის ფეხბურთელი, ვისაც თქვენთან უთამაშია, ამტკიცებს, რომ ჰიტცფელდი საუკეთესო მწვრთნელია იმათ შორის, ვისთანაც მათ კარიერაში უმუშავიათ.

- მე ყოველთვის ვიყავი პატიოსანი და სამართლიანი – მაშინაც კი, როცა, როგორც მწვრთნელი, მკაცრ გადაწყვეტილებებს ვიღებდი. ნებისმიერ შემთხვევაში ხალხს პატივი უნდა სცე. ჩემთვის ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეა, ყოველი ფეხბურთელი კი პიროვნებაა.

- "ბაიერნში" მათეუსთან მშვენიერი ურთიერთობები გქონდათ. ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე თქვენ მას მწვრთნელის რანგში შეხვდით. როგორ მოგწონთ ის ამ ამპლუაში?

- მეტოქის რანგში მათეუსის დანახვა საინტერესო იყო. მისმა ბულგარელთმა კარგად ითამაშა ჩვენთან - 0:0. იმედია, ოდესმე ლოთარი აუცილებლად გახდება მწვრთნელი ბუნდესლიგაში.

- 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში "მანჩესტერის" წინააღმდეგ მე-80 წუთზე მათეუსის ნაცვლად ფინკი შეუშვით, ფეხბურთელი, რომელმაც დაუშვა შეცდომა, რისი წყალობითაც მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ გაზეთებში წერდნენ მათეუსის სიტყვებს, რომ მას თავისუფლად შეეძლო მატჩის ბოლომდე გაძლება. რეალურად რა მოხდა?

ოტმარ ჰიტცფელდი: პელეს, მარადონასა და მესის შედარება არ შეიძლება

- მეორე დღეს "ბილდმა" მართლა დაწერა, რომ მათეუსს უნდოდა ბოლომდე ეთამაშა. როცა პუბლიკაცია ვნახე, მას გუნდთან ერთად შევხვდი და ვკითხე, "ლოთარ, თამაშის განმავლობაში ორჯერ მოითხოვე შეცვლა და ეს გუნდში ყველამ დაინახა". მან დამიდასტურა, რომ შეცვლა მან მოითხოვა. ორი დღის შემდეგ იმავე "ბილდმა" დაწერა, რომ მათეუსმა დასვენება თავად ითხოვაო.

- ეს წაგება ალბათ ყველაზე მტკივნეულია თქვენს კარიერაში.

- ბუნებრივია. ფინალში დამარცხება ყოველთვის მტკივნეულია. პენალტების სერიაში გერმანიის თასის ფინალიც წამიგია და ესეც ძალზე უსიამოვნო იყო, რაც შეეხება ლიგის ფინალს... მაშინ, 1999-ში, ნამდვილად არ ვიცოდით, რომ ორი წლის შემდეგ ამ ტიტულს მაინც მოვიგებდით. მაშინ ეს რომ გვცოდნოდა, ისეთი მტკივნეული აღარ იქნებოდა. 20 წელი იყო გასული, "ბაიერნს" ევროპის უმთავრესი საკლუბო ტურნირი არ ჰქონდა მოგებული. ეს შოკი იყო... მით უფრო, რომ ჩვენ მაშინ აშკარად უკეთ ვთამაშობდით.

- მოგწონთ თუ არა ტიმოშჩუკი "ბაიერნში"?

- "ბაიერნში" 20 ფეხბურთელი მაინც თამაშობს ხოლმე სხვადასხვა რანგის ნაკრებში. როცა ფეხბურთელი სათამაშოდ იქ გადადის, ის ყველაფერს თითქმის ნულიდან იწყებს და თავიდან უხდება მზის ქვეშ კუთვნილი ადგილის ძებნა. ანატოლის თავიდან პრაქტიკულად არ აძლევდნენ შანსს. ასეთ სიტუაციაში კი თავდაჯერება კლებულობს.

- ვან გაალს აშკარად ვან ბომელი უფრო მეტად მოსწონდა.

- ვან ბომელი ტიმოშჩუკის მოსვლამდეც წამყვანი ფეხბურთელი იყო. ახალმა ფეხბურთელმა კი თავისი შანსი უნდა ეძებოს და გამოიყენოს.

- ვინ არის თქვენთვის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი?

- ის, ვინც იგებს ყველაზე მთავარ საკლუბო თუ სანაკრებო ტიტულებს, ჩემპიონთა ლიგასა და მსოფლიოს ჩემპიონატს, ასე რომ, დავასახელებ დელ ბოსკესა და გვარდიოლას.

- ცოტა ხნის წინ მოურინიო გააკრიტიკეთ.

- მე აღვნიშნე, რომ მოურინიო გვარდიოლასთან მიმართებაში მიუღებლად იქცეოდა. ის კოლეგას თავს დაესხა ზუსტად "რეალი"-"ბარსას" მატჩის წინ და ეს არაკორექტული იყო. ამ დონეზე ასე მოქცევა არ შეიძლება, სწორედ ამის გამო ვუწოდე მოურინიოს ქედმაღალი ადამიანი.

- რამდენიმე კითხვა, რომელსაც ფანები დაგისვამდნენ. პელე თუ მარადონა, ან იქნებ მესი?

- ვფიქრობ, მათი შედარება არ შეიძლება. ისინი თავიანთი ეპოქის საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ. პელესა და მარადონას ახლა რომ ეთამაშათ, ისინი უპირველესი ვარსკვლავების გვერდით იდგებოდნენ.

- შეგიძლიათ ყველა დროის სიმბოლური ნაკრების თქვენეული ვარიანტი დაგვისახელოთ?

- ძალიან ძნელია, მაგრამ ვცადოთ... კარში ზეპ მაიერი, დაცვის ცენტრში ბეკენბაუერი და კარლოს ალბერტო, მარჯვნივ - ლამი, მარცხნივ - მალდინი.

- ნახევარდაცვა?

- ავიყვანოთ მარადონა, პელე, კრუიფი და ზიდანი. თავდასხმაში გერდ მიულერი და მესი.

ამბები

ჯუმანი დე ჯუიჰზე

ჰოლანდიური პრესის ცნობით, "ფეიენოორდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატურა **რონალდ კუმანია**. ის 2009 წელს "ალკმაარიდან" წასვლის შემდეგ უმუშევარია და ბუნებრივია, სამუშაოს მოწყურებულია. ჟურნალისტების თქმით, რონალდი როტერდამში სწორედ კონტრაქტის უკანასკნელი დეტალების შესათანხმებლად ჩავიდა. კუმანს ძალზე მდიდარი სამწვრთნელო წარსული აქვს, მას გაუწვრთნია "ვიტესი", "აიაქსი", "ეინდჰოვენი", "ალკმაარი", "ბენფიკა" და "ვალენსია". სპეციალისტს 3-ჯერ აქვს მოგებული ჰოლანდიის ჩემპიონატი (ორჯერ "აიაქსის", ერთხელ პსვ-ს თავკაცის რანგში), 2-ჯერ ჰოლანდიის სუპერთასი და ერთხელ ჰოლანდიის თასი, მის ანგარიშზეა ასევე ესპანეთის თასი და პორტუგალიის სუპერთასიც.

მოგეხსენებათ, ფეხბურთელების მიერ **მარიო ბენინისთვის** გამოცხადებული უნდობლობის შემდეგ "ფეიე" კვირაზე მეტია მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. თუკი ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ დამტკიცდა, საინტერესო იქნება, რომ პირველად ცხოვრებაში მას მწვრთნელის რანგში ძმასთან, **ერვინ კუმანთან** დაპირისპირება მოუწევს. ეს უკანასკნელი "უტრეხტის" მთავარი მწვრთნელია.

რენმა მცველი დაიმატა

"რენმა" "ლივერპულის" აკადემია დამთავრებული **კრის მავინგა** დაიმატა. ბრეტონელებმა 20 წლის მცველთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს. მართალია, კრისი მერსისაიდელთა რიგებში ირიცხებოდა, მაგრამ 2008 წლიდან მოყოლებული 2010 წლის ბოლომდე მას "ენფილდზე" ძირითად გუნდში ერთხელაც არ უთამაშია. მიმდინარე წლის იანვარში ლივერპულელებმა ის "გენკში" გაანათხოვრეს, სადაც მან 9 შეხვედრა ჩაატარა და ბელგიის ჩემპიონიც კი შეიქმნა.

ლილი და ბონარი გადაწყდა

საფრანგეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი "ლილი" განაგრძობს გამოცდილი ფეხბურთელების ძიებას. უმთავრეს ყურადღებას "ძაღლები" დაცვის ხაზს აქცევენ. ამჯერად **რუდი გარსიამ** გუნდში 2 წლით უხმო "მონაკოს" ყოფილ ფეხბურთელ **ლორან ბონარს**. ლორანს ერთნაირად ნარმატებით შეუძლია დაცვის ორივე ფლანგზე ასპარეზობა, რაც მას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს. *"ლილში" სიამოვნებით ვითამაშებ. ჩემს კარიერაში ახალი თავის წერას ვინყებ და მინდა, რომ მთელი ძალებით გავისარჯო კლუბის ამბიციების დასაკმაყოფილებლად,"* – განაცხადა ფეხბურთელმა სპეციალურად მონვეულ პრეს-კონფერენციაზე.

2010 წელს ბონარი "მარსელში" ირიცხებოდა და საფრანგეთის ჩემპიონიც შეიქმნა ამ გუნდში. ასე რომ, "ლილმა" ზეგამოცდილი მებრძოლი შეიძინა.

მუსლერა ლომი გახდა

"გალათასარაიმ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ "ლაციოსგან" ურუგვაელი მეკარე **ფერნანდო მუსლერა** შეიძინა და მასთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების წყალობით მეკარე წელინადში 2 მილიონ ევროს მიიღებს. რაც შეეხება რომაულ კლუბს, მან შარშანდელ ძირითად მეკარესთან გამოთხოვება-მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც "კალიარიდან" იტალიის ნაკრების კანდიდატი **ფედერიკო მარკეტი** გადაიბირა. "ლაციალეს" ეს ტრანსფერი 5,2 მილიონი დაუჯდა.

პორტუ ძლიერდება

პორტუგალიის ჩემპიონი დაუღალავად განაგრძობს შემადგენლობის გაძლიერებას. "პორტუმ" 13 მილიონი ევრო გადაუხადა "სანტოსს" ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების წევრ **დანილო სილვაში**. დანილოს თანაბრად შეუძლია დაცვისა და ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ასპარეზობა, ასეთ ფეხბურთელებს კი კლუბები სანთლით ეძებენ ხოლმე. ფეხბურთელი ახალ კლუბს კოლუმბიაში გასამართი 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შეუერთდება. აღნიშნული ტურნირი კი 29 ივლისიდან 20 აგვისტომდეა დაგეგმილი.

"პორტუ" სულ შემდეგი ფეხბურთელებით გაძლიერდა: **რაფაელ ბრაკალი** (მეკარე), **ხუან იტურბე, კელვინ დე ოლივეირა, ჯალმა კამპუში** (ნახევარმცველები) და **კლებერი** (თავდამსხმელი).

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაიერნი

მანუელ ნოიერს ბაიერნის ულტრასებთან შერიგება არ უწერია

ულტრასები აღარ ხუმრობენ!

მანუელ ნოიერს სამხრეთ ტრიბუნასთან მიახლოება აუკრძალეს!

გუშინწინ მიუნხენის „ბაიერნმა“ ახალი სეზონისთვის მზადების პროცესში პირველი სერიოზული ტესტ-მატჩი გამართა და არასასიამოვნო მარცხი განიცადა – რეკორდმაისტერმა „ლიგა ტოტალის“ თასზე, ნახევარფინალურ მატჩში „ჰამბურგთან“ 1:2 წააგო. ამხანაგურ შეხვედრაში წაგება დიდად მტკივნეული არ იქნებოდა, რომ არა **მანუელ ნოიერის** საბედისწერო შეცდომა. სწორედ „ბაიერნის“ 25 წლის კიპერის შეცდომას მოჰყვა გოლი, რომლითაც ჰამბურგელებმა ანგარიში გახსნეს. როგორც ჩანს, მიუნხენური კლუბის ულტრასების აგრესიამ „შალკედან“ 25 მილიონ ევროდ ნაყიდ მეკარეზე მაინც ძალიან უარყოფითად იმოქმედა – მანუელს „ჰამბურგთან“ მატჩში თავდაჯერება აკლდა.

თუმცა მთავარი და გაცილებით დიდი პრობლემები ნოიერს უშუალოდ მიუნხენში, „ზებენერშტრასეზე“ ელის, რადგან ულტრასები არ შოშმინდებიან და მასზე ზეწოლას, მისი ტრანსფერის გაპროტესტებას (მიზეზებზე არაერთხელ ვწერდით და აღარ გავიმეორებთ) აგრძელებენ. მართალია, ივლისის დასაწყისში, სეზონის ოფიციალურ გახსნაზე „ბაიერნის“ ფანობამ მანუელი კარგად მიიღო, მაგრამ მაშინ კლუბის ხელმძღვანელებმა ულტრასები სტადიონზე არ შეუშვეს. ულტრასებით დაკომპლექტებული ფანკლუბების ჯგუფი კი ნოიერზე აგრესიას განაგრძობს. შეგახსენებთ, რომ ულტრასები „ალიანს არენის“ სამხრეთ ტრიბუნაზე სხედან ხოლმე.

ანტიპათიის პიკი გასულ კვირას დაფიქსირდა, როცა „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა ნოიერისა და ულტრა დაჯგუფებების შეხვედრას გაუკეთეს ორგანიზება, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ვითარება განმუხტულიყო, ცეცხლზე ნავთი დაესხა: ულტრასებმა მანუელს სპეციალური წესები გადასცეს, რომელსაც მანუელი „ბაიერნში“ თამაშის პერიოდში უნდა დაემორჩილოს. ქცევის წესები ფეხბურთელს? ერთი შეხედვით ეს აფსურდია, მაგრამ ფაქტია, რომ ულტრასებმა ნოიერს ულტიმატუმი წაუყენეს – ან ისე მოიქცევი, როგორც ჩვენ გვინდა, ანაც შენს წინააღმდეგ პროტესტი არასდროს დასრულდებაო.

ჟურნალმა „შპორტ ბილდმა“ ნოიერისთვის დაწესებული კანონების სია გუშინ გამოაქვეყნა. ეს „კანონმდებლობა“ მანუელისთვის ხუთმა ფანკლუბმა შეადგინა და აღსანიშნავია, რომ ხუთივე ფანკლუბი ისტორიული და მძლავრია. ესენი არიან: „შიკერია მიუნხენი“, „ინფერნო ბავარია 10“, „მიუნიხმანიაკსი 96“ და „ალარმშტუფე როთი“.

„კანონმდებლობის“ მიხედვით, მანუელ ნოიერს...

1. ...არ აქვს უფლება, რომ მატჩების შემდეგ ფანებს მეგაფონით ესაუბროს.

2. ...არ აქვს უფლება, რომ თანაგუნდელებთან ერთად ფანების წინაშე მუხლი მოიყაროს და ტრადიციული „ჰუშბა“ იმღეროს.

3. ...არ აქვს უფლება, სამხრეთ ტრიბუნას მიუახლოვდეს.

4. ...არასდროს არ უნდა ისროლოს მაისურა სამხრეთ ტრიბუნაზე.

5. ...არასდროს არ უნდა აკოცოს „ბაიერნის“ ლოგოს.

ფანკლუბების გაერთიანებამ სპეციალური ინფორმაციაც გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია: *„ჩვენ მას (მანუელ ნოიერს) ავუხსენით, როგორ უნდა მოიქცეს მაშინ, როცა „ბაიერნის“ ფორმა აცვია. ჩვენ მასზე აზრი არ შეგვიცვლია და არც შევიცვლით, მაგრამ თუ მანუელ ნოიერი ისე მოიქცევა, როგორც ჩვენ გვინდა და ყველა პუნქტს დააკმაყოფილებს, მომავალში აღარ დავუსტვენთ და მის მიმართ პროტესტს შევწყვეტთ. ჩვენთვის მთავარია, რომ მან გარკვეული დისტანცია დაიჭიროს. ასეთ შემთხვევაში პრობლემები აღარ შეექმნება და როგორც კი თუნდაც ერთ პუნქტს დაარღვევს, მაშინვე პრობლემებს შევუქმნით.“*

ერთი სიტყვით, რაკი ულტრასებმა ნოიერთან იდენტიფიცირება აქამდე ვერ მოახერხეს (მას მერე, რაც მანუელი ბაიერნელი გახდა, თვეზე მეტი გავიდა), ვერც ამიერიდან მოახერხებენ. ასე რომ, „შიკერიასა“ და სხვა ულტრა დაჯგუფებათა წარმომადგენლები მანუელს არასდროს შეურიგდებიან. ისინი გერმანიის ნაკრების მეკარეს 2009 წელს **ოლივერ კანის** დაცინვას ვერ პატიობენ.

რიბერი მესის ედრეება

„ბაიერნის“ ფრანგი გარემარბი **ფრანკ რიბერი** ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელოდება და საკმაოდ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს. *„თუ ჯანმრთელად ვიქნები, არასაფეხბურთო პრობლემებიც არ შემანუხებს და მწვრთნელთანაც კარგი ურთიერთობა მექნება, თამამად ვიტყვი, ლიონელ მესიზე ნაკლებად არ ვითამაშებ. დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია მესის დონეს მივაღწიო,“* - ამბობს რიბერი „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ფრანგ დრიბლიორს გული კარგს უგრძნობს და ამას ასე ასაბუთებს: *„ახლა ბაიერნელობა ისე მიხარია, როგორც პირველ სეზონში მიხაროდა და ხომ გახსოვთ, როგორ ვითამაშე პირველ სეზონში? ჩემსა და მესის შორის განსხვავება ის არის, რომ ის უმაღლეს დონეზე ზედიზედ სამი-ოთხი წელია თამაშობს. ამის გამო ის მართლა ფანტასტიკური, განუმეორებელი ფეხბურთელია!“*

● ამბები

იაპონელი გლადბახში

ბუნდესლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ მორიგი ტრანსფერი სრულყო. „გლადბახმა“ ახალგაზრდა იაპონელი შემტევი ნახევარმცველი **იუკი ოცუ** იყიდა, რომელიც „ბორუსიაში“ „კაშივადან“ გადავა. 21 წლის ოცუ მიონხენგლადბახში სინჯებზე იმყოფებოდა და როგორც ჩანს, მწვრთნელსა და ხელმძღვანელებს თავი მოანონა. „ბორუსიას“ შეფებმა მას სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, „გლადბახმა“ ნიჭიერ იაპონელში 400 000 ევრო გადაიხადა.

ბოროვსკი დამავდა

ბრემენის „ვერდერის“ ნახევარმცველმა **ტომ ბოროვსკიმ** ახალი სეზონისთვის მზადების პროცესში ტრავმა მიიღო - „ხემნიტცთან“ ამხანაგური მატჩის დროს მეტოქის ფეხბურთელს შეეჯახა. რამდენი ხანი დასჭირდება 31 წლის მოთამაშეს გამოსაჯანმრთელებლად, ჯერჯერობით უცნობია. დეტალური ინფორმაცია მხოლოდ მაშინ

გახდება ცნობილი, როცა ბოროვსკის ექიმები საფუძვლიან სამედიცინო კამოკვლევას ჩაუტარებენ. *„მოთმინების მეტი არაფერი დაგვჩენია, ვნახოთ, რას იტყვიან ექიმები,“* - განაცხადა ბრემენის „ვერდერის“ მთავარმა მწვრთნელმა **თომას შაიფმა**.

ადლერს ვივიანო შეცვლის?

როგორც „სკაი სპორტი“ იტყობინება, ლევერკუზენის „ბაიერი“ „ინტერის“ მეკარით **ემილიანო ვივიანოთია** დაინტერესებული. ვივიანო მილანელთა სათადარიგო მეკარეა და ალბათ, თავადაც არ იტყოდა უარს ახალ კლუბში გადასვლაზე - თანაც მაშინ, როცა „ფარმაცევტების“ ძირითადი მეკარე **რენე ადლერი** ტრავმის გამო მინდორს თითქმის ნახევარი სეზონით დაემშვიდობა. როგორც ჩანს, „ბაიერის“ სამწვრთელო შტაბი ამჟამად მათ განკარგულებაში მყოფ 21 წლის **ფაბიან გიფერს** ბოლომდე არ ენდობა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ახალი მეკარის მოძიება.

● ჰერტა

ლევან კობიაშვილი და მაიკ ფრანცი

ფრანცი: მე რომ რუსული არ ვიცი?!

მაიკმა დაიჩივლა, კობიაშვილი, ჰუბნიკი და მიატოვიჩი ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობენ და მე ვერაფერს ვიგებო...

ბერლინის „ჰერტას“ 29 წლის მცველი **მაიკ ფრანცი** ბედნიერია, რომ ფრანკფურტის „აინტრახტიდან“ გერმანიის დედაქალაქის კლუბში გადავიდა – ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში არ მოუწევს თამაში. ბერლინში თავს ძალიან კარგად ვგრძნობო, ამბობს ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ფეხბურთელი და ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელოდება, მაგრამ ერთი პრობლემაც აქვს, რომელიც ძალიან აწუხებს. მაიკი ამბობს, დაცვის ხაზში ჩემს თანაგუნდელებს ვერაფერს ვუგებო. რა პრობლემა აქვს ფრანცს და რატომ ვერ გაუგო ვერაფერი უკანახაზელ თანაგუნდელებს, რომელთა შორის ჩვენებური **ლევან კობიაშვილიცაა?**

„რომან ჰუბნიკი, ანდრე მიატოვიჩი და ლევან კობიაშვილი ერთმანეთში ყოველთვის რუსულად ლაპარაკობენ, მე კი რუსული არ ვიცი და ვერაფერს ვიგებ ხოლმე. იგივე ეხება ნიკიტა რუკავიტსიასაც – ისინი მასაც რუსულად ელაპარაკებიან. მე რუსულად მხოლოდ ორი სიტყვა ვიცი და ასე თანაგუნდელებს ვერაფერს გავუგებ. გამოსავალი ორია: ან მე უნდა ვისწავლო რუსული, ანაც ყველამ გერმანულად უნდა ილაპარაკოს. ჰო, ფრანგულიც ვიცი. კობიაშვილი წლებია, გერმანიაში თამაშობს და გერმანულად შესანიშნავად ლაპარაკობს, რასაც ვერ ვიტყვი მიატოვიჩზე, ჰუბნიკზე ან რუკავიტსიაზე. შესაბამისად, კობი იძულებული ხდება ხოლმე, რომ მათაც რუსულად ელაპარაკოს,“ - აცხადებს ფრანცი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

კობიმ რუსული რომ იცის, ეს ლოგიკურია. რაც შეეხება სხვებს: 27 წლის ცენტრალური მცველი **ჰუბნიკი** ჩეხია და რუსული ამიტომაც ესმის, 31 წლის **მიატოვიჩი** ხორვატია, **რუკავიტსია** კი უკრაინაშია დაბადებული.

● დორტმუნდის ბორუსია

კლოპი: ჩემპიონი ბაიერნი გახდება!



დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ფიქრობს, რომ მისი გუნდი გერმანიის ჩემპიონობას ვერ შეინარჩუნებს. იურგენი თითქმის დარწმუნებულია, რომ გაისად ბუნდესლიგას „ბაიერნი“ მოიგებს. *„2012 წელს გერმანიის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ გახდება,* - აცხადებს კლოპი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *ჩვენ კი იმედი მაქვს, ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ.“*

ცხადია, რომ ამ განცხადებით 44 წლის კლოპის წნეხის „ბაიერნზე“ გადატანა უნდა. როგორც ჩანს, მიუნხენური კლუბის დამრიგებელ **იუპ ჰაინკესისთვის** ეს პრობლემას არ წარმოადგენს: *„ცხადია, რომ გერმანიის ჩემპიონები ჩვენ უნდა გავხდეთ,“* - ამბობს „დონ იუპი“.

რეკორდმაისტერის გაჩემპიონებაში გულშემატკივრებიც დარწმუნებულები არიან. „კიკერის“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, ფანების 65,7-მა პროცენტმა უპასუხა, გერმანიის ჩემპიონი მიუნხენური კლუბი გახდებაო. საერთო ჯამში, გამოკითხვაში მონაწილეობა 83 874-მა ფანმა მიიღო.

სუბოტიჩს ტვინი შეეერყა

დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველმა **ნევენ სუბოტიჩმა** ამხანაგურ ტურნირზე - Liga Total Cup, ტვინის შერყევა მიიღო. სუბოტიჩმა მოედანზე მხოლოდ ერთი ტაიმი დაჰყო და მეორე ტაიმში სათადარიგოთა სკამზეც კი აღარ გამოჩენილა. მატჩის შემდეგ „ბორუსია“ მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** დანანებით აღნიშნა: *„შესვენებაზე უკვე აშკარა იყო, რომ სუბოტიჩი თამაშს ვეღარ გააგრძელებდა და ჩვენი მყისიერი გადაწყვეტილება მისი საავადმყოფოში გაგზავნაზე აბსოლუტურად სწორი იყო“.* მიუხედავად დანაკლისისა, დორტმუნდელებმა მეტოქე 1:0 დაამარცხეს. მატჩში ერთადერთი გოლი 33-ე წუთზე **ივან პერიშიჩმა** გაიტანა, რამაც გერმანიის ჩემპიონს ტურნირის ფინალის საგზური მოუტანა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

ნახევარფინალი

URUGVAI ფინალშია

სუარესი აგუეროს დაეწია

კოპას ეყო მოულოდნელობები და სენსაციები - ურუგვაის ნაკრებმა ლა პლატაში ფავორიტის რანგში ითამაშა და არ წააგო (რაც ამ ტურნირზე უკვე იშვიათობაა) და თასისთვის ბრძოლას აგრძელებს. მეორე ტაიმში ყველაზე მოხერხებულმა და მეტოქის კარზე დაგეშილმა, ანუ „ლივერპულის" ფორვარდმა **ლუის სუარესმა** ორჯერ გაიტანა და ბომბარდირთა დავაში **სერხიო აგუეროს** წამოეწია. აგუერო უშანსოდაა, კარგა ხანია არგენტინელი მომავალ ტრანსფერზე ფიქრობს, მისთვის კოპა მორჩა, ხოლო ურუგვაელს კიდევ ერთი მატჩი რჩება.

პირველი ტაიმი არ იყო ცუდი სანახავი, უპირატესობა ურუგვაის იყო, პერუ კი კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. „სელესტეს" რიგებში მარჯვენაფლანგელი **მაქსი პერეირა** აქტიურობდა, მეკარე **რაულ ფერნანდესის** საჯარიმოში კი ხშირად იქმნებოდა ქაოსური სიტუაცია, პერუელთა დაცვა, ცოტა არ იყოს, დაბნეული თამაშობდა. ტაიმის ბოლოსკენ ურუგვაელებმა გოლიც კი გაიტანეს, თუმცა მსაჯმა ის სამართლიანად არ ჩათვალა (თამაშგარე მდგომარეობა).

მეორე ტაიმი ურუგვაელთა შეტევებით გაგრძელდა, 52-ე წუთზე **დიეგო ფორლანმა** საკმაოდ შორიდან სცადა ბედი და გამოუვიდა, ფერნანდესი შეცდა და ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, იქვე კი ამ საქმის დიდოსტატი სუარესი გაჩნდა და მახვილი კუთხიდან გაიტანა. პერუმ შოკის გადატანა ვერ მოასწრო, როცა ყველაფერი გადაწყდა - გოლიდან ზუსტად 5 წუთში **ალვარო პერეირამ** მარცხენა ფლანგიდან გრძელი პასით სუარესი მოძებნა, პერუელი მცველები ამაოდ ითხოვდნენ ოფსაიდის გამო (რომელიც სინამდვილეში არ იყო) თამაშის შეჩერებას, ლივერპულელმა ოსტატურად მოატყუა ნინ გამოვარდნილი მეკარე და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე პერუ 10 კაცის ამარა დარჩა, მათმა ლიდერმა **ხუან ვარგასმა** იდაყვი ჩაარტყა სახეში მეტოქის მცველ **სებასტიან კოატესს**.

ურუგვაული წარმატების მთავარი წყვილი

პერუ	0	2 **URUGVAI**

პერუ: ფერნანდესი, როდრიგესი, აკასიეტე, ვილჩესი, კარმონა, იოტუნი (53. ჩიროკე), ბალბინი (90. ბალონი), კრუსადო, ვარგასი, გერერო, ადვინკულა (60. ლობატონი).

ურუგვაი: მუსლერა, მ. პერეირა, ლუგანო, კოატესი, კასერესი, რიოსი, გარგანო (70. ეგურენი), გონსალესი, ა. პერეირა, ფორლანი, სუარესი (70. ერნანდესი).

გოლები: 0:1 სუარესი (52), 0:2 სუარესი (57); **გაძევება**: ვარგასი (69)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:
ლუის სუარესი (URUGVAI)

სუარესს ჰეთ თრიკის შესრულებაც შეეძლო, ფორლანმა ბრწყინვალე პასი გადააწოდა, მაგრამ ბოლო მომენტში ლუისს ფეხი აუცურდა. ამის შემდეგ პერუც გამოფხიზლდა, მაგრამ უკვე კარგა გვიანი იყო. **პაულო გერეროს** შორეული დარტყმული **ფერნანდო მუსლერამ** ხელში ვერ შეიმაგრა, მაგრამ გამეორებითი ნახტომით იხსნა კარი. ფერნანდო ერთობ მოწადინებული იყო, კარი მშრალად შეენახა, იმ დღეს ხომ ის „გალათასარაის" ფეხბურთელი ოფიციალურად გახდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დუბლის ავტორი დაასახელეს, სუარესმა ხმების 31,7% მიიღო.

ფერნანდო მუსლერა (URUGVAI): *„პერუს ნაკრებმა დღეს დიდი წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია. დღეს მალე მოვრჩებით ზეიმს, რადგან უკეთ მოვემზადოთ მთავარი მატჩისთვის. ჩვენი ოცნება თასის მოპოვებაა. ჩვენ ფინალში ვართ, თუმცა არ ვართ ფავორიტები. ამ ტურნირს საერთოდ არ ჰყავს ფავორიტი".*

ალვარო პერეირა (URUGVAI): *„გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანია და მე უზომოდ ბენდიერი ვარ, თუმცა მიწას არ უნდა აცდეთ, ტურნირი ჯერ არ დასრულებულა. იმედი მაქვს, რომ თასი ჩვენ დაგვრჩება".*

ოსკარ ტაბარესი (URUGVAI): *„ჯერ ადრეა მე-15 ტიტულზე ფიქრი. წინ ფინალია, მთავარი და ყველაზე რთული მატჩი. ის, რომ მეტოქე ძალიან ძლიერი იქნება, ეჭვიც კი არ გვეპარება, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს მე-2 ნახევარფინალურ შეხვედრაში. ორივე შემთხვევაში შანსები თანაბარი იქნება".*

პაულო გერერო (პერუ): *„ერთი რამის თქმა ამაყად შემიძლია, პერუმ ყველაფერი გაიღო ამ მატჩში, თუმცა ჩვენ გვაკლდნენ ტრავმირებული ფეხბურთელები. დღეს დავმარცხდით, მაგრამ ასეთია ფეხბურთი. ვფიქრობ, ეს გუნდი მუნდიალის საკვალიფიკაციო ბარიერს აუცილებლად გადალახავს".*

მატჩის სტატისტიკა

PERU		URUGVAI
259	ზუსტი პასი	216
40	უზუსტო პასი	37
3	ზუსტი ჩაწოდება	3
11	უზუსტო ჩაწოდება	15
24	ზუსტი გრძელი პასი	14
24	უზუსტო გრძელი პასი	30
11	დრიბლინგი	5
6	წარუმატებელი დრიბლინგი	4
14	მოგებული ორთაბრძოლა	20
2	წაგებული ორთაბრძოლა	5
3	კარში დარტყმა	5
6	უზუსტო დარტყმა	4
16	ჯარიმა	22
40	ბურთის მოპოვება	16
20	თამაშგარე	2
50%	ბურთის ფლობა	50%

ბარსელონა

ჩავის ბოდიში და ოპტიმიზმი

ერთი მოედანი ორ ბარსას, მეორე - პუიოლს

ორიოდე დღეა, რაც „ბარსელონამ" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და ეს კლუბი უკვე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა მიუხედავად იმისა, რომ ბაზაზე ჯერ პირველი გუნდის 14 ფეხბურთელი ვარჯიშობს. გუშინ მედიას **ჩავი ერნანდესი** წარუდგა, ფეხბურთელი, რომელსაც „ბარსელონას" ექიმებმა შვებულება გაუხანგრძლივეს, რომ სრულფასოვანი დასვენება მოასწროს. ჩავის უპირველესად თავის მართლებამ მოუნია - საქმე იმაშია, რომ ერთი კვირის წინ ინტერვიუში მან თქვა, **სესკ ფაბრეგასი** „არსენალში" იტანჯებაო. ამან კი საბოლოოდ გამოიყვანა წყობიდან ლონდონელთა ფრანგი თავკაცი **არსენ ვენგერი**.

„ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც ჩემი გამონათქვამი ვენგერსა და „არსენალზე" თავდასხმად გაიგო. მსგავსი არაფერი გამივლია გონებაში. უბრალოდ, ვთქვი, რომ სესკისთვის საუკეთესო ვარიანტი „ბარსელონაში" თამაშია", - განაცხადა 31 წლის ნახევარმცველმა. *„თავს უკვე ჯანმრთელად ვგრძნობ, ერთადერთი ქუსლი მაწუხებს. გასულ სეზონში ტრავმებმა ძალიან შემაწუხა. ამიტომ, ჩემთვის ძალიან კარგია, რომ ჯერ ჯგუფთან ერთად არ ვვარჯიშობ, თუმცა ბიჭებს ძალიან მალე შევუერთდები".*

ჩავი ერნანდესი

ჩავი ოპტიმისტურად იწყებს სეზონს: *„ჩვენი მიზანი იგივეა - ვიბრძოლებთ ყველა ტიტულის მოსაგებად. უპირველესად კი სუპერთასისთვის ბრძოლით დავიწყებთ, თუმცა სეზონის განმავლობაში სუპერთასზე უფრო მნიშვნელოვანი ტიტულებისთვის ბრძოლა გველის".* „ბარსას" შეტევების ერთ-ერთი სულის-ჩამდგმელი მოხარულია, რომ **ალბერტ ფონტასი** და **ტიაგო ალკანტარა** პირველ გუნდში დააწინაურეს. განსაკუთრებით ტიაგოს დამატება უხარია, რადგან ნახევარდაცვაში „ბარსას" მეტი ვარიანტი ექნება. *„მერე რა, რომ ის ჩემი კონკურენტია - უკონკურენტო „ბარსელონაში" არავინაა",* - დაასკვნა მან.

გუნდის კაპიტანი **კარლეს პუიოლიც** ვარჯიშობს, ოღონდ მცველი ჯერ მხოლოდ ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. კაპიტანს მთლიანად დაუთმეს ბაზის მეორე მინდორი. მას მუდმივად თან ახლავს ერთ-ერთი მწვრთნელი. მუხლზე ოპერაციის შემდეგ 7 კვირა გავიდა. **ხოსეპ გვარდიოლა** იმედოვნებს, რომ კაპიტნის პრობლემები წარსულს ჩაბარდა - ახალ სეზონს ის კაჟივით ჯანმრთელი შეხვდება.

გუშინ ხოსეპ გვარდიოლამ სარეზერვო გუნდის თავკახ **ეუსებიო საკრისტანს** ერთობლივი ვარჯიშის გამართვა შესთავაზა. ასე რომ, როცა პუიოლი დინჯად ურტყამდა წრეებს მეორე მინდორს, პირველზე გაერთიანებული გუნდი ვარჯიშობდა.

LFP ერაოვნული ბიბლიოთეკა

LFP

სეზონის ნომინანტები

ესპანური ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ 36 ნომინანტი დაასახელა პრიმერა და სეგუნდა ლიგებიდან, რომელთა შორისაც საუკეთესოებს აირჩევენ. გასაკვირი სულაც არაა, რომ ყველაზე მეტი წარმომადგენელი - 11, ჩემპიონ „ბარსელონას" ჰყავს. თანაც 9 მათგანი „ლა მასიას" აღზრდილია.

ახლა ეს სია ორივე ლიგის მწვრთნელებს დაეგზავნებათ, რომელთაც თითოეულ კატეგორიაში საუკეთესო უნდა დაასახელონ. მოთამაშეს კი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელსა და მწვრთნელს დაასახელებენ. ჯერ არ არის ცნობილი, როდის გაიმართება დაჯილდოების ცერემონიალი. ქვემოთ გთავაზობთ პრიმერადივიზიონის ნომინანტთა სიას.

საუკეთესო მეკარე: *იკერ კასილიასი (რეალი), დავიდ დე ხეა (ატლეტიკო), ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა).*

საუკეთესო მცველი: *ერიკ აბიდალი (ბარსელონა), დანი ალვეში (ბარსელონა), მარსელო (რეალი).*

საუკეთესო ნახევარმცველი: *ჩაბი ალონსო (რეალი), ჩავი ერნანდესი (ბარსელონა), ხავი მარტინესი (ბილბაო).*

საუკეთესო შემტევი ნახევარმცველი: *ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), მესუთ იოზილი (რეალი), ბორხა ვალერო (ვილიარეალი).*

საუკეთესო თავდამსხმელი: *სერხიო აგუერო (ატლეტიკო), ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი).*

სეზონის აღმოჩენა: *ანტუან გრიზმანი (რეალ სოსიედადი), იკერ მუნიაინი (ბილბაო), რუბენ პერესი (დეპორტივო).*

რეალი

რეალი, ისევ ტრავმა

მადრიდის „რეალი" დაითარსა - სეზონისთვის მზადება ჯერ ახლახან დაიწყო და უკვე მესამე ფეხბურთელი დაემტვრა: ჯერ კიდევ ივნისში ტრავმა მიიღო თურქმა **ჰამით ალთინთოპმა**, ამერიკულ შეკრებაზე კიდევ ერთი თურქი ახალწვეული დაშავდა - **ნური შაჰინი**. ახლა კი მწყობრიდან გერმანელი **სამი ხედირა** გამოვიდა. „რეალი" ამერიკულ ტურნეშია, ხედირამ ფეხის მტევანი მექსიკურ „ჩივას გვადალახარასთან" მატჩისთვის მზადებისას მიიღო და ახლა უახლოეს საათებში სრულ სკანირებას ჩაუტარებენ. პირველადი გამოკვლევა მას ლოს ანჯელესში, რონალდ რეიგანის სამედიცინო ცენტრში ჩაუტარეს. სხვათა შორის, ნაწილობრივ ტრავმების ბრალია, რომ გერმანელმა შარშანდელ სეზონში სულ 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ამბები

ბრაზილიელი ატლეტიკოში

„ბოტაფოგომ“ 19 წლის **ჟერსონი** იჯარით მადრიდის „ატლეტიკოში“ გაუშვა. ჟერსონი მცველია, მან გასული სეზონის მეორე ნახევარი ეინდჰოვენში იჯარით გაატარა, სადაც პსვ-ს სარეზერვო გუნდში თამაშობდა. *„ერთი სული მაქვს, როდის ჩავალთ მე და დედა მადრიდში. ჰოლანდიაში კარგი დრო გავატარე, პსვ დამეხმარა ფეხბურთელად და კაცად ჩამოყალიბებაში. ამიტომაც მჯერა, რომ „ატლეტიკოში“ თავს არ შევირცხვენ“*, - განუცხადა ჟერსონმა „გლობოს“. მადრიდელებს სეზონის ბოლოს ჟერსონის გამოსყიდვის უფლება აქვთ, თუკი მასში 1,8 მილიონ ევროს გადაიხდიან. მცველს ევროკავშირის პასპორტი აქვს, რაც მას ესპანურ კარიერაში უთუოდ შეუწყობს ხელს.

ლევანტე ძლიერდება

ვალენსიურმა „ლევანტემ“ კიდევ ერთი ვალენსიელი ფეხბურთელი შეიმატა - მარჯვენა მცველი **პედრო ლოპესი**, რომელმაც გასული სეზონი სეგუნდადივიზიონის „ვალიადოლიდში“ გაატარა. მან „ლევანტესთან“ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ეს 27 წლის ფეხბურთელი ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებს სანტანდერის „რასინგიდან“ გემახსოვრებათ.

ამასთან, „ლევანტემ“ „ოსასუნადან“ ფორვარდი **კარლოს არანდა** დაიმატა, ვისაც 1-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. არანდა 29 წლისაა და ის მადრიდის „რეალის“ სკოლის აღზრდილია.

სამუნიასი ვილიარეალში

„ოსასუნა“ კიდევ ერთმა ძლიერმა ფეხბურთელმა დატოვა - ნახევარმცველმა **ხავიერ კამუნიასმა** ხელშეკრულება „ვილიარეალთან“ გააფორმა. 30 წლის კამუნიასი მომავალ სამ სეზონს ვალენსიურ კლუბში გაატარებს. კამუნიასი ნავარაში 2009 წლიდან თამაშობდა, მანამდე კი „უელვაში“, „მურსიაში“, „ხერესში“, „რაიო ვალეკანოსა“ და „ხეტაფეში“.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ინტერი

მაჭერაცი: ლეონარდო მოღალატეა

სნეიდერისა და პანდევის ბედი გასარკვევია

ბოლო ორი წელია, ვისაც არ ეზარება **ლეონარდოს** ყველა მოღალატეს ეძახის და ამ ადამიანთა რიცხვს **მარკო მატერაციც** შეუერთდა. 37 წლის მცველმა ამ ზაფხულს დატოვა „ინტერი“ და ჯერ კიდევ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას. თუ რატომ არის მარკო ასე გაბრაზებული ექსდამრიგებელზე, ამას მისი კომენტარიდან შეიტყობთ:

„ყველამ კარგად იცის, რომ ჩემი გული „ინტერს“ ეკუთვნის, ამიტომ, ამ გუნდიდან ჩემი ნებით არასდროს წავიდოდი. მილანურ გრანდში მსურდა დარჩენა, მაგრამ ლეონარდოსთან საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ეს აბსურდული გადაწყვეტილება იქნებოდა. ლეომ მითხრა, რომ მის გეგმებში არ ვჯდებოდი და შემეძლო სხვა გუნდი მომეძებნა. კიდევ ერთხელ ვცადე მასთან დალაპარაკება, მაგრამ მოკლედ მომიგო, რომ ახალგაზრდებზე აპირებდა აქცენტის გაკეთებას. სხვა არაფერი დამრჩენოდა და გუნდიდან წამოსვლის გადაწყვეტილება მივიღე, კონტრაქტი კი ორმხრივი სურვილის შესაბამისად გაუქმდა. ერთი სიტყვით, „ნერაძური“ ლეონარდოს გამო დავტოვე, მან კი მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და „ინტერიდან“ საერთოდ წავიდა. ერთი ხანობა, ხმას არ ვიღებდი, რადგან ჩავთვალე, რომ ლეომ ეს გადაწყვეტილება სპონტანურად, ფიქრის გარეშე მიიღო და გაგებით მოვეკიდე მომხდარს, რადგან ყველას გვაქვს უფლება, შეთავაზებას მომენტალურად დავთანხმდეთ. თუმცა, შემდეგ თავად ლეოს კომენტარი ნავიკითხე და გავიგე, რომ თურმე ფრანგებთან მოლაპარაკება სეზონის დასრულებისთანავე წამოუწყია. სამწუხაროა, რომ ასე უპასუხისმგებლოდ მოიქცა და ისე გამიშვა გუნდიდან, არც კი იცოდა, თავად დარჩებოდა თუ არა დაკავებულ პოსტზე. ლეო მოღალატეა და როდესაც შევხვდები, ამას პირში ვეტყვი“.

მარკო მატერაცი ლეონარდოს გამო „ინტერიდან“ წავიდა

„ინტერთან“ დაკავშირებით იტალიურ პრესაში არაერთი ინფორმაცია ვრცელდება და ზოგადად, ბოლო კვირაში ყველაზე აქტუალური საკითხი სწორედ სკუდეტოს „ნერაძურისთვის“ დაბრუნების ამბავი გახლდათ. **მასიმო მორატიმ** კმაყოფილება გამოთქვა მომხდარით და ამის შესახებ გუშინდელ ნომერში გამცნეთ, დღეს კი **ვესლი სნეიდერის** შესაძლო გასხვისების შესახებ გაკეთებულ მის განცხადებას გავეცნოთ: *„ყველამ იცის, რომ სნეიდერის გადაბირებით „მანჩესტერ იუნაიტედია“ დაინტერესებული და მასში საკმაოდ დიდ თანხასაც გვაძლევენ. თუმცა, ფული არასდროს ყოფილა ჩემთვის პრიორიტეტი და თუკი ჰოლანდიელი ჩვენთან დარჩენას მოისურვებს, არც ერთ შემთხვევაში არ გავახსხვისებთ. ვესლიმ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა და ჩვენც პასუხის მოლოდინში ვართ. უახლოეს დღეებში ჯანპიერო გასპერინისაც გავესაუბრები და ამ საკითხზე მის მოსაზრებასაც მოვისმენ“.*

მორატის ჯანპიერო გასპერინი ტყუილად არ უხსენებია - არის ეჭვი, რომ ახალი მწვრთნელის გეგმებში ჰოლანდიელი არ ჯდება და თუ ეს მართლაც ასეა, კლუბის პრეზიდენტმა დროულად უნდა გაიგოს. გასპერინის „ჯენოა“ 3-4-3, ან 4-3-3 ტაქტიკით თამაშობდა, სადაც ერთ გამოკვეთილ ფორვარდს, ფლანგებიდან გარემარბები, უკნიდან კი სამი საყრდენი ნახევარმცველი უმაგრებდა ზურგს. ანუ, გასპერინი გამთამაშებლის პოზიციას არ წყალობს, 27 წლის ჰოლანდიელს კი „ინტერში“ სწორედ ეს როლი ჰქონდა დაკისრებული. ვნახოთ, საინტერესოა, რას იტყვის გასპერინი და რა გადაწყვეტილებას მიიღებს თავად სნეიდერი.

გასარკვევია კიდევ ერთი ფეხბურთელის, **გორან პანდევის** ამბავი, რომელსაც „ინტერში“ სურს დარჩენა და ამას მისი აგენტი, **კარლო პალავიჩინო** ადასტურებს: *„გორანი საკმაოდ კარგ ფორმაშია და საკონტროლო შეხვედრებში მაღალ დონეზე ასპარეზობს. მისი სურვილია, რომ ახალ მწვრთნელს თავი საუკეთესო კუთხით დაანახვოს და კიდევ დიდხანს დარჩეს „ინტერის“ შემადგენლობაში. პანდევს შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში, თუმცა ყველაზე უკეთ გარემარბობა გამოსდის - გასპერინი სამი შემტევით თამაშობს და გამომდინარე აქედან, პანდევის საჭიროება სრულიად აშკარაა“.*

ჯერჯერობით, სრულიად აშკარა მხოლოდ ის არის, რომ პანდევს „ინტერში“ სურს დარჩენა, აი გასპერინი კი თავის სიტყვას მოსამზადებელი ციკლის პირველი ეტაპის შემდეგ იტყვის. ბოლოს, სწორედ სენიორ ჯანპიეროს მოვუსმინოთ: *„საწვრთნელი პროცესის პირველი ეტაპის შემდეგ, შემადგენლობასთან დაკავშირებით უკვე ჩამოყალიბებული ვიქნები და ისიც მეცოდინება, ვინ უნდა დატოვოს გუნდი და ვინ შეიძლება დავიმატოთ. ჯერჯერობით, ფეხბურთელთა გარჯით კმაყოფილი ვარ და იმედია, ასევე გაგრძელდება. მონდომება და ენთუზიაზმი არ აკლიათ, რაც ნარმატების მთავარი საწინდარია. პირველი სერიოზული გამოცდა პეკინში გველის, სადაც იტალიის სუპერთასის პაექრობა უნდა გავმართოთ. „მილანთან“ დაპირისპირების პრინციპულობაზე საუბარი ზედმეტია, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გულშემატკივრები გავახაროთ. ფავორიტი? - ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფავორიტის დასახელება უმადური საქმეა - შანსები 50/50-ზეა და გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც უკეთ აღმოჩნდება მომზადებული კონკრეტული შეხვედრისთვის. ვპირდები თუ არა გულშემატკივრებს გამარჯვებას? - ეს არასერიოზული განცხადება იქნებოდა ჩემი მხრიდან, რადგან 100%-ით დარწმუნებული ვერაფერში იქნები. ერთი ვიცი და შემიძლია თამამად ვთქვა: „ინტერის“ თითოეული ფეხბურთელი მაქსიმალურად მოინდომებს, დანარჩენი კი გამოჩნდება“.*

ლაშა ნიკლაური

● ტრანსფერი

იუვე ვიდალს შეუთანხმდა

გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან „იუვენტუსის“ ღირსებას ჩილელი ფეხბურთელი, **არტურო ვიდალი** დაიცავს. 24 წლის ცენტრალური ნახევარმცველი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ლევერკუზენის „ბაიერში“ ასპარეზობდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. გერმანელები ვიდალის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს ითხოვდნენ, ტურინელებს კი 10-ის გადახდა სურდათ - კომპრომისის მისაღწევად შეხვედრა დაინიშნა, რომელსაც ფეხბურთელის პირადი აგენტი, „ბაიერის“ სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** და მისი ტურინელი კოლეგა **ჯუზეპე მაროტა** დაესწრნენ.

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, შეხვედრამ კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა და შეთანხმებაც შედგა, რომლის მიხედვითაც ვიდალი „იუვენტუსში“ გააგრძელებს კარიერას, გერმანული კლუბის ბიუჯეტი კი 12 მილიონი ევროთი შეივსება. მიღწეული შეთანხმების შემდეგ, მაროტა კმაყოფილებას ვერ მალავდა:

„ვიდალი ჩილეს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია და წლების განმავლობაში ბუნდესლიგაში ბრწყინავდა. მისი გადაბირების ინიციატორი ანტონიო კონტეა და ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. შეთანხმება მიღწეულია და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ვიდალი „იუვენტუსში“ გააგრძელებს კარიერას. სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას ვაგრძელებთ, რათა მომდევნო სეზონში კონკურენტუნარიანი გუნდი გვყავდეს. კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირებას ვგეგმავთ, რომელთა გვარები პრესაშიც აქტიურად მუსირებს“.

„იუვენტუსის“ და „ბაიერის“ ურთიერთობა მხოლოდ არტურო ვიდალის ტრანსფერით არ შემოიფარგლება - გერმანული კლუბი **მოჰამედ სისოკოს** გადაბირებით არის დაინტერესებული და დიდია შანსი, ეს გარიგებაც შედგეს. თავად სისოკოს აქვს იმის სურვილი, რომ ძალები ბუნდესლიგაში მოსინჯოს და ეს არც პრესასთან საუბრისას დაუმალავს. „იუვე“ რომ მისი გაყიდვით დაინტერესებულია, ამის შესახებაც არაერთხელ ითქვა, ასე რომ, მთავარია მხარეები ფასზე შეთანხმდნენ. „გაძეტას“ ინფორმაციით, ლევერკუზენელებმა ტურინელებს სამი მილიონი ევრო შესთავაზეს და პასუხს უახლოეს დღეებში მოისმენენ.

ლაშა ნიკლაური



არტურო ვიდალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ავსტრიელები ქართველებს იაპონიაშიც ამოწმებენ

უნგრელი ძიუდოისტი **ატილა უნგვარი** (73) დოპინგზე ჩავარდა. სპორტსმენს ანალიზი თებერვალში მშობლიურ ბუდაპეშტის მსოფლიოს თასზე გამარჯვების შემდეგ აუღეს, გამოკვლევამ კი სისხლში სტანოზოლოლის კვალი აღმოუჩინა. როგორც უკრაინული წყაროებით ირკვევა, უნგვარისთვის ეს მეორე შემთხვევა ყოფილა - პირველად იმავე პრეპარატის კვალი იანვარში ბაქოში გამართულ მასტერსზეც გამოვლენილა, მაგრამ გაურკვეველია, ამის შემდეგ ბუდაპეშტში გამოსვლის ნება რატომ მისცეს! ერთი სიტყვით, დოპინგი საბოლოოდ დადასტურდა და უნგვარიც ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. უნგრეთის ძიუდოს ისტორიაში ის ამ დარღვევისთვის დასჯილი პირველი სპორტსმენია. ძიუდოს სამყარო უფრო მის უფროს ძმას - **მიკლოშ უნგვარს** (66) იცნობს, რომელიც ევროპის სამგზის ჩემპიონია და მსოფლიოს ასევე სამგზის ბრინჯაოს მედალოსანი. თავად ატილა ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორია. მართალია, სამწუხაროდ, ამ წონაში არ გვყავს იმ რანგის ფალავნები, უნგვარს კონკურენცია გაუწიონ, მაგრამ თავად ფაქტი მაინც საინტერესოა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ის კვლავაც იაპონიაშია და იქაურ უნივერსიტეტებში აგრძელებს წვრთნას. ავსტრიიდან იქვე ჩავიდა ექიმთა ჯგუფი, რომელიც იმაზე უფრო მასშტაბურ გამოკვლევებს უტარებს სპორტსმენებს, ვიდრე თბილისში ჩაატარეს. ამჯერად თითეულ ათლეტს აკვირდებიან ყოველი შეხვედრის მერე, დილით - საუზმემდე უტარებენ რამდენიმე სახის ტესტს და ცდილობენ მათი სისხლის საერთო ანალიზის დადგენას. სწორედ ამის საფუძველზე გაირკვევა ფალავანთა ყოველდღიური სავარჯიშო გრაფიკი მსოფლიომდე, ვინ როგორი დატვირთვით მოემზადება. ეს ტესტები კიდევ ორი დღე გაგრძელდება და სულ ხუთდღიანი გამოვა, 24 ივლისს კი გუნდი თბილისში დაბრუნდება.

თავად იაპონური შეკრება სრული დატვირთვით მიდის, გაძლიერებული ვარჯიშებით. როგორც საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ალექსიძემ** გვითხრა, ბიჭებს ყოველდღიურად არაერთი შეხვედრის გამართვა უწევთ ადგილობრივ ფალავნებთან. იქვე რამდენიმე დღით იაპონიის ნაკრებიც ვარჯიშობდა, ოღონდ არა ძირითადი. თუმცა, ადგილობრივ ფალავნებთან პაექრობა ჩვენებისთვის მაინც დიდი სკოლაა. ალექსიძის თქმით, ჩვენი ნაკრების ავსტრიელი თავკაცი **პეტერ ზაიზენბახერი** კმაყოფილია შეგირდების გარჯით. ბუნებრივია, ყველა ერთნაირ ფორმაში ვერ იქნება - ზოგი ახლა ჩაერთო ნაკრებში და შესაბამისად, ზაიზენბახერის ვარჯიშებსაც ახლა ეჩვევა, ზოგმა კი დიდი ხნის წინ აუღო ალღო, მაგრამ ყველა ერთნაირი მონდომებით ვარჯიშობს და მწვრთნელიც ამითაა კმაყოფილი.

ამავე შეკრების დღეებში უნივერსიტეტში სემინარები ოლიმპიურ ჩემპიონებს - **ჰიტოში საიტოსა** და **კოსეი ინუეს** ჩაუტარებიათ, რომელშიც ჩვენი ფალავნებიც მონაწილეობდნენ. აგვისტოს დასაწყისში ჩვენები რომში გაემგზავრებიან ასევე ერთობლივ შეკრებაზე, სადაც 12 აგვისტომდე დარჩებიან.

ირაკლი თავაძე

ფუტსალი

მერვედფინალში...

საქართველომ აზერბაიჯანი 4:2 დაამარცხა და მერვედფინალში რუსეთს დაუპირისპირდება

საქართველოს საუნივერსიტეტო ნაკრები ფუტსალში ფინეთის ქალაქ ტამპერეში მიმდინარე ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე წარმატებულად თამაშს განაგრძობს.

20 ივლისს ტურნირის 1/16 ფინალში ქართველმა სტუდენტებმა აზერბაიჯანის გუნდი 4:2 დაამარცხეს. ჩემპიონატის მერვედფინალში 21 ივლისს კი ქართველების მეტოქე რუსეთის სტუდენტური ნაკრები იქნება.

აზერბაიჯანთან შეხვედრაში ჩვენებიდან გოლები გიორგი ტიკურიშვილმა, კახაბერ გოგოხიამ, ლაშა სიგუნავამ და შოთა თოფურიამ გაიტანეს. ჩემპიონატში 24 ქვეყანა მონაწილეობს, მათ შორის არიან ფუტსალის ფავორიტი ქვეყნები - ესპანეთი, პორტუგალია, სერბეთი, ხორვატია, საფრანგეთი და უკრაინა.

20 ივლისი

1/16 ფინალი

საქართველო - აზერბაიჯანი 4:2

21 ივლისი

1/8 ფინალი

საქართველო - რუსეთი

გიორგი ჭანიშვილი
ტამპერედან
ავტორის ფოტოები

მხარე

სპორტის დედოფალი ფალანგებს ეძებს

2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლის სტატუსის თბილისისთვის მინიჭებამ ჩვენთან სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელთა გააქტიურება გამოიწვია, მათ შორის მძლეოსნობისაც. არც არის გასაკვირი, „სპორტის დედოფალი" ხომ სწორედ ის სახეობაა, რომელშიც საკმაოდ უხვად თამაშდება სხვადასხვა სინჯის მედლები. ქართული მძლეოსნობის მესვეურნი იმ შეჯიბრებისთვის კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას ვარაუდობენ.

თბილისის ოლიმპიურ ფესტივალზე 1998-1999 წლებში დაბადებული მძლეოსნები იასპარეზებენ. ამ ასაკში ტალანტების მოსაძიებლად და წარმოსაჩენად უკვე რამდენიმე ღონისძიება მოეწყო. ხობში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურის თანადგომით სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის (ფედერაციის პრეზიდენტი **რეზო ბუკია**) პირველობა გაიმართა. გოგონებში განსაკუთრებით ზუგდიდელმა **მარიამ ჩაკაბერიამ** იყოჩაღა, რომელმაც ერთი თვის წინათ თბილისში თანატოლთა შორის საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული შეჯიბრებაც მოიგო. საპრიზო ადგილებისთვის მხარის 130-მდე გოგო-ბიჭი იბრძოდა სამ სახეობაში, მარიამმა სამივეგან იმარჯვა, თანაც ამ ასაკისთვის არცთუ ურიგო შედეგებით. ბიჭებში მსგავს წარმატებას ხობელმა **გრიგოლ ახალაიამ** მიაღწია.

კვარცხლბეკი

60 მ. გოგონები. 1. მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 7,87), 2. მარიამ გაბელია (ჩხოროწყუ, 8,2), 3. ქრისტინე ტორუა (ზუგდიდი, 8,4). **ბიჭები.** 1. გრიგოლ ახალაია (ხობი, 7,59), 2. გოგა მიქაია (ჩხოროწყუ, 7,84), 3. გოგიტა ოჩიგავა (აბაშა, 8,0).

300 მ. გოგონები. 1. მარიამ ჩაკაბერია (43,81), 2. მარიამ გაბელია (51,0), 3. მარიამ შონია (ხობი, 53,11). **ბიჭები.** 1. გრიგოლ ახალაია (43,81), 2. დათო ლუკაკა (ზუგდიდი, 45,72), 3. ირაკლი ჩანგელია (ჩხოროწყუ, 48,0).

სიგრძეზე ხტომა. გოგონები. 1. მარიამ ჩაკაბერია (4,82 მ), 2. გულიკო გამზარდია (ფოთი, 4,53), 3. მარიამ გაბელია (4,12). **ბიჭები.** 1. გრიგოლ ახალაია (4,91), 2. გოგა მიქაია (4,86), 3. ირაკლი ჩანგელია (4,67).

გუნდური: 1. ზუგდიდი, 2. ხობი, 3. ჩხოროწყუ.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

ჩემპიონთა შავი დღე

ჩინურ ხანჩოჟოში ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო სუპერტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის 10 უძლიერესი დიდოსტატი ეცილება ერთმანეთს პირველობას. გუშინ მე-6 ტურში **ნანა ძაგნიძე** თეთრი ფიგურებით **ჟაო სიუს** (ჩინეთი) 129-ე სვლაზე დაუზავდა. დანარჩენი პარტიები შედეგიანი გამოდგა. ასპარეზობის ერთპიროვნულმა ლიდერმა ჩინელმა **იუ ვენძიუნმა** მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (ჩინეთი) დაამარცხა. მსოფლიოს ექსჩემპიონი **ჟუ ჩენი** (ყატარი) ინდოელ **ჰარიკა დრონავალის** დანებდა, ხოლო ორგზის ევროპის ჩემპიონმა **ტატიანა კოსინცევამ** (რუსეთი) **მარი სებაგთან** (საფრანგეთი) წააგო, სამაგიეროდ, მისმა დამ - **ნადეჟდამ ანა ზატონსკიხს** (აშშ) გააჩერებინა საათი.

ჰარიკა დრონავალისა (მარცხნივ) და ნანა ძაგნიძის შეხვედრა

ექვსი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ვენძიუნი-5, ნ. კოსინცევა-4, დრონავალი-3,5, ტ. კოსინცევა, სებაგი, ჟაო სიუ-3-3, ძაგნიძე, ჰოუ იფანი-2,5-2,5, ჟუ ჩენი-2, ზატონსკიხი -1,5 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: ჟუ ჩენი-ძაგნიძე, ტ. კოსინცევა-დრონავალი, ვენძიუნი-სებაგი, ზატონსკიხი-ჰოუ იფანი, ჟაო სიუ-ნ. კოსინცევა.

...

ჩინეთშივე მოჭადრაკე ვაჟთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა: რუსეთი-აზერბაიჯანი 1:3, უკრაინა-უნგრეთი 1,5:2,5, ისრაელი-ინდოეთი 1,5:2,5, აშშ-ჩინეთი 0,5:3,5, სომხეთი-ეგვიპტე 3,5:0,5.

ოთხი ტურის შემდეგ: სომხეთი-6 (ქულათა საერთო ჯამი 11), აზერბაიჯანი-5 (9,5), ჩინეთი- 5 (9,5), რუსეთი-5 (9,0), უნგრეთი-5 (8,0), უკრაინა-4 (8,0), ისრაელი-4 (7,5), ინდოეთი-3 (7,0), აშშ-3 (7,0), ეგვიპტე-0 (3,5) ქულა.

ვაჟა დანელია

ამბები

ფარიკაობა

გუნდურში უკეთ იასპარეზეს

ინგლისურ შეფილდში მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ოთხმა მოხმალავემ იასპარეზა. ქალებში **თათია აფციაურმა** 50-ე ადგილი დაიკავა. ვაჟებში კადეტთა წლევანდელი მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი **მიხეილ მარდალეიშვილი** 46-ე ადგილზე გავიდა, ერთი საფეხურით დაბლა აღმოჩნდა **სანდრო ბაზაძე,** ხოლო **ბექა ბაზაძე** 59-ე ადგილით დაკმაყოფილდა. გუნდურ პირველობაში ჩვენს ვაჟებს მე-11 ადგილი ერგოთ.

ნიჩბოსნობა

სამი ქართული ნავიც იქნება

ამსტერდამში გუშინ დაიწყო 23-წლამდელთა მსოფლიოს პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ხუთმა ქართველმა სპორტსმენმა მთავარი მნვრთნელის - **დიმიტრი ლოლუას** ხელმძღვანელობით ჰოლანდიაში გაიარა 10-დღიანი საწვრთნელი შეკრება საერთაშორისო ფედერაციის დაფინანსებით. შეჯიბრებაში ერთადგილიანი ნავით მცხეთელი **ლაშა მოთიაშვილი** იასპარეზებს, ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით - მისი თანაქალაქელები: **გიორგი მუხათგვერდელი** და **თემურ ნათელაშვილი,** ხოლო ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი უმესაჭეო ნავით ქუთაისელები - **თორნიკე სინატაშვილი** და **ერეკლე უკლება** მოსინჯავენ ძალებს.

ვაჟა დანელია

ქართული სპორტი

● ჩოგბურთი

ქართული მერვედფინალი დღეს, პერსპექტივაში ზვონარევაა

„ბაქოს თასზე“ (WTA, 220 ათასი დოლარი) გუშინ მხოლოდ 4 მატჩი გაიმართა ერთეულთა თანრიგში - მიზეზი სიცხეა, რის გამოც ნაშუადღევს პაუზა გამოაცხადეს. ასე.რომ, მერვედფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს **ანა ტატიშვილი** (93) და **თათია მიქაძე** (377) დაუპირისპირდებიან, დღეს გაიმართება. ორი წლით უმცროსი ტატიშვილის სასარგებლოდ რეიტინგი თავისთავად მეტყველებს, ანა თათიას თითქმის 300 ადგილით უსწრებს. ამ შეხვედრის გამარჯვებული 70 სარეიტინგო ქულასა და 5,3 ათას დოლარს დაიბევებს, წაგებული კი 30 ქულით და 2,9 ათასი დოლარით დაკმაყოფილდება. მოგებულს, დიდი შანსია, მეოთხედფინალში მსოფლიოს მე-3 ჩოგანი **ვერა ზვონარევა** (რუსეთი) გადაეყაროს.


ანა ტატიშვილი

„ბაქოს თასის“ წყვილთა ბადეს ხუთი ქართველიდან მხოლოდ ანა ტატიშვილი შერჩა. ის რუს **ქსენია პერვაკთან** ერთად თამაშობს. პირველ წრეში მათ მეტოქეები (**გეორგატუ, სოლოვიევა**) არ გამოუცხადნენ. აზერბაიჯანის დედაქალაქში სუფთა ქართული წყვილი მხოლოდ ერთი იყო: მიქაძემ და **სოფიო შაფათავამ** პირველ ნომრად განთესილებთან, **გალინა ვოსკობაევასთან** (ყაზახეთი) და **მონიკა ნიკულესკუსთან** (რუმინეთი) წააგეს - 3:6, 2:6. **სოფიო ქვაცაბაიასა** და რუსი **მარინა შამაიკოს** წყვილი „უაილდ ქარდით“ მიწვეულ გუნდთან (**აბდურაიმოვა, ფარჰადი**) დამარცხდა - 4:6, 3:6. **ეკა გორგოძემ** და **მარია ჟარკოვამ** ვერაფერი გააწყვეს **დანიელა დომინკოვიჩთან** (ავსტრალია) და **ნოპავან ლერტჩეევაკარნთან** (ტაილანდი) - 6:7 (5), 6:4, 4:10.

28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (224) რეიტინგით „ბაქოს თასზე“ მოხვდებოდა, მაგრამ საქართველოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ლუქსემბურგში, პეტანჟის საერთაშორისო ტურნირში (100 ათასი დოლარი) ასპარეზობა გადაწყვიტა. ჩვენებურმა პირველ წრეში იტალიელ **ვივიენ ვიერინს** (639) მოუგო - 6:3, 3:6, 6:2. მერვედფინალში მაკას მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი ჩეხი **პეტრა ჩეტკოვსკაა** (49). ჩახნაშვილი აქამდე 3-ჯერ შეხვედრია ჩეტკოვსკას, სამჯერვე ჩეხმა იმარჯვა. წყვილთა ბადეში ქართველი ავსტრალიელ **ჯესიკა მურთან** ერთად გამოდის.

თურქეთის ქალაქ სამსუნში დაინყო 25-ათასიანი ტურნირი, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში ორი ქართველი ჩაება. **ნათია გეგიამ** რუმინელი **დიანა მარკუ** დაამარცხა - 6:4, 7:6 (10), ხოლო **თამარ ცხაკაია** რუს **ევგენია სვინცოვასთან** დამარცხდა - 1:6, 0:6. გეგია ძირითად ბადეში გავიდა, თუმცა პირველივე წრეში წააგო სერბ **ტამარა ჩუროვიჩთან** (728) - 7:6 (7), 0:6, 4:6.

შვეიცარიულ კლოსტერსში დაიწყო ევროპის ახალგაზრდული პირველობა, სადაც 18 წლის **გიორგი ცივაძე** ასპარეზობს. გიორგი პირველი წრიდან თავისუფალი იყო, 1/32 ფინალში კი ქართველმა იტალიელ **ლუკა პანკალდის** (167 ახალგაზრდულ რეიტინგში) მოუგო - 6:4, 6:4. მესამე წრეში მისი მეტოქე ფრანგი **მატიას ბურჟეა** (79).

ნიკოლოზ ნეფარიძე

● 60 წლის წინათ

1951 წლის ივლისში ლელო ნერდა

22 ივლისი, 1951 წ. თბილისში მასობრივი სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა ტრადიციული დღესასწაული - „ფიზკულტურელის დღე“. იმავე დღეს სანაპიროზე საწყლოსნო კომპლექსში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალბურთში.

▪ ▪ ▪

1951 წლის 22 ივლისს „ლელოში“ გამოქვეყნდა ცნობილი გრაფიკოსის, მოქანდაკის და კარიკატურისტის გიგლა ფირცხალავას (გადაღებულია ფილმებში, მათ შორის „პირველ მერცხალში“) რეცენზია იმ დროს ახალგაზრდა მოქანდაკის ი. ოქროპირიძის ერთ ნამუშევარზე - „ისინდი“. აი, რას წერს რეცენზენტი: „მოქანდაკეს აღებული აქვს ის მომენტი, როცა მხედარი ელის მოპირდაპირე მხრიდან ნატყორცნ ისინდს - გამოწვევას, რათა იმავე წამს შეაგელვოს თავისი ფეხმარდი ბედაური მინდორზე, წამოეწიოს მოწინააღმდეგეს და ისინდის მარჯვე სროლით დააზიანოს იგი. აი, ამ დაძაბული მომენტის მხატვრულ ფორმებში რეალისტურად გადმოცემა იყო მოქანდაკის ამოცანა“.

▪ ▪ ▪

ქობულეთში გაიმართა ამხანაგური მატჩი ლელობურთში ქობულეთისა და ჩოხატაურის გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა 12:10. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის გუნდი 1950 წლის ჩემპიონი იყო სპორტის ამ ეროვნულ სახეობაში.

▪ ▪ ▪

მოსკოვში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისის „დინამო“ 0:1 დამარცხდა სამხედრო საჰაერო ძალთა გუნდთან. გოლი მასპინძლებმა მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გაიტანეს თერთმეტმეტრიანი დარტყმით.

ლიდერი წარმოგიდგენთ

ქართული სპორტის ქრონიკიდან ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან



შოთა ლომიძე

დაიბადა 1936 წლის 20 იანვარს _ საყულია, წყალტუბო. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1969, 1971). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1966, 1969). 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ვერცხლის მედალი (97 კგ წონითი კატეგორია). ტურნირის მსვლელობისას აშკარა უპირატესობით აჯობა ჰაინტ კილს (გფრ), მეორე წრეში ქულებით მოუგო მოსლემ ესკანდერს (ირანი), ქულებით დაამარცხა იოჟეფ ჩატარი (უნგრეთი), ხოლო ორ დასკვნით პაექრობაში ფრედ დაასრულა ორთაბრძოლა საიდ მუსტაფოვთან (ბულგარეთი) და აჰმედ აიკთან (თურქეთი). შოთა ლომიძე საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონია, ხოლო 1967 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვა ვერცხლის მედალი. მონაწილეობდა ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადაზეც (მეცხრე ადგილი). 1967 და 1971 წლებში გახდა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში. გარდაიცვალა 1993 წლის 23 ოქტომბერს.

სათავეები

სამბო

საქართველოში სამბოს პირველი სექცია ჩამოყალიბდა XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს იმდროინდელი ფიზკულტურის ტექნიკუმის ჯიუ-ჯიცუს ჯგუფის ბაზაზე **ილია თომაშვილის** (სავანელი) თაოსნობით. ახალმა სახეობამ სწრაფად მოიკიდა ფეხი, რადგან ქართველებისთვის ჩოხით ჭიდაობა ბუნებრივი და ჩვეულებრივი რამ იყო. სამბოს არსენალში ქართული ჭიდაობის არაერთი ფანდი შევიდა. სოფლის ნახერხმყარილ საჭიდაოზე დაოსტატებულ ფალავნებს საკავშირო სარბიელზე გასვლის პერსპექტივა გაუჩნდათ და ბევრმა ეს შანსი წარმატებით გამოიყენა.

სამბოს დანერგვა და განვითარება, მისი თავდაცვით-გამოყენებითი მიზნებიდან გამომდინარე, სპორტსაზოგადოება „დინამომ“ ითავა. გამოცდილი მწვრთნელები და ძლიერი ფალავნები უმთავრესად „დინამოში“ გაერთიანდნენ. სამბოს ქართული სკოლის ფუძემდებელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ **ილია ტლაშაძეს**, ძმებს **ქრისტეფორე** და **აკაკი ნინიაშვილებს**. მათ წარმატებით გააგრძელეს თომაშვილის წამოწყებული საქმე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არაერთი თანამოაზრე გაიჩინეს და სამბო ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი გახადეს.

ფოტომატიანე

საქართველოს დინამოელ სამბისტთა ნაკრები. 1965 წელი. მარცხნიდან: ქრისტეფორე ნინიაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, თენგიზ ასანიძე, გოდერძი ნონიკაშვილი, შოთა გულიაშვილი, მიხეილ გოგავა, ანზორ მარტყოფლიშვილი, ზაურ სახვაძე, ბესიკ ჟიჟიაშვილი, თამაზ ხოსიტაშვილი.

თარიღი

21-27 ივლისი

21. 1959 წ. ანკარაში თბილისის „დინამომ“ ამხანაგური მატჩი გამართა თურქეთის ამ ქალაქის „გიუნეშთან“ და გაიმარჯვა 2:1. თბილისელ ფეხბურთელთაგან გოლები გაიტანეს **მესხმა** და **მელაშვილმა.**

22. 1971 წ. დაიბადა **მიხეილ ყაველაშვილი** - ფეხბურთი.

23-25. 2010 წ. თბილისში გაიმართა კალათბურთში საერთაშორისო ტურნირი: საქართველო-რუმინეთი 75:66; საქართველო-ბელარუსი 69:65; საქართველო-უკრაინა 87:84.

23. 1956 წ. დაიბადა **თენგიზ სულაქველიძე** - ფეხბურთი. დაბადებიდან 55 წელი.

24. 1937 წ. თბილისის დინამოელთა პირველი საერთაშორისო მატჩი ბასკების ნაკრების ფეხბურთელებთან.

24. 1937 წ. საქართველოს რადიოთი გადაიცა ფეხბურთის პირველი რეპორტაჟი.

24-27. 2010 წ. ბუდაპეშტში მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში პირველები იყვნენ: **დავით ხუციშვილი** (74 კგ) და **ვლადიმერ ხინჩაგაშვილი** (55).

24. 1984 წ. „ვილნიუსის“ ჟალგირისთან მატჩში **რამაზ შენგელიამ** გაიტანა თბილისის „დინამოს“ მე-2000 გოლი სსრ კავშირის ჩემპიონატში.

25. 1963 წ. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში დანიის „ბკ კოპენჰაგენს“ უმასპინძლეს. მატჩი ფრედ - 2:2 დასრულდა. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს **დათუნაშვილმა** და **მესხმა.**

26. 1936 წ. თბილისის „დინამომ“ პირველი მატჩი ჩაატარა ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე.

27. 1947 წ. დაიბადა **გივი ონაშვილი** - ძიუდო.

27. 1991 წ. დაფუძნდა ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია.

27. 1999 წ. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში შინ 2:1 დაამარცხა კიშინიოვის „ზიმბრუ“. თამაშის მიწურულს დინამოელთაგან გოლები გაიტანეს **წიტაიშვილმა და ხომერიკმა.**

ვიქტორინა

1. რომელმა ქუთაისელმა მორაგბემ ითამაშა მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში ევროპის ნაკრების წინააღმდეგ?

ა — მამუკა გორგოძემ
ბ — ნუგზარ გაგნიძემ
გ — დავით ზირაქაშვილმა

2. რომელმა ქართველმა ვაჟმა ჩოგბურთელმა ითამაშა უიმბლდონის ფინალში?

ა — ალექსანდრე მეტრეველმა
ბ — თეიმურაზ კაკულიამ
გ — ირაკლი ლაბაძემ

3. ვინ არის საქართველოდან ჭადრაკში ევროპის ჩემპიონი?

ა — ნანა იოსელიანი
ბ — გუხუტი გურგენიძე
გ — ზურაბ აზმაიფარაშვილი

4. სპორტის რომელი სახეობა იხსენიება სპორტის დედოფლად?

ა — მხატვრული ტანვარჯიში
ბ — მძლეოსნობა
გ — ჭადრაკი

5. რამდენჯერ იასპარეზა „ევროჩელენჯზე“ რუსთავის „ენერჯიმ“?

ა — არ უასპარეზია
ბ — მხოლოდ ერთხელ
გ — ორჯერ

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ბ, 5-ბ

პირველი, პირველმა, პირველად...

პირველი შეჯიბრება ნიჩბოსნობაში საქართველოში ჩატარდა მცხეთაში XX საუკუნის 30-იან წლებში წყალჯომარდობის ახალაგებულ ბაზაზე.

პირველმა სპორტის ოსტატის წოდება საქართველოდან ჩოგბურთში დაიმსახურა **არჩილ მდივანმა** (1911-1937).

პირველად ქართველი ძიუდოისტები შეჯიბრებაში გამოვიდნენ 1957 წელს. სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდების ამხანაგურ მატჩში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაღათბურთი

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

B დივიზიონი. სარაევო, ბოსნია

მთავარი ბრძოლა ვიკინგებთანაა

საქართველო-ბულგარეთი 88:75

23:16, 24:23, 19:15, 22:21

საქართველო: ბაქრაძე (28 წთ, 6ქ, 4ბ), ჩიკვილაძე (22 წთ, 13ქ), შენგელია (35წთ, 30ქ, 21მ, 3ბ), ბექაური (1წთ), ბოქოლიშვილი (24 წთ, 4ქ), თენიშვილი (20 წთ, 4ქ, 3მ), ლეფაცა (12 წთ, 2ქ, 4მ), სანაძე (28წთ, 19ქ, 4მ, 2ჩ), დვალიშვილი (30 წთ, 10ქ, 9მ).

ბულგარეთი: გოსპოდინოვი (3ქ), ივანოვი (3ქ), კუნოვი (6ქ), დაფინოვი (6ქ, 4ბ), ცონკოვი (18ქ, 5მ), რადევი (5ქ), ჭრისტოვი (6ქ, 6მ), სერბეზოვი (5ქ, 4მ), კოევი (11ქ), ფრანცისი (2ქ), არაბაჟიევი (6ქ), რუნიოვი (4ქ).

ესტონეთი-დანია 62:58

E ჯგუფი

	თ	მ	ნ	სხ	ქ
1. საქართველო	2	2	0	176/162	4
2. ესტონეთი	2	1	1	149/146	3
3. დანია	2	1	1	130/123	3
4. ბულგარეთი	2	0	2	136/160	2

დღეს

20:30	საქართველო-დანია
22:45	ბულგარეთი-ესტონეთი

ქართველმა 20-წლამდელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათთვის B დივიზიონის ფავორიტის სტატუსი შემთხვევით არ მიუნიჭებიათ - ბულგარეთი დამაჯერებლად დაამარცხეს. მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს, თუმცა ყველაზე თვალსაჩინო ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა იყო: მოხსნებში 49:29 იმარჯვეს. ვინც იგებს ფარს, ის იგებს თამაშსო - ეს „თეორემა" გუშინაც დამტკიცდა.

ქართველთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა **თორნიკე შენგელიამ**, რომელმაც 30 ქულა და 21 მოხსნა გაიფორმა.

შავიზღვისპირელთა (საქართველო-ბულგარეთი) შეხვედრის შემდეგ გაიმართა ბალტიისპირული დაპირისპირება, რომელშიც ესტონეთმა დანია 62:58 დაამარცხა და ნახევარფინალისტთა ვინაობის გამორკვევა ბოლო ტურს მიანდო. საქართველოს ნაკრები მომდევნო ეტაპზე იმ შემთხვევაში გავა...

...თუ დღეს დანიას დაამარცხებს.

...თუ მაქსიმუმ 2 ქულის სხვაობით წააგებს.

...თუ ესტონეთი ბულგარეთთან დამარცხდება.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** გუნდს დანიასთან მოსაგებად ამზადებს, თუმცა ყველას კარგად ესმის, რომ ეს შეხვედრა ვიკინგებისთვისაც გადამწყვეტია და საინტერესო ორთაბრძოლას უნდა ველოდეთ.

- დანია-ესტონეთის მატჩის ვიდეოფირსაც გავარჩევთ. ჩვენსა და ბულგარეთის შეხვედრასაც ვუყურებთ და სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ. თამაშის დღეს, დილას მსუბუქად ვივარჯიშებთ. მიუხედავად დანია-ესტონეთის მატჩის შედეგისა, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, რადგან ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისთვის ვიბრძვით, - ამბობს ახალგაზრდების მწვრთნელი.

იგი ბულგარეთთან შეხვედრასაც შეეხო:

- მიუხედვად იმისა, რომ 13-ქულიანი სხვაობით გავიმარჯვეთ, მეტად რთული მატჩი იყო. გამარჯვება დიდი ბრძოლის ხარჯზე მოვახერხეთ. ბულგარეთი ის გუნდია, რომელიც ოდნავ მოდუნებას არავის აპატიებს. გამარჯვებაში მხოლოდ მას შემდეგ დავრწმუნდი, რაც ბოლო წუთი დაიწყო, ჩვენ კი 15 ქულის სხვაობით ვიგებდით.

მწვრთნელმა თორნიკე შენგელიას შესახებაც ილაპარაკა...

- ყველამ კარგად ითამაშა, ეს გუნდური გამარჯვება იყო. თორნიკე შენგელია როგორც გუნდის ლიდერი, მართლაც გამოსარჩევი გახლდათ. 30 ქულა და 21 მოხსნა მოაგროვა და გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მას კარგად აუბეს მხარი მისმა მეგობრებმა. ასე რომ არ მომხდარიყო, ვერც გავიმარჯვებდით.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

ჭაბუკები დღეს იწყებენ

დღეს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში (B დივიზიონი) ჩაერთვება. შეჯიბრების სისტემა ისეთივეა, როგორც 20-წლამდელებში: პირველი ჯგუფური ეტაპიდან 2-2 გუნდი გადის. შემდეგ შეიქმნება ორი ოთხგუნდიანი ჯგუფი, საიდანაც ასევე ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავა. 2012 წელს ევროპის ჩემპიონატზე B დივიზიონის ორი ფინალისტი ითამაშებს.

რამდენად რეალურია საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მიერ ელიტის საგზურის მოპოვება, დღეს ძნელი სათქმელია. შეჯიბრების დაწყებასთან ერთად გამოიკვეთება აუტსაიდერთა და ფავორიტთა ვინაობა. იმედი დავიტოვოთ, რომ **მიხეილ ბერუაშვილის** გუნდი პირველივე ეტაპიდან გაერევა ფავორიტთა რიგებში.

ბევრს გადაწყვეტს დღევანდელი მატჩი უნგრეთთან...

A ჯგუფის კალენდარი

21 ივლისი

15:45	უნგრეთი-საქართველო
20:15	ბულგარეთი-საქართველო

23 ივლისი

15:45	ლუქსემბურგი-უნგრეთი
22:15	ბულგარეთი-საქართველო

25 ივლისი

15:45	საქართველო-ლუქსემბურგი
20:15	ბულგარეთი-უნგრეთი

გვერდი მოამზადა **ვაჟა სიმონიშვილმა**

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები



ლევან ლოლიშვილი
სიმაღლე: 200 სმ
დაიბადა: 25.02.1994
ამპლუა: ფორვარდი
გუნდი: ორბი



ლერი კვანტალიანი
სიმაღლე: 202 სმ
დაიბადა: 22.08.1994
ამპლუა: წინახაზელი
გუნდი: ავერსი



ლევან გრძელიძე
სიმაღლე: 190 სმ
დაიბადა: 14.04.1994
ამპლუა: უკანახაზელი
გუნდი: ქუთაისი

ნიკა რამიშვილი
სიმაღლე: 179 სმ
დაიბადა: 14.04.1994
ამპლუა: უკანახაზელი
გუნდი: ავერსი



ალეკო ჩოჩია
სიმაღლე: 185 სმ
დაიბადა: 03.01.1993
ამპლუა: უკანახაზელი
გუნდი: სოხუმი

ქახა ჯინჭარაძე
სიმაღლე: 192 სმ
დაიბადა: 16.07.1993
ამპლუა: ფორვარდი
გუნდი: ფოთი

ირაკლი მიქელაძე
სიმაღლე: 179 სმ
დაიბადა: 26.03.1994
ამპლუა: გამთამაშებელი
გუნდი: ავერსი

პეტა ბურჯანაძე
სიმაღლე: 201 სმ
დაიბადა: 03.01.1994
ამპლუა: ფორვარდი
გუნდი: ახალციხელი (ესპანეთი)

საბა ლობჟანიძე
სიმაღლე: 192 სმ
დაიბადა: 17.08.1993
ამპლუა: ფორვარდი
გუნდი: სტუ

გიორგი ცირეკიძე
სიმაღლე: 202 სმ
დაიბადა: 07.01.1994
ამპლუა: წინახაზელი
გუნდი: ქუთაისი

ბექა ნადირაძე
სიმაღლე: 202 სმ
დაიბადა: 05.09.1994
ამპლუა: წინახაზელი
გუნდი: ავერსი



რევაზ როგავა
სიმაღლე: 185 სმ
დაიბადა: 01.02.1993
ამპლუა: გამთამაშებელი
გუნდი: სოხუმი

ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი

გაგამარუს მაკე კოში

მაკე კოში ანუ უარყოფითი ბალანსი გაიფორმა სუმოს ელიტის ზემძმიე ფალავანმა **თეიმურაზ ჯუღელმა** (**გაგამარუ**), რომელმაც გუშინ უმნიშვნელოვანესი, მე-8 მარცხი იგემა. თეიმურაზი მე-7 მაგაშირაა, ის, რა თქმა უნდა, არ გავარდება ელიტიდან, მაგრამ გვარიანად დაიხევს რეიტინგში. წაგებათა ლიმიტი ამოწურა დასავლეთის კომუსუბი **ტოჩინოშინმა** (**ლევან გორგაძე**). ახლა მას პირველივე წარუმატებლობა ტიტულს დააკარგვინებს. მოკლედ, ნაგოიას ბაშო ჩვენებურთათვის ცუდად წარიმართა.

გუშინ ტოჩინოშინი **ვაკაკოიუსთან** დამარცხდა, ხოლო გაგამარუ - **ტოჩინონადასთან**. სამაგიეროდ, კარგად მისდის საქმეები ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე **კოკაის** (**ლევან ცაგურია**). „შავმა ზღვამ“ გუშინ მე-6 გამარჯვება იზეიმა და ბაშოს დასრულებამდე 4 დღით ადრე ბალანსიც დადებითი აქვს - 6-5.

ნაგოიას ბაშოზე პირველი დიდი სენსაციაა მოხდა - ნაგო დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**, ვისაც სეკოვაკე **კოტოშოგიკუმ** აჯობა. ამგვარად, ერთპიროვნულად მეორე მონღოლი, ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი** გალიდერდა (11-0).

XI დღე: კოტოშოგიკუ-ჰაკუჰო (იორიკირი), ოკინოუმი-კაიო (უბრძოლველად), ჰარუმაფუჯი-კოტოოშუ (ოშიდაში), ბარუტო-ამინიშიკი (ჰიკიოტოში), კისენოსატო-ტოიონოშიმა (იორიკირი), კაკურიუ-გოეიდო (ჰატაკიკომი), ვაკაკოიუ-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), იოშიკაძე-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტაკეკაძე-ტოჩიოძანი (ჰიკიოტოში), მიაბიამა-კაისეი (ოშიდაში), ვაკანოსატო-ასასეკირიუ (იორიკირი), ჰომაშოტამავაში (ჰიკიოტოში), არანი-კიტატაიკი (უვატენაგე), ტოკიტენკუ-ტაკაიასუ (სუსოჰარი), ტოჩინონადა-**გაგამარუ** (უვატენაგე), დაიდოტაკარაფუჯი (უვატენაგე), ტოჩინოვაკა-საგაცუკასა (ოშიდაში), ტოიოჰიბიკი-ფუჯიაზუმა (ცუკიოტოში), ტაკამისაკარი-შოტენრო (იორიკირი), კიმურაიამა-მაცუტანი (ცუკიოტოში). ძურიო: **კოკაი**-ცურუგიდაკე (უვატენაგე).

საბურნირო მდგომარეობა

11-0: ჰარუმაფუჯი (ოძეკი).

10-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა).

9-2: ბარუტო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკიკაკე), ჰომაშო (მაგაშირა 9).

8-3: კოტოოშუ (ოძეკი), ტოჩიოძანი (მ 8), ფუჯიაზუმა (მ 15)... 4-7: ტოჩინოშინი (კომუსუბი)... 3-8: გაგამარუ (მ 7).

XII დღე: ჰაკუჰო-ოკინოუმი, კოტოოშუ-კისენოსატო, ბარუტო-ტაკეკაძე, კაისეი-ჰარუმაფუჯი, კოტოშოგიკუ-კაკურიუ, ტოიონოშიმა-ტოჩინოშინი, გოეიდო-ვაკაკოიუ, იოშიკაძე-ვაკანოსატო, კიოკუტენჰო-ამინიშიკი, არანი-ჰომაშო, დაიდო-ტამავაში, გაგამარუ-შოტენრო, საგაცუკასა-ტოკიტენკუ, მიაბიამა-ტოჩინოვაკა, ტოჩიოძანი-ფუჯიაზუმა, ასასეკირიუ-კიმურაიამა, ტაკარაფუჯი-ტაკამისაკარი, კიტატაიკი-ტოჩინონადა, ტაკაიასუ-ტოიოჰიბიკი. ძურიო: კოკაი-ჰიტენრიუ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)

სკანდალი

ახალი ზელანდიის ნაკრები. 1905 წელი

პომეები, ოლ ბლექსი და აურზაური კვართების გამო

ინგლისის ნაკრების კვართი

მსოფლიოში ბევრი სხვადასხვა გუნდია, რომლებსაც მაისურის ფერებითაც სცნობენ – წითლები, მწვანეები, ლურჯები... საკმაოდ ბევრია გუნდი, რომლებიც ამ ფერების ფორმებით ასპარეზობენ, მაგრამ როცა ამბობენ „ოლ ბლექსს“ (ყველა შავი), ყოველთვის მხოლოდ ახალი ზელანდიის ნაკრებს გულისხმობენ და არ არსებობს დედამიწაზე სხვა გუნდი, რომელიც ამ მეტსახელს ატარებდეს.

„ოლ ბლექსი“ მხოლოდ რაგბის კვართის ფერი არ არის. ახალი ზელანდიის ნაკრების ასე მონათვლის ისტორია ძველი ამბავია. თუმცა, თავიდან ნაკრების მაისურა შავი არ ყოფილა. ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი ვერცხლისფერი კვართებით თამაშობდა. 1893 წელს ის მუქი ლურჯი ფორმით შეცვალეს, რომელიც 1901 წლისთვის მთლიანად გაშავდა. ეს გუნდი „ოლ ბლექსად“ პირველად ახალზელანდიელმა ჟურნალისტმა **ჯი ეი ბეთერმა** მოიხსენია 1905 წელს.

მაშინ (როცა ის „ოლ ბლექსად“ მონათლეს) ახალი ზელანდიის ნაკრებმა შესანიშნავი ტურნე გამართა საფრანგეთში, ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. „ოლ ბლექსმა“ 35 თამაშიდან 34 მოიგო და მხოლოდ ერთში დამარცხდა საკმაოდ საეჭვო ვითარებაში უელსის ნაკრებთან - 0:3. მათი პირველი გამარჯვება 16 სექტემბერს „ექსეტერ გრაუნდზე“ ანგარიშით 55:4 ბრიტანელებისთვის გამოგნებელი იყო. ახალზელანდიელმა მორაგბეებმა ტურნეზე ჯამში 976 ქულა მოაგროვეს და მეტოქეებს მხოლოდ 59 დაუთმეს.

ერთი სიტყვით, ამ გუნდს და მისი ფორმის ფერს საუკუნეზე მეტი ხნის ღირსეული ისტორია აქვს. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს რაგბის სამყარო გააოცა ინგლისის რაგბის კავშირის ხელმძღვანელების განცხადებამ, რომ „პომები“ 6 აგვისტოს უელსის ნაკრებთან და 10 სექტემბერს ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე, არგენტინის ნაკრებთან მატჩში შავი ფორმებით იასპარეზებენ.

ეს ყველაფერი კი იმის შემდეგ, რაც ინგლისელთა თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** ახალი ზელანდია უცხო ქვეყნის მოქალაქეების ნატურალიზაციით ზედმეტად გართობის გამო გააკრიტიკა. ისე, ალბათ, გასაკვირი არ იქნება, ინგლისის ნაკრები, მატჩის წინ, მაორების საბრძოლო რიტუალს, ჰაკასაც თუ ჩაატარებს.

სინამდვილეში საქმე ძალიან მარტივადაა. „პომების“ ტექნიკური სპონსორი საყოველთაოდ ცნობილი სპორტული პროდუქციის მწარმოებელი „ნაიკა“, რომლის მარკეტინგის სამსახურშიც დაიმალა ეს ავად სახსენებელი იდეა. მათი აზრით, „ოლ ბლექსის“ ფერებში გადაწყვეტილი ინგლისის ნაკრების მაისურა ბევრად უკეთ გაიყიდება, ვიდრე ტრადიციული.

ეს შეიძლება ასეც არის, მაგრამ რა ვუყოთ ელემენტარულ ეთიკას. ეს ხომ დაახლოებით ისეა, ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები ბრაზილიის ეროვნული გუნდის ფერებში რომ გამოაწყო. შვეიცარიაში არის საფეხბურთო კლუბი „ბაზელი“, რომელსაც ზუსტად ისეთივე ფორმა აცვია, როგორიც „ბარსელონას“, თუმცა ამ გუნდებს შორის მსგავსება ამით მთავრდება.

არადა, ინგლისელებს შეეძლოთ ნებისმიერი სხვა ფერი აეღოთ, რომელიც ამდენ აურზაურს, უფრო მეტიც, მათ მიმართ დამცინავ გრიმასას არ გამოინვევდა. საფრანგეთისა და შოტლანდიის ნაკრებების ფერი ლურჯია, უელსის კი წითელი, სამხრეთ აფრიკა და ირლანდია მწვანე კვართებით ასპარეზობდნენ. ინგლისელებს წმინდა გიორგის ჯვრის ფერი, წითელი რომ აერჩიათ, უელსელებიც არ განაწყენდებოდნენ და არც ვინმეს ექნებოდა პრეტენზია. ბოლოს და ბოლოს, „პომებს“ ერთი ხანობა იასამნის ფერი კვართებიც კი ეცვათ.

ვინმემ შეიძლება თქვას, როგორი ფერის კვართებიც უნდათ, ისეთს ჩაიცვამენ, ეს მათი გადასაწყვეტიაო. მართალია, ასეა, მაგრამ აქაც ყველაფერი წესრიგში არ არის. როდესაც პრესაში აურზაური ატყდა, ინგლისის რაგბის კავშირის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ მათ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირიდან ამ საკითხთან დაკავშირებით თანხმობა მიიღეს, რომ არავითარი პრობლემა არ არსებობს.

საკითხავი ისღა დარჩა, თუ ფერების არჩევის პრეროგატივა თავიანთი საქმეა, მაშ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირს რაღად დაეკითხნენ?

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქეა. „ბორჯღალოსნები“ „პომებს“ 18 სექტემბერს დანიდინში დაუპირისპირდებიან. ჩვენ წინააღმდეგ ინგლისელები ტრადიციული ფერის კვართებით ითამაშებენ.

ბესიკ ჯანგავაძე

ტესტები

ჰენრი ფიჯის უფრთხის და კარჩერს არ ათამაშებს

შაბათს სამი ერის გათამაშების პირველ მატჩში, სიდნეიში ავსტრალიის ნაკრები სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ერთი დღით ადრე კი დანიდინში, ახლახან აშენებულ „ფორსაით ბარ სთედიუმზე“ ახალი ზელანდიის ნაკრები ტესტ მატჩში ფიჯელებს დაუპირისპირდება.

აღსანიშნავია, რომ ამავე სტადიონზე ითამაშებს საქართველოს ნაკრებიც. 18 სექტემბერს ჩვენი მეტოქე, მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი, ინგლისის ეროვნული გუნდი იქნება.

„ოლ ბლექსის“ თავკაცმა **გრემ ჰენრიმ** ძირითად შემადგენლობაში ერთი დებიუტანტი შეიყვანა. ტარანაკელი **ჯერად ჰოეთა** ეროვნული ნაკრების კვართს პირველად მოირგებს, მას პარტნიორობას გაუწევს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მეორეხაზელი **ალი ვილიამსი,** რომლისთვისაც ფიჯელებთან დაპირისპირება ეროვნულ გუნდში გამართული 61-ე შეხვედრა იქნება. ვილიამსი 2008 წლის ბოლოს სერიოზულად დაშავდა და მას შემდეგ ნაკრებში აღარ უთამაშია.

მის გარდა „ოლ ბლექსს“ დაუბრუნდნენ **ვუაით კროკეტი** და **ბენ სმითი,** რომლებსაც ნაკრებში თითქმის ორი წელინადი გაუცდათ. კაპიტანი, ცხადია, ისევ მესამეხაზელი **რიჩი მაკქოუ** იქნება. თუმცა ჰენრიმ ერთი უცნაური გადაწყვეტილება მაინც მიიღო. მან გუნდის მთავარი მგეზავი და დამრტყმელი **დენ კარტერი** სათადარიგოთა შორის გაამწესა, ძირითადში კი **კოლინ სლედი** ითამაშებს.

უკანა ხაზში შუამარბების წყვილი **მაა ნონუ-კონრად სმიტი** ერთად ოცდამეშვიდედ ითამაშებს. დაშავებულები არიან და ფიჯის ნაკრებთან ვერ იასპარეზებენ **ქორი ჯეინი, რიჩარდ კაჰუი, ტონი ვუდქოკი, ისაია ტოეავა, ხოსე გეარი** და **იზრაილ დაგი.**

„ფიჯის ნაკრებთან მატჩი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი გამოცდაა. საინტერესოა, როგორი სტარტი გვექნება. გუნდში რამდენიმე პოზიციაზე სერიოზული კონკურენციაა და მინდა დავაკვირდე, შეძლებენ თუ არა ისინი პოტენციალის სრულად წარმოჩენას.

ფიჯის ნაკრების დაუფასებლობა არ შეიძლება. ახლახან დასრულებულ წყნარი ოკეანის ქვეყნების ერთა თასზე მათ შესანიშნავად იასპარეზეს. ფიჯის მეზობელმა სამოამ კი გასულ უქმეებზე ავსტრალიას სძლია. ასე რომ, პარასკევს დიდი ბრძოლა გველის“ - თქვა „ოლ ბლექსის“ მთავარმა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ.

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიანა, 14. ზაგ გილფორდი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. სიტივენი სივივატუ, 10. კოლინ სლედი, 9. ჯიმი ქოუანი. 1. ვუაით კროკეტი, 2. ენდრიუ ჰორი, 3. ბენ ფრენქსი, 4. ჯერად ჰოეთა, 5. ალი ვილიამსი, 6. ადამ ტომსონი, 7. რიჩი მაკქოუ, 8. ლიამ მესამი.**

16. კორი ფლინი, 17. ჯონ აფოა, 18. სემ ვაითლოქი, 19. ჯერომ კაინო, 20. პირი ვიპუ, 21. დენ კარტერი, 22. ბენ სმითი.

ფიჯი: **15. ილიესა კერსონი, 14. ვერენიკი გონევა, 13. ალბერტ ვულივული, 12. რავი ფატიაკი, 11. ნაპოლიონი ნალაგა, 10. სერემაია ბაი, 9. ვიტორი ბუატავა. 1. კამპესე მააფუ, 2. სანია კოტო, 3. დიკონ მანუ, 4. იფერეიმი რავაკა, 5. სეკონაია კალუ, 6. დომინიკო ვაკანიბურატუ, 7. აკაპუსი ქერა, 8. საკიუსა მატადიგო.**

16. ნატანი ტალეი, 17. ტომისი ნაგუსა, 18. მეტუსელა ტალებულა, 19. ტანიელა რავაკა, 20. ნეემია რანუკუ, 21. მალაკაი რავულო, 22. რუპენი ნასიგა

ბესიკ ჯანგავაძე

დანიდინი. ფორსაით ბარ სთედიუმი

ტრანსფერები

ბურჯელალმა ბასტაროს ტანჯვას წერტილი დაუსვა

„სტად ფრანსეს“ შუამარბმა **მატიო ბასტარომ** გასულ სეზონში კარიერაში ყველაზე ცუდი სეზონი ჩაატარა და შედეგად საფრანგეთის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობის მიღმა დარჩა. ამის მიზეზი პარიზულ გუნდში შექმნილი ფინანსური კრიზისი და მწვრთნელებთან გაფუჭებული ურთიერთობა იყო.

ბასტარომ სეზონის დასრულებისთანავე გადაწყვიტა, კლუბს გამომშვიდობებოდა, მაგრამ ეს ამ დრომდე არ ხერხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ „სტად ფრანსეს“ ხელმძღვანელობა მთლიანად შეიცვალა, მას მაინც პრობლემებს უქმნიდნენ.

საფრანგეთის ნაკრების ყოფილ მორაგბეს **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის“ მულტიმილიონერმა მწვრთნელმა **მურად ბურჯელალმა** უშველა. მან ბასტაროს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა და ახლახან ხელიც მოუწერა. მატიო ბასტარო წლეულს მეშვიდე მეგავარსკვლავია, რომელიც ტულონელთა რიგებში ჩაირიცხა.

ტულონის ახალწვეულები: მეთ გიტო (ბრამბიზი), ბაკის ბოთა (ბლუ ბულზი), დელონ არმითიჯი (ლონდონ აირიში), ალექსის პალისონი (ბრივი), ჯორჯ სმითი (ბლუზი), იაკო პრეტორიუსი (ლაიონზი), მატიო ბასტარო (სტად ფრანსე).

ბესიკ ჯანგავაძე

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

კონტადორმა გაისროლა

ტურის ალპური ნაწილის პირველი ეტაპი რთული არ ყოფილა. 162 კილომეტრის განმავლობაში მრბოლელებს მხოლოდ მეორე კატეგორიის სირთულის ერთი მთა ელოდათ. მასზე დაშვება საკმაოდ სახიფათო იყო - 2003 წელს სწორედ ამ დაღმართზე დაესვა წერტილი შესანიშნავი ესპანელი ველომრბოლის **ხოსუბა ბელოკის** კარიერას.

ეტაპი რამდენიმე ველმორბოლის უშედეგო შეტევებით დაიწყო. პელოტონმა საათში 50 კილომეტრი სიჩქარე განავითარა და არავის აძლევდა გაქცევის საშუალებას. ბოლოს, როგორც იქნა, ველომრბოლების სოლიდურმა ჯგუფმა მაინც შეძლო მცირე ჰანდიკაპის შექმნა და თანდათან დაშორდა პელოტონს. დანინაურებულებს შორის იყვნენ: **ევალდ ბოასონ ჰაგენი, ტორ ჰუშოვდი, ტონი მარტინი, მიხაილ იგნატიევი, ჟერემი რუა** და რამდენიმე ცნობილი ველომრბოლი. მათი გაქცევის შემდეგ პელოტონმა პაუზა აიღო და ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე ლიდერებს ექვსი წუთით ჩამორჩა.

ყვითელი მაისურის ყოფილი მფლობელი ჰუშოვდი ბონუსურ ქულებს არ გამოკიდებია და საშუალედო ფინიში წააგო ბელგიელ **დრის დევენეინსთან**. ერთ-ერთი დაღმართი კარგად გაიარა იგნატიევმა და მარტო გაუდგა ფინიშისკენ გზას. ის კარგა ხანი ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ სკანდინავიური წარმოშობის კანადელი **რიუდერ ჰეშედალი** წამოეწია.

პელოტონიდან მოულოდნელად შეუტია **ალბერტო კონტადორმა**. ეს ბოლო მთაზე მოხდა. პირენეებში ესპანელს დაცვითი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული, მაგრამ თანდათან ფორმაში შევიდა და ახლა ორჯერ დაშალა ძირითადი ჯგუფი. მეტოქეები რეაგირებდნენ ამ შეტევებზე, მაგრამ ისიც ჩანდა, რომ ძმები **შლეკები** და **ივან ბასო** მთლად მხნედ ვერ გამოიყურებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი გარღვევისას კონტადორმა თან წაიყოლა **კეიდელ ევანსი** და **სამუელ სანჩესი** და ნახევარი წუთით გაექცა გენერალური კლასიფიკაციის სხვა ლიდერებს.

როგორც ჩანს, ორმა ესპანელმა ამ ეტაპის ერთმანეთში გათამაშება გადაწყვიტა: ჯერ კონტადორს უნდა აეყვანა მთაზე სანჩესი, შემდეგ კი დაშვებისას ეს უკანასკნელი გზას გაუკვლევდა თანამემამულეს. მაგრამ წვიმამ ძალიან დაასველა ტრასა და „მეამბოხეებს" ჩანაფიქრი არ გამოუვიდათ. დაშვებისას სანჩესი ისევ მესამე იყო, ხოლო ეს ჯგუფი ყოფილ მაუნტინბაიკერ ევანსს მიჰყავდა.

ამასობაში, გაქცეულთა ჯგუფში იგნატიევს ჰუშოვდი და ჰაგენიც დაეწივნენ და ეტაპზე გამარჯვებისთვის სამი ნორვეგიული გვარის მფლობელი იბრძოდა. სავარაუდოდ, ეს დამთხვევა არ ყოფილა და ჩრდილოელებს მართლაც უადვილდებათ წვიმასა და ცივ ამინდში რბოლა. ბოლო კილომეტრებზე ჰუშოვდი და ჰაგენი მორიგეობით ლიდერობდნენ ჯგუფს და საფინიშო სპურტზე აკეთებდნენ აქცენტს. კანადელი ჰეშედალი ამ ბრძოლაში არ ჩარეულა და გვერდზე გადგა, ჰუშოვდს კი ბოლო შეტევისთვის მეტი ძალა დარჩა და მსოფლიოს ჩემპიონმა იოლად მოიგო ამ ტურზე მეორე ეტაპი.

გენერალური კლასიფიკაციის ლიდერებს შორის პირველი ფინიშთან ევანსი მივიდა - მან ბოლოსკენ შეუტია და ესპანელ თანამგზავრებს ორი წამი მოუგო. ყვითელი მაისურის ჯგუფმა ამ ტრიოსთან 20 წამი წააგო. ეს ბევრი არ არის, მაგრამ კონტადორმა და ევანსმა მორალური გამარჯვება მოიპოვეს. „პისტოლერომ" (კონტადორის მეტსახელი) პირველი გასროლა შეასრულა და ეს არ იქნება მისი ბოლო შეტევა. ასე რომ, ალპებში საინტერესო ეტაპებს უნდა ველოდოთ.

ალბერტო არ ნებდება

XVI ეტაპი

1. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - 3.31,38; 2. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, SKY) - იგივე დრო; 3. **რიუდერ ჰეშედალი** (კან, GRM) - +0,02; 4. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +0,38; 5. **მიხაილ იგნატიევი** (რუს, KAT) - +0,52; 6. **ალან პერესი** (ესპ, EUS) - +1,25... 11. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +4,23; 12. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +4,26; 13. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - იგივე დრო... 18. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - +4,44... 22. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 23. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - იგივე დრო... 30. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +5,17... 36. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +5,32... 68. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +8,08...

საერთო ჩათვლა

1. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - 69.00,56; 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +1,45; 2. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +1,49; 3. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +3,03; 5. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +3,26; 6. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +3,42; 7. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +3,49; 8. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +4,01... 26. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +20,12...

● ფორმულა 1

მასა ფერარიში დარჩება

„ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** განაცხადა, რომ გადაწყვეტილია **ფელიპე მასას** მომავალი - ბრაზილიელი პილოტი 2012 წელსაც „სკუდერიას" წევრი იქნება.

ათასგვარი ჭორის მიუხედავად, რომელიც მასას სხვა გუნდში გადასვლას წინასწარმეტყველებს, მონტეძემოლომ საჯაროდ გამოაცხადა, რომ მომავალ წელს „სკუდერიას" შემადგენლობა არ შეიცვლება.

„გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა გუნდის ახალგაზრდა სპორტული დირექტორი ვიყავი, ამბობდნენ, რომ წარმატება ერთნაირად არის დამოკიდებული მანქანასა და მრბოლელზე, - ამბობს მონტეძემოლო. - ახლა ბოლიდი უფრო მეტს ნიშნავს, მაგრამ განმსაზღვრელი მაინც ის 30 პროცენტია, რომელიც პილოტზეა დამოკიდებული.

ალონსო - ბრწყინვალეა, მასა თანდათან იბრუნებს ძველ სპორტულ ფორმას, ასე რომ, ჩემი აზრით, მრბოლელებში პრობლემა არ არსებობს. ამჟამად ძალიან ბევრი ჭორი ვრცელდება, მაგრამ ფერნანდო და ფელიპე რჩებიან გუნდში".

გარდა ამისა, „ფერარის" პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ალონსოს და განაცხადა, რომ გუნდი არ უნდა დანებდეს და ჩემპიონატის ლიდერთან დიდი ჩამორჩენის მიუხედავად, ბოლომდე უნდა იბრძოლოს: ესპანელი ახლა 92 ქულით ჩამორჩება **სებასტიან ფეტელს**.

„ალონსო მართალია იმაში, რომ კვლავაც სჯერა ტიტულის მოპოვების. იმედი ბოლოს კვდება, - განაცხადა მონტეძემოლომ. - განაწყენებული ვართ იმის გამო, სეზონის დასანყისში არასაკმარისად სწრაფები ვიყავით. ამიტომაც სილვერსტოუნში გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა. ეს ჩვენი უპირატესობის დემონსტრირება იყო და ტრიუმფი ოპტიმიზმს გვმატებს.

ქულებს სეზონის ბოლოს ითვლიან. მანამდე კი მუშაობას ვაგრძელებთ და თან მომავალ წელზეც ვფიქრობთ. რა თქმა უნდა, ეს დროული გამარჯვება იყო, რაც სერიოზული შრომის შედეგია".



ალონსო და მასა

● მძლეოსნობა

ოსკარ პისტორიუსი

ოსკარი მსოფლიოზე მიდის

ოცნება აისრულა ცნობილმა ამპუტანტმა მორბენალმა **ოსკარ პისტორიუსმა**. სამხრეთაფრიკელმა მაინც მიაღწია საწადელს და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ორი დღის წინ იტალიის ქალაქ ლინიანოში გამართულ ტურნირზე 24 წლის მძლეოსანმა საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა 400 მეტრზე სირბილში. დისტანცია მან 45,07 წამში დაფარა.

სხვათა შორის, ეს იყო ბოლო დღე, როცა პისტორიუსს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შანსი ჰქონდა. ასე რომ, ოსკარი პროთეზებით მოასპარეზე პირველი ათლეტია მძლეოსნობის ისტორიაში, ვინც პლანეტის პირველობაზე გამოვა.

„ეს ჩემი ოცნება იყო. ღამით ვერ დავიძინე, რადგან უამრავი მისალოცი წერილი მოდიოდა. ყველას დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის", - განაცხადა საგენტო „როიტერთან" კომენტარში პისტორიუსმა.

ოსკარი 11 თვის იყო, როცა მუხლის ქვემოთ ორივე ფეხი მოკვეთეს, რადგან დაბადებიდან წვივის ძვლები არ ჰქონდა. ამის მიუხედავად, პისტორიუსმა ყველა სირთულე გადალახა და სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობს.

ის ჩვეულებრივ სკოლაში სწავლობდა, შევიდა პრეტორიის უნივერსიტეტში, სადაც მენეჯმენტს ეუფლებოდა. ბავშვობიდან სპორტის სხვადასხვა სახეობაში სცდიდა ძალებს - რაგბიში, ჩოგბურთში, წყალბურთსა და ჭიდაობაში. სკოლის დასრულების შემდეგ მთლიანად სირბილზე გადაერთო.

პისტორიუსი კარბონის პროთეზებით გამოდის, რაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ფუნქციონერებთან სასამართლო გარჩევების მიზეზი გახდა. ისინი იშველიებდნენ გერმანელი პროფესორის **გერტ-პეტერ ბრიუგემანის** მოსაზრებას - ის ამტკიცებდა, რომ მსგავსი პროთეზებით პისტორიუსი ჩვეულებრივ მორბენლებზე გარკვეულ უპირატესობას მიიღებდა, რადგან დაღლას ვერ იგრძნობდა.

თავად სპორტსმენს მიაჩნია, რომ პროთეზი პირიქით, დამატებით სირთულეებს უქმნის.

„მიჭირს წვიმიან და ქარიან ამინდში გამოსვლა, - ამბობდა მაშინ სამხრეთაფრიკელი. - თანაც მე დაბალი სასტარტო სიჩქარე მაქვს. სარბენი ბილიკიდან ისე სწრაფად ასხლეტა არ შემიძლია, როგორც ამას ჩვეულებრივი სპორტსმენები აკეთებენ".

მიუხედავად ამისა, ოსკარს კარგა ხანი არ აკარებდნენ „ჩვეულებრივების" სტარტებს, რადგან ამას სახიფათო პრეცედენტის შექმნა შეეძლო. ტექნოლოგიები ყოველ წელს იხვეწება და ახალ პროთეზებს, შესაძლოა, მართლაც მოეტანა ოსკარისთვის კონკურენტებზე უპირატესობა.

მაგრამ პისტორიუსი ამ პრობლემასაც გაუმკლავდა. მან IAAF-ის გადაწყვეტილება სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივრა და საქმე მოიგო. მას 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებაც კი მისცეს, თუმცა აფრიკელმა ნორმატივი ვერ ჩააბარა. ახლა, ოსკარი ლონდონის საგაისო თამაშებს უმიზნებს.

ამ ოცნებისკენ პირველი ნაბიჯი გახდა მსოფლიოს 2011 წელს სამხრეთ აფრიკის ნაკრებში მოხვედრა. რა თქმა უნდა, პისტორიუსს ტეგუში მედლის მოგების უმცირესი შანსი აქვს. როგორც ვთქვით, ლინიანოში მან 400 მეტრი 45,07 წამში გაირბინა. შედარებისთვის, 1999 წელს **მაიკლ ჯონსონის** მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი 43,18 წამს უდრის, ხოლო 2009 წელს ბერლინში **ლაშონ მერიტმა** მსოფლიოს ჩემპიონატი 44,06 წამით მოიგო.

ჩემპიონატმა ვარსკვლავი დაკარგა

თანამედროვე მძლეოსნობის ერთ-ერთი ვარსკვლავი, სამხტომში სეზონის ლიდერი **ტედი ტამგო** მონაწილეობას ვერ მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც აგვისტოს ბოლოს კორეის ქალაქ ტეგუში დაიწყება. ფრანგმა ათლეტმა ნაადრევად დაასრულა სეზონი რამდენიმე დღის წინ, ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის გამო. ტამგომ გასახურებელი სესიის დროს ფეხი გადაიბრუნა და ისე დატოვა ჩემპიონატი, ერთი ნახტომიც არ შეუსრულებია.

დაწვრილებითმა სამედიცინო გამოკვლევამ ფრანგს ფეხის მოტეხილობა დაუდგინა. ტამგომ ეს ინფორმაცია Facebook-ის სოციალურ ქსელში გაავრცელა. შემდეგ ის სპორტსმენის გუნდმაც დაადასტურა. ახლა ტედი მთლიანად ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადებაზე გადაერთვება.

შეგახსენებთ, რომ ყველა გაკვირვებული დარჩა ტამგოს გადაწყვეტილებით, როცა მან ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამოსვლის შესახებ გამოაცხადა. მაშინ ფრანგმა განაცხადა, რომ ჩეხეთში რეკორდის დასამყარებლად მიდიოდა. უფრო მეტიც, ტედი ირწმუნებოდა, რომ ახალგაზრდული ჩემპიონატი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ბრილიანტის ლიგის" ეტაპი.

ტამგო წლევანდელი სეზონის ლიდერია - მან ერთ-ერთ ტურნირზე 7 მეტრი და 91 სანტიმეტრი დააფიქსირა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● კალათბურთი. NBA ლოკაუტი

პასუხები მგკივნეულ კითხვებზე

რეგბრი იქნება მომავალში სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალური ზღვარი? რა ბედი ელის 2012 წლის დრაფტს? წავლენ თუ არა NBA-ის ვარსკვლავები ევროპაში სათამაშოდ? ESPN-ის მიმომხილველი **ლარი კუნი** პასუხობს ყველაზე აქტუალურ კითხვებს, რომელიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლოკაუტთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად ისმის.

„ეს მაინც მოხდა. ორი წელი შიშით ელოდნენ ამ დღეს - 2011 წლის პირველ ივლისს. ამოიწურა ასოციაციის მოთამაშეებსა და NBA-ს შორის კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მოდით გულახდილები ვიყოთ - შეიძლება ძალიან დიდი ხანი გავიდეს იქამდე, სანამ ახალი ხელშეკრულება გაფორმდება და ჩვენ ისევ ვნახავთ NBA-ის მატჩებს.

მას შემდეგ, რაც ლოკაუტმა მყარად დაიკავა ადგილი კალათბურთის თითოეული თაყვანისმცემლის გონებაში, დადგა დრო ვუპასუხოთ ყველაზე აქტუალურ შეკითხვებს, რომლებსაც ყველაზე ხშირად სვამენ ფანები. რა თქმა უნდა, აქ არ იქნება უკვე ბანალური კითხვები: „რა არის ლოკაუტი?“ ან „რატომ გამოცხადდა გაფიცვა?“ ამაზე პასუხი უკვე ყველამ იცის. ასე რომ, იმ კითხვებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც მართლაც იმსახურებენ პასუხის გაცემას“, - შესავლის ნაცვლად ამბობს კუნი.

- რა ეშველება „ლეიკერსისა“ და „ორლანდოს“ მსგავს გუნდებს იმ შემთხვევაში, თუ სახელფასო ბიუჯეტის მკაცრი მაქსიმალური ზღვარი დაწესდება?

- მოდით ვაღიაროთ, რომ წინა სახელფასო ზღვარი ფორმალობა იყო, რადგან გუნდები მას ისე ზრდიდნენ, როგორც თავად მიაჩნდათ საჭიროდ. კლუბების მფლობელებს ამის შეცვლა სურთ - ისინი აპირებენ 45 მილიონზე ზემოთ მკაცრი შეზღუდვა დააწესონ - კლუბები ამ თანხას ვერ გადაცდებიან. მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენიმე გუნდი აღმოჩნდება ამ შემთხვევაში 2011-12 წლების სეზონის დასაწყისიდან გამოუვალ შდგომარეობაში. მაგალითად, „ლეიკერსის“ სახელფასო ბიუჯეტი მომავალი სეზონისთვის 91 მილიონი დოლარი უნდა იყოს, „ორლანდოსი“ - 76 მილიონი. ამ გუნდების ხელმძღვანელობა მშვიდად ვერ იქნება.

მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი მაქსიმალური ზღვარის დაწესების შემთხვევაშიც, ლიგა ვერ უბრძანებს გუნდს შემადგენლობის ნახევარი ქუჩაში მიაბრძანოს. იმ წინადადებაში, რომელიც ასეთი მკაცრი წესის შემოღებას ითვალისწინებს, ჩადებულია მიმდინარე ხელფასების შესამჩნევად შემცირების (15-25 პროცენტით) შესაძლებლობა, აგრეთვე „ამნისტიის წესი“, რომელიც გუნდებს საშუალებას მისცემს უარი თქვან ერთ რომელიმე მოთამაშეზე. ეს წესები ოდნავ ამცირებს დარტყმის სიმძიმეს.

ასევე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ხელფასებზე მკაცრი ლიმიტის დანესება მხოლოდ პირველი წინადადებაა. ლიგის შემდეგი შეთავაზება ამ ლიმიტის შენარჩუნებასთან ერთად გუნდებს სამწლიან „ამოსუნთქვის“ პერიოდს აძლევს და მხოლოდ შემდეგ ამოქმედდება სრული ძალით ის მკაცრი წესი. სავსებით შესაძლებელია, რომ მოლაპარაკებების პროცესში წინადადებები კიდევ უფრო შერბილდება და საბოლოო კოლექტიური ხელშეკრულება არ აიძულებს გუნდებს საკუთარი მოთამაშეების მიმართ რადიკალური ზომების მიღებას.

- როდის დაიწყებენ მოთამაშეები თავიანთი კუთვნილი ხელფასების დაკარგვას?

- ჩვეულებრივ, NBA 15 ნოემბრიდან პირველ მაისამდე ყოველ ორ კვირაში უხდის მოთამაშეებს ხელფასს. მაგრამ ზოგიერთი კალათბურთელი ჯამაგირს მთელი 12 თვის განმავლობაში იღებს და 2010-11 წლის სეზონისთვის განკუთვნილ თანხას ის 30 ნოემბრის ჩათვლით მიიღებს.

კლუბები ვალდებულნი არიან რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში მოთამაშეს სრული ხელფასის 20 პროცენტი გადაუხადოს. დანარჩენი 80 პროცენტი კლუბსა და მოთამაშეს შორის შეთანხმების თანახმად გადაირიცხება. ასე რომ, ბევრ კალათბურთელს ჯერაც მისაღები აქვს თანხა, თანაც საკმაოდ სოლიდური.

- შეუძლიათ თუ არა NBA-ის მოთამაშეებს ლოკაუტის მსვლელობისას საზღვარგარეთ თამაში?

- ამაზე მხოლოდ ერთი პასუხია: ეს ძალიან რთულია. დევიდ სტერნმა განაცხადა, რომ მოთამაშეებს შეუძლიათ ის გააკეთონ, რასაც მოისურვებენ, მაგრამ სინამდვილეში უმნიშვნელოა, რას ამბობს ასოციაციის კომისარი - ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მის გარეშე მიიღებენ. მოისურვებენ თუ არა თავად კალათბურთელები ევროპაში თამაშს - ეს არის მთავარი საკითხი. უბრალოდ იქ არ ეყოფათ გუნდები NBA-ის 400 კალათბურთელის დასასაქმებლად. ამასთან, ევროლიგის მონაწილეები, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპის სხვა ლიგებზე, უბრალოდ, ვერ შეძლებენ ისეთი ხელფასების დარიგებას, რომლის მიღებასაც NBA-ში მოთამაშეები ამერიკაში არიან შეჩვეულნი. ასე რომ, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მოთამაშეს ვიხილავთ უცხოეთში და ისინიც არ იქნებიან ლიგის მთავარი ვარსკვლავები.

- იმ შემთხვევაში, თუ ლოკაუტი მთელი სეზონი გაგრძელდა, რა ეშვება 2012 წლის დრაფტს? როგორ განაწილდება ახალბედათა არჩევის ნომრები?

- თუ ეს სეზონი გაუქმდება და მხარეები მხოლოდ მომავალი წლის ივნისისთვის მივლენ შეთანხმებამდე, 2012 წლის დრაფტი დაგეგმილ ვადაში გაიმართება. ეს მარტივია. უფრო რთული იქნება არჩევანის მიმდევრობის გარკვევა, რადგან არ შეიძლება 2010-11 წლების სეზონში ცუდი გამოსვლისთვის გუნდების ორჯერ დასაჩუქრება.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში იდგნენ ასეთი დილემის წინაშე, როცა იქ 2004-05 წლების სეზონი დაკარგეს. მაშინ ლიგამ ლატარია ჩაატარა, რომელშიც ყველა გუნდი იღებდა მონაწილეობას, თუმცა მათი შანსები შეფასებული იყო ბოლო ოთხი სეზონის შედეგების მიხედვით. NBA-ც დაახლოებით ასეთივე გზით წავა, შემდეგ კი ჩემპიონატი, რა თქმა უნდა, ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

- თუ ლოკაუტი მთელი წელი გაგრძელდა, რა მოხდება იმ კონტრაქტებთან მიმართებაში, რომლებსაც ვადა 2011-12 წლების სეზონის ბოლოს გასდის? მათ ვადა გაუვა თუ ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლით?

- კონტრაქტები, რომელთა ვადა 2011-12 წლების სეზონის ბოლოს იწურება, მოქმედებას 2012 წლის 30 ივნისს შეწყვეტს, მიუხედავად იმისა, გაიმართა სეზონი თუ არა. ეს იმას ნიშნავს, რომ დუაიტ ჰოვარდმა, შესაძლოა, უკვე ჩაატარა თავისი ბოლო სეზონი „ორლანდოში“. განსაკუთრებით წინდახედულმა გუნდებმა ყველა საჭირო გარიგება 30 ივნისამდე განახორციელეს და ახლა მშვიდად არიან - ისინი კომპენსაციის გარეშე ვეღარ დაკარგავენ თავიანთ კალათბურთელებს.

მაგრამ ნუ გამოვრიცხავთ იმ ვარიანტსაც, რომ ერთობლივი შეთანხმების მიხედვით კონტრაქტების ვადა ერთი წლით გადაიწევს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მოლაპარაკების საკითხია.



ორი ზედმეტია

FIBA-ევროპამ შეამცირა ევროპის ჩემპიონატზე განაცხადში შესაყვანი მოთამაშეების რიცხვი.

ადრე თითოეულ ნაკრებს შეეძლო საბოლოო განაცხადში 14 კალათბურთელი შეეყვანა, მაგრამ ახლა ფინალისტებს მხოლოდ 12 მოთამაშით მოუწევთ ფონს გასვლა.

როგორც ესპანური გაზეთი „მარკა“ წერს, FIBA-მ უკვე გააგზავნა შესაბამისი წერილი ყველა საკალათბურთო ფედერაციაში, რომელთა ნაკრებები წლევანდელ ევრობასკეტში მიიღებენ მონაწილეობას. განაცხადის შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას უკვე მოაწერა ხელი FIBA-ევროპას გენერალურმა მდივანმა **ნარომ ზანოლინმა**, აგრეთვე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა **ოლაფურ რაფნსონმა**.

„მარკა“ იმასაც წერს, რომ განაცხადში ეს შემცირება არ შეეხება სხვა საერთაშორისო ტურნირებს, თუმცა უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ლიტვაში თითოეული გუნდი მხოლოდ 12 კალათბურთელს წაიყვანს.

● ცხელი ხაზი

ფუტბურთი

ევრო 2011

UNDER 19

საბერძნეთი-ირლანდია	1:2
რუმინეთი-ჩეხეთი	1:3
სერბეთი-თურქეთი	2:0
ესპანეთი-ბელგია	1:0 შეწყდა

ჩემპიონთა ლიგა

II საკვ. ეტაპი. II მატჩები

აპოელ-შკენდერბეუ	4:0 (2:0)
ვიდეოტონი-შტურმი	3:2 (0:2)
ბორაცი-მაკაბი (ჰ)	3:2 (1:5)
ბრეიდაბლიკი-რუსენბორგი	2:0 (0:5)

ამხანაგური მატჩები

ბელენეესეში-ოლანენსე	1:0
ინტერი-კრემონეზე	4:1
ლუცერნი-რომა	1:5
ბორდო-უდინეზე	1:3
ჰაპოელი (თ-ა)-ჰერტა	1:2
რენი-სოშო	0:2
ბრონდბიუ-აიაქსი	0:3
ბურსა-ლესტერი	0:0
გალათასარაი-ტვენტე	0:1
ჰანოვერი-სანდერლენდი	3:1
ჰერენვეენი-ბეერსხოტი	2:1
ბრედა-სპარტა	1:1
კოპენჰაგენი-ვესტ ჰემი	0:1
ნიუკასლ თაუნი-სტოკი	0:6
მარსელი-ბეტისი	1:0
ჰსუ-ბრაიტონი	1:0
ალდერშოტი-ჩარლტონი	1:1
ბენფიკა-ტულუზა	1:0
კარდიფი-ლესტერი	3:1
ნორთჰემპტონი-ნოტინგემი	1:2
ნოტსი-პიტერბრო	2:3
პლიმუტი-ქუინზ პარკი	0:1

ნორვეგია

II დივიზიონი

ალტა-სანდეფიორდი	1:2

ფინეთი

II დივიზიონი

ოპს-კემი	2:1
პოპა-კპვ	2:0

შვეიცარია

გრასჰოპერსი-ლოზანა	2:0

ჩოგბურთი

ATP. პამბურგი

ჩილიჩი-კნიტელი	6:3, 6:7, 6:4
შტეპანეკი-სეპი	6:1, 7:5
ფ. მაიერი-ილჰანი	6:4, 7:6
მელცერი-ხიმენო ტრავერო	6:3, 5:7, 6:1
მონაკო-ტიპსარევიჩი	6:2, 6:4
მონფილსი-რამოს ვინოლასი	6:4, 6:2
ვერდასკო-ანდუხარი	6:2, 6:3
ალმაგრო-როსოლი	6:4, 6:4
დავიდენკო-შტებე	3:6, 6:7
კოლშრაიბერი-მონტანიესი	6:1, 6:2

WTA. ბაქო

იაკიმოვა-კორიტცევა	2:6, 5:7
ნიკულესკუ-ვოსკობოევა	6:7, 2:6
დოლონეცი-პერვაკი	3:6, 3:6
რეზაი-ვესნინა	6:3, 6:0

● TV პროგრამა

21 ივლისი. ხუთშაბათი

GMG-ფუტბურთი

10:00 რეალი-ბარსელონა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართული მატჩების ისტორია.
12:00 კოპა ამერიკა 2011. 1/2 ფინალი. პარაგვაი-ვენესუელა. არგენტინა.
13:00 ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი.
15:00 ტელეფურნალი - WORLD OF FOOTBALL.
15:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:00 კოპა ამერიკა 2011. 1/2 ფინალი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა.
18:00 გადაცემა - დაუბრუნდი დინამოს.
18:30 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კალიარი.
20:45 სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი.
21:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 ამხანაგური მატჩი. კაიზერ ჩიპსი-ორლანდო პირატსი (LIVE).
00:10 კოპა ამერიკა 2011. 1/2 ფინალი. პარაგვაი-ვენესუელა. არგენტინა.
02:00 ტელეფურნალი - WORLD OF FOOTBALL.

GMG-სპორტი

10:00 ტელეფურნალი - საფეხბურთო სამყარო.
10:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
11:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).
21:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-ირლანდია.
22:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - გზა ლონდონისკენ.
23:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
00:20 ტელეფურნალი - ტრანსფორლდსპორტი.

I არხი

21:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. გაგრა-ანორთოსისი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

19:10 რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-ცსკა (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

13:00 ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

03:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ჩიკაგო (LIVE).

EUROSPORT

15:55 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVIII ეტაპი (LIVE).
19:45 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (იუნიორები). ტალინი. ესტონეთი (LIVE).

EUROSPORT-2

13:30 სნუკერი. ავსტრალიის ღია პირველობა. ვიტორია. ავსტრალია (LIVE).

● საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი

13 ბედნიერი რიცხვია

მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე დღეს მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა. ამჯერად წყალში მხტომელები ისვენებდნენ. სამაგიეროდ, ასპარეზი დაეთმოთ „ღია წყალში“ მოცურავეებსა და სინქრონული ცურვის ოსტატებს.

გუშინ მამაკაცებმა 10-კილომეტრიან დისტანციაზე გაარკვიეს გამარჯვებული. სტარტი დილით ადრე მისცეს, რადგან წინა დღეს ქალი მოცურავეები წყლის ძალიან მაღალი ტემპერატურის გამო ჩიოდნენ.

საბოლოო შედეგი მოულოდნელი იყო - პირველი ფინიშთან ბერძენი **სპიროს იანიოტისი** მივიდა. ის ადრეც გამოირჩეოდა სწრაფი ტემპით, მაგრამ ტაქტიკურად მოიკოჭლებდა. ამჯერად იანიოტისმა ეს ნაკლი გამოასწორა და კარიერაში პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი. მან 10 კილომეტრის გაცურვას საათი, 54 წუთი და 24,7 წამი მოანდომა. მხოლოდ 2,5 წამით ჩამორჩა მას გერმანელი **ტომას ლურცი**, ხოლო მესამეზე 6,9-წამიანი ჩამორჩენით რუსი **სერგეი ბოლშაკოვი** გავიდა.

ცურვა

ქალები. 10 კმ.

1. **სპიროს გიანიოტისი** (საბ) - 01:54.24,7; 2. **ტომას ლურცი** (გერ) - +2,5; 3. **სერგეი ბოლშაკოვი** (რუს) - +7,1...

■ ■ ■

ოქროს მედლების შეგროვებას აგრძელებს სინქრონულ ცურვაში ლეგენდარული რუსი სპორტსმენი **ნატალია იშჩენკო**. ის უკვე 13-გზის მსოფლიოს ჩემპიონია. მან ამჯერად სოლისტებს შორის თავისუფალი პროგრამა მოიგო.

ეს იშჩენკოს მესამე ტრიუმფია შანხაიში. მანამდე მან სოლისტების ტექნიკურ პროგრამაში გაიმარჯვა, აგრეთვე დუეტებს შორის ტექნიკურ პროგრამაში **სვეტლანა რომაშინასთან** ერთად გავიდა პირველზე.

მეორე ადგილი ორქულიანი ჩამორჩენით ესპანელმა **ანდრეა ფუენტესმა** დაიკავა, მესამეზე კი ჩინელი **სუნ ვენიანი** გავიდა.

სინქრონული ცურვა

ქალები. თავისუფალი

1. **ნატალია იშჩენკო** (რუს) - 98,550 ქულა; 2. **ანდრეა ფუენტესი** (ესპ) - 96,520; 3. **სუნ ვენიანი** (ჩინ) - 95,840...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჩოგბურთი

სერენას რჩევა ფეხბურთელებს

ამ დღეებში ამერიკაში პოპულარული გუნდური ტურნირი - World Team Tennis (WTT) მიმდინარეობს, რომელშიც აშშ-ის ქალაქების გუნდები ილებენ მონაწილეობას.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** „ვაშინგტონ კესტლის“ ღირსებას იცავს. ამ გუნდმა გუშინ „ნიუ იორკ სპორტთაიმსი“ 21:20 დაამარცხა. ეს მატჩი იმით იყო გამორჩეული, რომ სერენა ერთეულთა მატჩში დაუპირისპირდა WTA-ის ყოფილ ლიდერს, დიდი სპორტიდან წასულ ლეგენდარულ შვეიცარიელ **მარტინა ჰინგისს** და ის 5:3 დაამარცხა.

ამის შემდეგ, უმცროსმა უილიამსმა **რენე სტაბზთან** წყვილში 5:2 მოუგო ჰინგისისა და **კეტი ო'ბრაიენის** დუეტს.

სერენას თქმით, „დიდი სლემის“ ბოლო ჩემპიონატის - ამერიკის ღიას წინ ის სამ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას - სტენფორდში, რომელიც მომავალ ორშაბათს აიღებს სტარტს, ტორონტოსა (8-14 აგვისტო) და ცინცინატში (15-21 აგვისტო).

„ამერიკის ღია პირველობაზე ჯერ არ ვფიქრობ. იქამდეა ბევრი დროა დარჩენილი, ამიტომაც უახლოეს სტარტებისკენ მაქვს ყურადღება გადატანილი. ძალიან ბევრი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ოპტიმალურ ფორმაში დაბრუნება შევძლო“, - ამბობს „დიდი სლემის“ ტურნირების 13-გზის გამარჯვებული.

„რაც შეეხება მარტინასთან შეხვედრას, მასთან ერთად კორტზე გასვლა ყოველთვის მომწონდა. ის შესანიშნავი მოთამაშეა და მის წინააღმდეგ მატჩი ძალიან კარგი პრაქტიკაა მომავალი სერიოზული ტურნირების წინ. მართალია, ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვი, მაგრამ მაინც გავიმარჯვე. ამ შეხვედრამ უდიდესი სიამოვნება მომიტანა. ახლა ვზივარ და ვფიქრობ, რატომ არ ვარ ამ-ყამად მსოფლიოს პირველი ჩოგანი?!“, - იხუმრა სერენამ.

„ვფიქრობ, ძალიან კარგი მატჩი გამოგვივიდა. შესანიშნავი დრო გავატარე“, - მოკლე კომენტარი ჰქონდა ამ შეხვედრაზე ჰინგისს.

■ ■ ■

სერენა უილიამსმა საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ქალთა ფეხბურთის განვითარებისთვის. ამერიკელ ჩოგბურთელს მიაჩნია, რომ ფეხბურთელებმა ისეთივე კაბებში უნდა ითამაშონ, როგორითაც ჩოგბურთელები კორტებზე გადიან.

„თუ ფეხბურთელებს ჩვენს მსგავსად კაბებს ჩაცმევენ, მატჩები უფრო საინტერესო სანახავი იქნება. ვფიქრობ, მე შევძლებდი ახალი საფეხბურთო ფორმებისთვის დიზაინის შექმნას“, - დაწერა „ტვიტერზე“ სერენამ.

სერენა უილიამსი

შარაპოვა ყველაზე მოდურია

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა** ამ კვირას მოდის ჟურნალ Vogue-ის ტოპ-ათეულში მოხვდა. გამოცემამ ათი ყველაზე მოდური ქალბატონის (10 Best Dressed) სია შეადგინა და იქ „დიდი სლემის“ ტურნირების სამგზის ჩემპიონიც მოხვდა. ამის შესახებ 24 წლის ჩოგბურთელის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

გასულ ოთხშაბათს მარია ESPY Award-ის რიგით მე-19 დაჯილდოებას სტუმრობდა. წითელ ხალიჩაზე ის მოდის ცნობილი სახლის - „ალექსანდრ მაქუინის“ (Alexander McQueen) მიერ შეკერილი კაბით გამოჩნდა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა შარაპოვა ჟურნალ Vogue-ის ანალოგიურ ტოპ-ათეულში ხვდება. ბოლოს ასეთი რამ ამა წლის მარტში მოხდა.

რაფა ერთობა

ესპანელი ჩოგბურთელი **რაფაელ ნადალი** გადატვირთულ კალენდარში გამოჩენილ თავისუფალ დროს აქტიური დასვენებისთვის იყენებს. მსოფლიოს მეორე ჩოგანი მშობლიურ მალიორკაზე ისვენებს, თამაშობს ფრენბურთს და პლაჟზე მეგობარ გოგონასთან - **ჩისკასთან** ერთად ნებივრობს.

ნადალს არც თავისი საყვარელი გასართობი - გოლფი დავიწყებია. რაფამ საქველმოქმედო ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

რაფა და ჩისკა

გოლფის გარეშე არ შეიძლება

რომანი დასრულდა

ცნობილი ჩეხი ჩოგბურთელების - **ტომაშ ბერდიხისა** და **ლუსი საფაროვას** რომანი დასრულდა. ამის შესახებ ვებგვერდი Footfault.net წერს, წყაროდ კი შვედ ჩოგბურთელს **სოფი არვიდსონს** იშველიებს.

„გასულ კვირას საკმაოდ უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. შევხვდი ლუსი საფაროვას, რომელიც ჩემოდნებით ბრუნდებოდა შინ. ვკითხე - რატომ ბრუნდება შინ და რატომ არ დარჩა ტომაშის მატჩის საყურებლად. მან მიპასუხა: „ჩვენ ერთად აღარ ვართ“, - მოჰყავს არვიდსონის სიტყვები Footfault.net-ს.

ფოტო უხარისხოა, მაგრამ საინტერესო

კარომ გოლფისტი გამოიჭირა?

ევროპული პრესა აქტიურად წერს მსოფლიოს პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკისა** და ცნობილი გოლფისტის **რორი მაკილროის** რომანტიული შეხვედრის შესახებ. დანიელმა და ირლანდიელმა ლონდონის ცენტრის ერთ-ერთ ბარში ივახშმეს. ისინი რომელიღაც უცნობმა გულშემატკივარმა დააფიქსირა და საკუთარი ტელეფონით რამდენიმე ფოტო გადაუღო. რამდენიმე დღის შემდეგ უცნობი გოგონა სინდისი ქენჯნამ შეაწუხა და „ტვიტერიდან“ ფოტოები წაშალა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რამდენიმე დღის წინ, როცა კაროლინმა დაბადების დღე იზეიმა, მაკილროიმ მას „ტვიტერის“ საშუალებით ასაკი ჰკითხა. ჩოგბურთელმა საპასუხოდ ირონიულად აღნიშნა, რომ ახლა მას ამერიკის შეერთებულ შტატებში ალკოჰოლის შეძენა შეუძლია (აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, ამ ქვეყანაში ალკოჰოლის მიღება 21 წლიდან არის შესაძლებელი). როგორც ჩანს, ეს ხუმრობა რორისთვის აქტიურ მოქმედებაზე გადასვლას ნიშნავდა.

ამ ფაქტის პიკანტურობას ისიც მატებს, რომ სულ ცოტა ხნის წინ მაკილროი დაშორდა თავის მეგობარ გოგონას **ჰოლი სუინის**, რომელთანაც ოთხწლიანი რომანი ჰქონდა. შესაძლოა, არც ღირდეს ამ ფაქტისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება და უბრალოდ, რორიმ რჩევები მისცა კაროლინს, როგორ უნდა დიდი ტურნირების მოგება. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ ირლანდიელმა გოლფში აშშ-ის ღია პირველობაზე გაიმარჯვა.

● კრივი

ანეკდოტი ვიტალი კლიჩკოსგან

უკრაინელმა სუპერმძიმეწონოსანმა **ვიტალი კლიჩკომ** ანეკდოტით უპასუხა ერთ-ერთ შეკითხვას, რომელიც მას პოლონელ **ტომაშ ადამეკთან** ბრძოლისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე დაუსვეს.

WBC-ის ჩემპიონს ჰკითხეს - რამდენი გულშემატკივარი უქომაგებს მას პოლონეთის ქალაქ ვროცლავის საფეხბურთო სტადიონზე. კლიჩკომ განაცხადა, რომ არ შეუძლია ილაპარაკოს გულშემატკივრებს შორის პროცენტულ შეფარდებაზე და შემდეგ პროცენტებზე ასეთი ანეკდოტი მოყვა: *„მოკრივე ეკითხება თავის მენეჯერს, რატომ იყოფენ ისინი მოგებას თანაბრად. „მე 70 პროცენტის მიღება მსურს“*, - *განაცხადა მოკრივემ. „შესანიშნავია, უპასუხა მენეჯერმა. - პრობლემა არ არის - ახლა, 70 70-ზე გავიყოთ მოგება“.*

კლიჩკოს თქმით, ადამეკთან მის ბრძოლაში მნიშვნელოვანია რინგზე მომხდარი მოვლენები და არა ის, ვის უფრო მეტი გულშემატკივარი ეყოლება ტრიბუნებზე. საჩემპიონო ბრძოლა, რომელშიც 40 წლის უკრაინელი WBC-ის ტიტულს დაიცავს, 10 სექტემბერს ვროცლავის საფეხბურთო არენაზე გაიმართება, რომელიც 45 ათას მაყურებელს იტევს.

კლიჩკოსა და ადამეკის პრესკონფერენცია ნიუ იორკში გაიმართა. უკრაინელმა ჩემპიონმა ისიც განაცხადა, რომ მისი მეტოქე ნამდვილი სუპერმძიმეწონოსანი არ არის და ადამეკი 10 სექტემბერს გაიგებს, რა განსხვავებაა მძიმე წონის მოკრივესა და იმ მებრძოლს შორის, რომელიც მძიმეწონოსანი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ბევრს ჭამს.

წარსულში 34 წლის ადამეკი მსოფლიოს ჩემპიონი იყო 79,4 და 90,9-კილოგრამამდე წონით კატეგორიებში. პროფესიულ რინგზე მან 45 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 44 (28 - ნოკაუტით) და წააგო ერთი შეხვედრა. კლიჩკომ, რომელსაც 19 ივლისს შეუსრულდა 40 წელი, 44 ბრძოლიდან 42-ში გაიმარჯვა (39 - ნოკაუტით) და ორჯერ დამარცხებულმა დატოვა რინგი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩემპიონი და პრეტენდენტი